საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№13 (484)
10 – 16 აპრილი, 2019

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## უსამართლოდ მივიწყებულნი 14

## იუბილე, რომელიც აღნიშვნის ღირსია

2-3-4

# ქართველებს გვატყუებენ და საზარბაზნე ხორცად გვიყენებენ




**ისეთი ზესახელმწიფოები, როგორებიცაა რუსეთი და აშშ, ყოველთვის გამოძებნიან მესამე ქვეყანას, სადაც ირიბად დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. გვინდა, რომ საქართველო იყოს დაპირისპირების პოლიგონი?**

## დემოგრაფიული ვითარება – ქართველები ეროვნული კატასტროფის წინაშე 8



## 9 აპრილიდან



5

## 9 აპრილამდე

## ეკრანი ჩაბნელდა



21

## ოროსანი თაობის 17 გაზრდას ვაპირებთ?



გიორგი ანდრიაძე: 7

## «კატაკომბური მართლმადიდებელი თემი» – ეს არის ორგანიზაცია, რომელიც «ბირჩის» საპირწონედ მოქმედებს

## მეზობლების მაგალითი – 15 ორიენტირი საქართველოსთვის



პანოპტიკუმი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნატოს „შავი ზღვის ესკადრის“ ეტაპობრივი ფორმირება, სავარაუდოდ, მკვეთრად გაზრდის დაძაბულობას რეგიონში და ეს აუცილებლად საქართველოსაც შეეხება. საზღვაო ტრადიციების სიმცირის გამო, ქართველ ექსპერტებს ხშირად უჭირთ იმ საფრთხეების შეფასება, რომლებსაც შავ ზღვაში ძალთა ბალანსის შეცვლა წარმოშობს. თუმცა შავ ზღვაში ნატოს დაჯგუფების განლაგებას რუსები, დიდი ალბათობით, აღიქვამენ დაახლოებით ისე, როგორც სმოლენსკთან გერმანული ტანკების გამოჩენას.**

# შავ ზღვაში დიდი დაპირისპირება იწყება

**გასულ კვირას ვაშინგტონში ნატოს საგარეო უწყებების ხელმძღვანელთა მინისტერიალმა მიიღო რამდენიმე გადაწყვეტილება, რომლებმაც შავი ზღვის რეგიონში ალიანსის გავლენა უნდა გაზარდოს. საკმაოდ მაღალია იმის ალბათობა, რომ ამას მოჰყვება დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობების გაუარესება და ეს საქართველოსა და უკრაინას ახალი საფრთხეების წინაშე დააყენებს.**



**საქართველოს ხელისუფლებას, ერთი შეხედვით, რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვა არ სურს, მაგრამ, ამასთანავე, სავარაუდოდ, შიშობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ის პოლიტიკას რეგიონში თუნდაც ერთი მილიმეტრით გადაუხვევს, ვაშინგტონმა შეიძლება ხელი შეუწყოს «რეჟიმ ჩეინჯს» და მხარი დაუჭიროს ხელისუფლებაში იმ ძალების მოსვლას, რომელთა თვალსაზრისი საგარეო პოლიტიკაზე გაცილებით რადიკალურია. ამიტომ ძნელი წარმოსადგენია, რომ «ქართულმა ოცნებამ» ამ შემთხვევაში «განსხვავებული მოსაზრება» გამოხატოს, შესაბამისად, რუსეთთან მორიგი დაპირისპირების საფრთხე ახლო მომავალში შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს**

ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყებამდე მოსკოვმა გამოხატა შეშფოთება ნატოში აშშ-ის მუდმივი წარმომადგენლის — **კეი ბეილი ჰატჩისონის** შემდეგი განცხადების გამო: ,,საუბარია ზომებზე, რომლებიც აძლიერებს დაზვერვას, საჰაერო დაზვერვას და ითვალისწინებს ბევრი ხომალდის გაგზავნას ქერჩის სრუტეში, აზოვის ზღვაში უკრაინული გემების უსაფრთხო შეღწევის უზრუნველსაყოფად“. მან დასძინა, რომ ამ ზომებმა უნდა „უზრუნველყოს უსაფრთხოების განცდა“ არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ რუმინეთში, ბულგარეთსა და საქართველოში.

2018 წლის 25 ნოემბერს ქერჩის სრუტეში ცნობილი ინციდენტი მოხდა — რუსულმა ხომალდებმა გზა გადაუღობეს მარიუპოლში მიმავალ უკრაინულ ხომალდებს და მათი ეკიპაჟები დააკავეს. პრობლემა იმის გამო შეიქმნა, რომ მხარეები ქერჩის სრუტის სტატუსს განსხვავებულად აღიქვამენ. უკრაინა არ აღიარებს ყირიმის შესვლას რუსეთის შემადგენლობაში და, შესაბამისად, მოსკოვის უფლებას — არეგულიროს ნაოსნობა ქერჩის სრუტეში, რომელსაც რუსეთი თავის ტერიტორიულ წყლებად განიხილავს. ინციდენტს დასავლეთის მკვეთრად ნეგატიური რეაქცია მოჰყვა — მიიღეს მთელი რიგი რეზოლუციები, რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციები შემოიღეს, გახშირდა ნატოს ხომალდების ვიზიტები შავ ზღვაში და ა.შ. სწორედ ამიტომ **მოსკოვში ჩათვალეს, რომ ჰატჩისონის კომენტარის უკან დგას ნატოს, უპირველესად კი, აშშ-ის სურვილი ქერჩის სრუტეზე და, საერთოდ, შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილზე კონტროლი დაამყაროს.** ნეგატიური კომენტარები ამაზე რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერმა **პესკოვმა** და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **გრუშკომ** გააკეთეს. **„ჩვენი პოზიცია ნათელია. ნატოს ნებისმიერი გაძლიერება შავი ზღვის რეგიონში სამხედრო თვალსაზრისით უაზროა. ისინი არ გაამყარებენ არც რეგიონის, არც ნატოს უსაფრთხოებას და მხოლოდ დამატებით სამხედრო რისკებს მოიტანენ“,** — განაცხადა გრუშკომ.

ვაშინგტონის მინისტერიალის გამართვის პერიოდში შავ ზღვაში ნატოს წევრი ქვეყნების ესკადრა შევიდა. უცნობია, რაზე შეთანხმდნენ მინისტრები კონკრეტულად ქერჩის სრუტის მიმართ, მაგრამ ნატოს გენერალური მდივნის — **იენს სტოლტენბერგის** თქმით, ალიანსი შავი ზღვის რეგიონში დაზვერვას გააძლიერებს, ამასთანავე, უფრო ხშირად გამართავს ერთობლივ სწავლებებს პარტნიორ ქვეყნებთან — უკრაინასა და საქართველოსთან. ნატოს ხომალდების ვიზიტები შავ ზღვაში, ბოლო კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, უფრო ხშირი გახდება.

სამიტის დღეებში ვაშინგტონში ჩავიდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი **დავით ზალკანიანი**. ქართულ მედიასა და სოცქსელებში გაჩნდა კომენტარები იმის თაობაზე, რომ, სანაპირო დაცვის მეზღვაურების წვრთნის გარდა, საქართველომ პერსპექტივაში შეიძლება მიიღოს ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები. 4 აპრილს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა **ლევან იზორიამ** განაცხადა, რომ „ყველა ჩვენი რეფორმა არის ნატოს პოლიტიკასთან თანხვედრაში (ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებს) და ყველაფერი, რაც კეთდება ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების თვალსაზრისით, პირველ რიგში, გულისხმობს ამ საფრთხეების შეკავებასა და თავდაცვას“. ამ და სხვა მსგავსი კომენტარებიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს ხელისუფლება აქტიურად დაუჭერს მხარს ნატოს ახალ ინიციატივებს შავ ზღვაში.

რეგიონში ნატოს მუდმივმოქმედი საზღვაო დაჯგუფების ფორმირების იდეა 2016 წელს რუმინეთის ხელისუფლებამ გაასაჯაროა, თუმცა ექსპერტების ნაწილი დაჟინებით ამტკიცებს, რომ ინიციატივა სინამდვილეში ამერიკულია. წინსვლას ამ მიმართულებით ორი ფაქტორი აფერხებს: აშშ-თურქეთის ბოლოდროინდელი უთანხმოება და ნატოს ევროპელი წევრების სურვილი რუსეთთან კონფრონტაციას თავი აარიდონ. ერთი თვის წინათ ცნობილი შეიქნა, რომ გერმანიის მთავრობის სხდომაზე დაპირისპირება მოხდა შავ ზღვაში ხომალდის გაგზავნის თაობაზე. თავდაცვის მინისტრი **ურსულა ფონ დერ ლაიენი** ამას მხარს უჭერდა, ხოლო კანცლერი **ანგელა მერკელი** წინააღმდეგი იყო.

ნატო შავ ზღვაში სწორედ იმ პერიოდში გააქტიურდა, როდესაც უკრაინაში საარჩევნო ვითარება დაიძაბა, ხოლო ვაშინგტონმა მკვეთრად უარყოფითი პოზიცია გამოხატა ვენესუელაში რუსი სამხედროების გამოჩენის გამო. ის, რომ ვენესუელის მიმართ კონსენსუსის მიღწევა ვერ ხერხდება, გასულ კვირას სახელმწიფო მდივანმა **მაიკ პომპეომაც** დაადასტურა: „ვცდილობდი დამერწმუნებინა, რომ ეს მათ ინტერესებში არ არის, მაგრამ ვფიქრობ, წარმატებას ვერ მივაღწიე“. ვენესუელაში ხელისუფლების სწრაფი შეცვლის გეგმა ჩაიშალა და ძალიან დიდი როლი ამაში რუსეთისა და ჩინეთის პოზიციამ შეასრულა. ეს შეიძლება შავი ზღვის რეგიონში აშშ-ის გააქტიურების, მისი გეოსტრატეგიული კონტრდარტყმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყოს.

31 მარტის ადგილობრივი არჩევნები თურქეთში პრეზიდენტ ერდოღანისთვის არცთუ სასურველი შედეგით დასრულდა. რთული საშინაო პოლიტიკური პროცესების მიუხედავად, ქვეყნის მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა, საგანგებოდ გაესვა ხაზი იმისთვის, რომ დიდი პროექტების, მათ შორის ე.წ. „სტამბოლის არხის“, რეალიზაცია ეჭვქვეშ არ დადგება. ეს ახალი საზღვაო არტერია ბოსფორის სრუტის პარალელურად უნდა გაიჭრას (პროექტის ღირებულება დაახლოებით 20 მილიარდი დოლარია) და გემების ტრანზიტი გააიოლოს. ამ პროექტის ეკონომიკური მნიშვნელობა დიდია, მაგრამ განხილულ კონტექსტში უფრო მნიშვნელოვანია გეოსტრატეგიული ასპექტი. საერთაშორისო სამართლის ექსპერტების ნაწილი ვარაუდობს, რომ ახალი არხი აშშ-ს შესაძლებლობას მისცემს, მონტრეს კონვენციის შეზღუდვები უგულებელყოს, რომელიც, როგორც ცნობილია, შავ ზღვაში უცხო ქვეყნების ხომალდების ტონაჟსა და ყოფნის ვადებს ზღუდავს. ხომალდების საერთო წყალწყვა არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ტონას (გარკვეულ პირობებში ეს ლიმიტი შეიძლება 45 000 ტონამდე გაიზარდოს) და შავი ზღვა სამი კვირის შემდეგ უნდა დატოვონ; გარკვეული შეზღუდვები ხომალდების ცალკეულ კლასებსაც შეეხება. ექსპერტების ნაწილი კი ამტკიცებს, რომ არაფერი შეიცვლება და „სტამბოლის არხზე“ იგივე რეჟიმი გავრცელდება, როგორიც ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე. ნებისმიერ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ შიდაპოლიტიკური დაძაბულობის პიკზე თურქეთის ხელისუფლებამ „მოიცალა“ იმისთვის, რომ პროექტის აქტუალურობა დაედასტურებინა, ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ „სტამბოლის არხი“ „დიდი თამაშის“ ერთ-ერთი ელემენტია.

**იმ პერიოდში, როდესაც ანაკლიის პროექტის რეალიზაცია დაიწყო, ყველა საუბრობდა მასზე, როგორც მხოლოდ ეკონომიკურ პროექტზე. ეს გასაკვირი არაა, რადგან ნებისმიერი მინიშნება იმაზე, რომ კონფლიქტის ზონიდან რამდენიმე კილომეტრში შენდება სამხედრო ან თუნდაც ორმაგი დანიშნულების ობიექტი, რუსეთის მკვეთრად ნეგატიურ რეაქციას გამოიწვევდა და დააფრთხობდა პოტენციურ ინვესტორებსა და დასავლელ ბანკირებს.**

მაგრამ ბოლო თვეებში ბევრი რამ შეიცვალა — გაჩნდა უამრავი პუბლიკაცია ახალი პორტის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე; იმაზე, რომ ის შეიძლება ამერიკელებმა გამოიყენონ. მარტში კი თბილისში ვიზიტად მყოფმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის წარმომადგენელმა — **კურტ ვოლკერმა** ჟურნალისტის კითხვას — შეიძლება თუ არა ისარგებლონ ანაკლიის პორტით ამერიკულმა სუბმარინებმა? — ასე უპასუხა: „პორტი, თავისთავად, ნიშნავს, რომ უნდა მიიღოს გემებიც და წყალქვეშა ნავებიც. ამაში ახალი არაფერია“. ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორ აღიქვეს ეს განცხადება მოსკოვში. **უახლოეს მომავალში წყალქვეშა ნავების ბაზის შექმნამდე საქმე, სავარაუდოდ, არ მივა, რადგან ანაკლიას რუსული საველე არტილერიაც კი „სწვდება“ და ასეთ საშიშ ადგილას სამხედრო-საზღვაო ბაზის შექმნის პრეცედენტი სამხედრო ისტორიაში არ არსებობს (სამხრეთი კორეა და სხვ.), მაგრამ იმის ალბათობა, რომ ახლო მომავალში ანაკლიის პორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დასავლეთში შეიძლება ისევე აქტიურად ალაპარაკდნენ, როგორც ქერჩის სრუტეზე, საკმაოდ მაღალია.**

ნატოს „შავი ზღვის ესკადრის“ ეტაპობრივი ფორმირება, სავარაუდოდ, მკვეთრად გაზრდის დაძაბულობას რეგიონში და ეს აუცილებლად საქართველოსაც შეეხება. საზღვაო ტრადიციების სიმცირის გამო, ქართველ ექსპერტებს ხშირად უჭირთ იმ საფრთხეების შეფასება, რომლებსაც შავ ზღვაში ძალთა ბალანსის შეცვლა წარმოშობს. თუმცა შავ ზღვაში ნატოს დაჯგუფების განლაგებას რუსები, დიდი ალბათობით, აღიქვამენ დაახლოებით ისე, როგორც სმოლენსკთან გერმანული ტანკების გამოჩენას.

საქართველოს ხელისუფლებას, ერთი შეხედვით, რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვა არ სურს, მაგრამ, ამასთანავე, სავარაუდოდ, შიშობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ის პოლიტიკას რეგიონში თუნდაც ერთი მილიმეტრით გადაუხვევს, ვაშინგტონმა შეიძლება ხელი შეუწყოს „რეჟიმ ჩეინჯს“ და მხარი დაუჭიროს ხელისუფლებაში იმ ძალების მოსვლას, რომელთა თვალსაზრისი საგარეო პოლიტიკაზე გაცილებით რადიკალურია. ამიტომ ძნელი წარმოსადგენია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ამ შემთხვევაში „განსხვავებული მოსაზრება“ გამოხატოს, შესაბამისად, რუსეთთან მორიგი დაპირისპირების საფრთხე ახლო მომავალში შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

**ლუკა ნემსაძე**

**„ბოლო წლების განმავლობაში გატარებულმა ყველა ე.წ. რეფორმამ, რომლებიც თითქოს ნატოს სტანდარტებთან დაახლოებას ისახავდა მიზნად, პრაქტიკულად მოშალა და გაანადგურა შეიარაღებული ძალების ყველა მნიშვნელოვანი სეგმენტი. რომელ თავდაცვისუნარიანობაზეა საუბარი, როცა ჯარი პრაქტიკულად დაშლილია და, რაც არის, იმის მნიშვნელოვანი ნაწილიც წასულია ე.წ. სამშვიდობო მისიებში. საუბარია დაახლოებით ათას კაცზე და ათასი კიდევ ემზადება წასასვლელად“.**

არმია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# გურამ ნიკოლაიშვილი: რომელ შეკავებასა და სტაბილურობაზე გველაპარაკებიან, როცა ბრიგადები გააუქმეს და არტილერია, ტანკები ძირითადად კონსერვაციაზეა გადაყვანილი

**საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ 4 აპრილს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყანაზე სამხედრო აგრესია განხორციელდება, „უწყებას კონკრეტულად გაწერილი თავდაცვის გეგმა აქვს“. მისი განმარტებით, აღნიშნული გეგმა, რომელიც სრულად შეესაბამება ნატოს სტანდარტებს, მოწინააღმდეგის მაქსიმალურ შეკავებასთან ერთად, სტაბილურობის შენარჩუნებასაც უზრუნველყოფს: „იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო აგრესია განხორციელდება, ჩვენ გვაქვს კონკრეტულად გაწერილი თავდაცვის გეგმა თავისი სტადიებით, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ მაქსიმალურად შევაჩეროთ მოწინააღმდეგე...**

შეკავება ნიშნავს ორი კომპონენტის ერთობლიობას, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო კომპონენტის, ანუ ისეთი მაღალი ხარისხის გარემოს შექმნას, რათა პოტენციურ მოწინააღმდეგეს ჰქონდეს იმის განცდა, რომ შეტევის შემთხვევაში, მას ეს ძვირად დაუჯდება, როგორც პოლიტიკურად, ისე სამხედრო თვალსაზრისით“... მინისტრს თავის გამოსვლაში არ განუმარტავს, კონკრეტულად რა განაპირობებს საქართველოს თავდაცვის გეგმის ეფექტიანობას ან რა სტრატეგიას ეფუძნება პოტენციურ მოწინააღმდეგეზე პოლიტიკური ზეწოლის გეგმა და რატომ შეიძლება ის აგრესიის შემაკავებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდეს. არის თუ არა დღეს საქართველოს შეიარაღებული ძალები ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიისთვის მზად და რა რესურსებს ფლობს ქვეყანა რეალურად ამ თვალსაზრისით?

„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება გენერალ-ლეიტენანტი **გურამ ნიკოლაიშვილი.**

**— ბატონო გურამ, თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, რომ სამხედრო აგრესიის შემთხვევაში მის უწყებას აქვს ნატოს სტანდარტების შესაბამისი გეგმა, რომელიც აერთიანებს როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო კომპონენტებს. ეფექტიანი თავდაცვის გეგმა აქვს დღეს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს?**

— მე, როგორც გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, რომელიც ამ გეგმებს ვაკეთებდი და ვამუშავებდი წლების განმავლობაში, გეტყვით, რომ დღეს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს არანაირი გეგმა არ აქვს. რაც აქვთ, ეს არის აბსოლუტურად უვარგისი და ამოვარდნილი იმ რეალობის, იმ საფრთხეების კონტექსტიდან, რომლებიც სინამდვილეში არსებობს. რაც შეეხება **იზორიას** გამოსვლას, ჯერ ერთი, თავდაცვის გეგმაზე მინისტრი კი არა, გენერალური შტაბის უფროსი უნდა ლაპარაკობდეს, და მეორე — **რომელ ეფექტიანობაზეა საუბარი, როცა ბოლო წლების განმავლობაში გატარებულმა ყველა ე.წ. რეფორმამ, რომლებიც თითქოს ნატოს სტანდარტებთან დაახლოებას ისახავდა მიზნად, პრაქტიკულად მოშალა და გაანადგურა შეიარაღებული ძალების ყველა მნიშვნელოვანი სეგმენტი. რომელ თავდაცვისუნარიანობაზეა საუბარი, როცა ჯარი პრაქტიკულად დაშლილია და, რაც არის, იმის მნიშვნელოვანი ნაწილიც წასულია ე.წ. სამშვიდობო მისიებში. საუბარია დაახლოებით ათას კაცზე და ათასი კიდევ ემზადება წასასვლელად.** ან რომელ შეკავებასა და სტაბილურობაზე გველაპარაკებიან, როცა ბრიგადები გააუქმეს და არტილერია, ტანკები კონსერვაციაზეა, ძირითადად, გადაყვანილი. ტანკების უმეტესობა მწყობრიდანაა გამოსული.

**— გამოდის, მინისტრის გამოსვლა თავიდან ბოლომდე სიცრუეზე იყო აგებული?**

— თავისთავად ის ფაქტი, რომ ასეთ თემაზე ლაპარაკობს არა შესაბამისი სამხედრო თანამდებობის პირი, ანუ გენერალური შტაბის უფროსი, არამედ პოლიტიკური ფიგურა — თავდაცვის მინისტრი, უკვე ცხადყოფს, რომ ეს გამოსვლა თავიდან ბოლომდე გათვლილი იყო გარკვეულ შიდა პოლიტიკურ მოხმარებაზე და არა იმაზე, რომ რეალურად საქმეზე ესაუბრათ. დავუბრუნდეთ ისევ შეიარაღებულ ძალებს. არ მინდა, ზოგადი ფრაზებით გავაკეთო შეფასებები, ამიტომ კონკრეტულად ვისაუბრებ. **ბიუჯეტი გავზარდეთ და თავდაცვისუნარიანობა ამაღლდაო, რომ ამბობენ, ორი მილიარდი დოლარის სამხედრო ტექნიკა იყო შეძენილი 2008 წლამდე. სად არის დღეს ეს ტექნიკა? ნაწილი ომის დროს განადგურდა, ნაწილი დაიკარგა, ნაწილი გადაიყვანეს კონსერვაციაზე. სხვათა შორის ბევრი დაჭრეს და უტილიზაციაზე გაუშვეს...**

**— კონკრეტულად რომელ ტექნიკაზეა საუბარი?**

— მაგალითად, უტილიზაციაზე გაუშვეს საჰაერო თავდაცვის დანადგარი, 1000-მილიმეტრიანი KS-19, რომელიც 19 კილომეტრზე ისვრის, და 57-მილიმეტრიანი S-60. რატომ, რისთვის, არავინ იცის. ჯამში, სულ 600 ერთეული დანადგარი დაჭრეს. სანაცვლოდ რა მივიღეთ? — შეიძინეს „ჯაველინები“. ახლა ვიღაც იტყვის: რა არის ცუდი, თუ შეიძინესო?! თავისთავად არც არაფერი, მაგრამ რას წარმოადგენს ეს „ჯაველინი“, რა შეუძლია? „ჯაველინის“ სროლის მანძილი სამი კილომეტრია. ჩნდება შეკითხვა: **სამ კილომეტრზე რომ მოგიახლოვდება მოწინააღმდეგის ტექნიკა, შენი პოზიციები დაცული იქნება?** რაც შეეხება რეფორმებს, ჩვენ ხშირად გვესმის განცხადებები, რომ ბიუჯეტი გაიზარდა, მიდის შეიარაღების მოდერნიზაცია, რომ სამხედროები გადამზადებას გადიან... ძალიან კარგია, თუ რამ კარგი კეთდება, მაგრამ კონკრეტულ შედეგში ჩანს, რომ ამ რეფორმებმა რამე გააუმჯობესა?! **გაუმართავი ტექნიკაა მოდერნიზაცია თუ კონსერვაციაზე გადაყვანილი ტანკები?! ნებისმიერი ჯარისკაცი გეტყვით, რომ არმიაში კატასტროფული მდგომარეობაა.**

**— თუ გაქვთ ინფორმაცია, ყველაზე მეტი პრობლემა რომელ სეგმენტშია?**

— მთლიანად შეიარაღებულ ძალებშია სერიოზული პრობლემები. მაგალითად, ხონის ბრიგადაში თვითმავალი საარტილერიო დანადგარების უმეტესობა მწყობრიდანაა გამოსული, დაახლოებით 15-20 პროცენტია გამართული. დანარჩენი გადააქვთ ხოლმე სპეციალური ტექნიკით. არადა, თვითმავალი იმიტომ ჰქვია, რომ თავისი სვლით უნდა მივიდეს დანიშნულების ადგილამდე.

ახლა საზღვაო ძალები ავიღოთ. ერთი ნორმალური გემიც არ არის, ჰყავთ მხოლოდ სასაზღვრო ძალების პატარა კატარღები, რომლებიც პატრულირებისთვის გამოიყენება. მინისტრი ამბობს, რომ აქვთ თავდაცვის ეფექტიანი გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სტაბილურობას და ა.შ. საზღვაო სივრცეს რით დაიცავენ? ვთქვათ, მოხდა დესანტის გადმოსხმა, რა საშუალებები არსებობს თავდაცვისთვის? აი, ამაზე ესაუბრა ბატონ იზორიას, მაგრამ როგორ ისაუბრებდა, როცა რეალურად ამ საქმის არაფერი ესმის...

**— მან გამოსვლისას რამდენჯერმე ახსენა ნატოს სტანდარტები. რას ნიშნავს ეს სტანდარტები?**

— კიდევ ვიმეორებ: ეს არის სიტყვების თამაში, გათვლილი პოლიტიკურ პიარზე. სინამდვილეში არ არსებობს არავითარი ნატოს სტანდარტი, იმიტომ, რომ რა შეიარაღებაც შენ გაქვს მოცემულ მომენტში, ის არის სტანდარტი. საერთოდ, ამ პოლიტიკის მიზანი არის ის, რომ საქართველო უნდა გადავიდეს ამერიკის მიერ წარმოებულ სამხედრო ტექნიკაზე. არადა, ჩვენი ბიუჯეტი წარმოუდგენლად მწირია. შეგვიძლია ჩვენ უახლესი შეიარაღების შეძენა? ჯერ ერთი, ამ შეიარაღებას ასე იოლად არავინ მოგვყიდის და მეორეც — გვაქვს კი ამდენი ფული? **ესენი ნატოს სტანდარტებს ეძახიან „ჯაველინებს“ და „სტინგერებს“. არადა, არც ერთი და არც მეორე არ არის იმ ტიპის შეიარაღება, რომელზეც შეიძლება სახელმწიფომ თავდაცვა ააწყოს...**

რაც შეეხება პოლიტიკურ განცხადებებს, იზორიას შემდეგ თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი სესიაშვილი** გამოვიდა და ილაპარაკა, რომ ვიღაცამ ფული მოიპარა, ვიღაცამ გაფლანდა და ა.შ. — მოვისმინეთ მხოლოდ ბრალდებები. მაინტერესებს, ამ ადამიანებისთვის მხოლოდ ეს არის საქმე? **მობილიზაციის კანონი არ გაქვს, ყოფილი სამხედროების საპენსიო უზრუნველყოფის კანონი არ გაქვს, რა ბრალდებებზე ლაპარაკობ?!** თუ ვინმემ რამე დააშავა, არსებობს პროკურატურა, გამოიძიონ და მიიღონ ზომები. შეიძლება თავდაცვის მინისტრი ან პარლამენტის წევრი ამაზე საუბრობდეს?! სხვათა შორის, იმავე გამოსვლაში იზორიამ განაცხადა, რომ თავდაცვის გეგმა მოიცავს, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ ნაწილს და ხაზგასმით აღნიშნა: ნებისმიერ მოწინააღმდეგეს პოლიტიკურადაც ძვირი უნდა დაუჯდეს აგრესიის განხორციელებაო. ჩნდება შეკითხვა: რა პოლიტიკური მექანიზმები აქვს საქართველოს, რომ ძვირი დაუჯინოს, ვთქვათ, რუსეთს სამხედრო აგრესია ან თურქეთს? რუსეთს იმიტომ ვამბობ, რომ მაინც ის იგულისხმება, როცა ესენი საფრთხეებზე საუბრობენ...

**— ალბათ, დასავლეთის პოლიტიკურ მხარდაჭერას გულისხმობდა.**

— უკვე წლებია, დასავლეთი სანქციებს სანქციებზე უწესებს რუსეთს და ცდილობს, ეკონომიკურად დაანგრიოს, მაგრამ რა, დაინგრა?! დაიწევს პუტინის რეიტინგი — არის აჟიოტაჟი: ემხობაო, მერე ისევ აიწევს... ეს ჩვენთვის არაფრის მომტანი რომ არ არის, ხომ ცხადია?! ახლა რაც შეეხება შესაძლო აგრესიას: **რუსეთი თავის გავლენის სივრცეში აგრესიას განახორციელებს ერთადერთ შემთხვევაში: თუ დაინახავს საშიშროებას, რომ ნატო შეიძლება მის საზღვრებს მიუახლოვდეს და საფრთხე შეუქმნას. აი, ამ სცენარის შემთხვევაში სამხედრო დაპირისპირება, ცხადია, გარდაუვალი იქნება, მაგრამ, მეორე მხრივ, ვაშინგტონი, რა თქმა უნდა, არასოდეს დაუშვებს კრემლთან პირდაპირ კონფლიქტს...**

**— თუმცა ბოლო პერიოდში სულ უფრო აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ალიანსი შავ ზღვაზე პოზიციებს იმაგრებს.**

— 1960-იანი წლების „კუბის კრიზისი“ ყველამ ვიცით. მაშინ კენედის შეუტანეს პენტაგონის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ერთდროულად 150 ობიექტზე დარტყმას. კენედი გაეცნო ამ გეგმას და იკითხა: კი მაგრამ, არსებობს გარანტიები, რომ ამ იერიშების განხორციელების შემდეგ ამერიკაში არ ჩამოვარდება მოწინააღმდეგის თუნდაც ერთი ბომბი? მას უთხრეს, რომ არა. მორჩა, იმის იქით ის გეგმა არ წასულა. მერე დაიწყო ფიქრი სხვა გამოსავალზე. ამით იმის თქმა მინდა, რომ **ისეთ ზესახელმწიფოებს შორის, როგორიცაა რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, არასოდეს მოხდება პირდაპირი კონფლიქტი. ისინი ყოველთვის გამონახავენ მესამე ქვეყანას, სადაც ირიბად დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, მოსინჯავენ ძალებს, გამოცდიან იარაღს და ა.შ.** მერე კი, როცა ერთ-ერთი დაინახავს, რომ მას ეს კონფლიქტი დივიდენდებს ვერ აძლევს, წავა. ეს ასე ხდება საერთოდ. **ვიქნებით თუ არა ჩვენ ასეთი პოლიგონი, ძნელი სათქმელია, მაგრამ არსებული ხელისუფლების მანკიერი საგარეო პოლიტიკის პირობებში ნამდვილად არაფერი გამიკვირდება. საერთოდ, საქართველოს დღეს სათავეში სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ერთი კვალიფიციური, ჭკვიანი და საქმის მცოდნე პოლიტიკური ფიგურაც არ ჰყავს,** ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვხედავ. საქართველოს ჰყავს დასავლეთის მიერ ლეგიტიმირებული მექანიკური ხელისუფლება, რომელიც ასრულებს მანქანის ფუნქციას. მისცემენ ბრძანებას — იწყებს შესრულებას, მორჩა! იმის იქით ამ მოქმედების ანალიზი და გააზრება არ ხდება. აი, ეს არის დღეს, ჩემი აზრით, ყველაზე დიდი საფრთხე და ამ პირობებში, რა თქმა უნდა, ყველაფერია მოსალოდნელი...

**«საქართველოს დღეს სათავეში სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ერთი კვალიფიციური, ჭკვიანი და საქმის მცოდნე პოლიტიკური ფიგურაც არ ჰყავს. საქართველოს ჰყავს დასავლეთის მიერ ლეგიტიმირებული მექანიკური ხელისუფლება, რომელიც ასრულებს მანქანის ფუნქციას. მისცემენ ბრძანებას — იწყებს შესრულებას, მორჩა! იმის იქით ამ მოქმედების ანალიზი და გააზრება არ ხდება»**

ესაუბრა **ჟაბა ჟვანია**

ჩაკუჩსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როცა ისეთ ქვეყნებზეა საუბარი, როგორიც საქართველოა, ყველა ერთხმად გაჰყვირის, რა და როგორ უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ კარგად იყოს... ამერიკა. ეგ კი არა, ქვეყნის ბიუჯეტის დაგეგმვასა და პრიორიტეტების განსაზღვრაშიც კი ერევიან და გვითითებენ, ჩვენი, ჩემი და თქვენი ფული რისთვის უნდა დაიხარჯოს. თურმე ოკეანის გაღმიდან უკეთესად ჩანს აქ არსებული პრობლემები, თურმე ჩვენ არ ვიცით და ვერ ვხვდებით, რა არის ჩვენთვის კარგი და ამიტომ შტატებს უნდა დავემორჩილოთ.**

# ვერავინ ვერ ბედავს ხმამაღლა იმის თქმას, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს აღარ სჯერა, ოდესმე თუ მიიღებენ ნატოში, რომ ამერიკა და ევროპა ჩვენზე ზრუნავს

## ეს ოფიციალურად რომ გაცხადდეს, საქართველო იმ გრანტებს დაკარგავს, რომლებსაც ამერიკა და ევროპა გამოხრული ძვალივით გვიგდებს

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხმამაღლა და გარკვევით თქვა: ნატოს წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან, შეიარაღებაზე მთლიანი შიდა პროდუქტის 2% დახარჯონ და კეთილი ინებონ, ეს ყველაფერი 2020 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინონ, ხოლო შემდეგ ეს ციფრი უნდა გააორმაგონ. ტრამპის ინიციატივა არ მოეწონათ გერმანიასა და საფრანგეთს, იმ ორ სახელმწიფოს, რომლებიც ნატოში პირველი ვიოლინოს ფუნქციას ხშირად ასრულებენ.**




**ანგელა მერკელისა** და **ემანუელ მაკრონის** აღშფოთება იმან გამოიწვია, რომ საქმე რეალურად მილიარდებს ეხება და ისინი ამ თანხის თავდაცვაში გადასროლისგან თავს იკავებენ. სამაგიეროდ, საქართველოში უკვე აქტიურად დაიწყეს საუბარი, რომ, როგორც ნატოს წევრობის მოსურნე ქვეყანა, ცუდი არ იქნება, თუ ტრამპის ინიციატივას მხარს ავუბამთ და უკვე 2020 წელს შევეცდებით აღნიშნული დავალების შესრულებას. ეს იმის მიუხედავად, რომ ამერიკის პრეზიდენტს საქართველო და, საზოგადოდ, ის ქვეყნები, რომლებიც ნატოს კარზე, ათეული წლებია, ამაოდ აკაკუნებენ (და კიდევ, სულ ცოტა, ათი წლის განმავლობაში იმავეს კეთება მოუწევთ), საერთოდ არ უხსენებია.

საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტი 2019 წელს 790 მილიონი ლარით განისაზღვრა. თუ ვიმეტიჩრებთ და (ამას სხვა რამეს ვერ დავარქმევთ) ტრამპის ინიციატივას საკუთარი სურვილით შევუერთდებით, 2020 წელს თავდაცვის ბიუჯეტი 2 მილიარდი ლარით უნდა განისაზღვროს და რეალურად მილიარდ 210 მილიონი უნდა მოაკლდეს ინფრასტრუქტურას, ჯანდაცვას და ა.შ.

ისიც გავიხსენოთ, რომ შარშან **საქართველომ ამერიკისგან 75 მილიონის ღირებულების ტანკსაწინააღმდეგო სისტემა „ჯაველინი“ შეიძინა. საქართველოს მოსახლეობამ იცის, რომ „ჯაველინები“ გვაქვს, მაგრამ რატომ ვიყიდეთ, რისთვის გვჭირდება, არავის უთქვამს. თუ უახლოეს ხუთ წელიწადში ომის დაწყებას ვაპირებთ და გვიმალავენ, ვერ გეტყვით, მაგრამ, ოფიციალურად რასაც გვეუბნებიან, უბრალოდ, დიდი სისულელეა.** „ჯაველინების“ შეძენა სახელმწიფომ შემდეგი ოფიციალური განმარტებით „გააპრავა“: საქართველოსადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოს ეცოდინება, რომ გვაქვს „ჯაველინები“ და სამხედრო ინტერვენციისგან თავს შეიკავებს...“

მტრულად განწყობილ სახელმწიფოში, რაღა თქმა უნდა, რუსეთი იგულისხმეს და გვაჯერებენ, რომ, რუსეთმა თუ დააპირა რომელიმე სახელმწიფოში ინტერვენცია, „ჯაველინები“ შეაშინებს. წეღან ხუთი წელი შემთხვევით არ გვიხსენებია, **ხუთი წლის შემდეგ ჩვენ მიერ ნაყიდ „ჯაველინებს“ ჩალის ფასი დაედება, რადგან შეიცვლება სტანდარტები, მოიგონებენ ახალ რამეს და შეგვრჩება ეს „ჯაველინები“.** წეღანაც ვთქვი: თუ მანამდე ომს ვაპირებთ, გვითხარით, მერე ისე რომ არ გამოვიდეს, კობახიძემ ტელევიზიით მოგვიწოდოს, — ჩანგლებითა და დანებით გამოდით თავის დასაცავადო. თუ არაფერს ვაპირებთ და ეს ჯაველინები, უბრალოდ, სავარჯიშოდ უნდა გავისროლოთ, **ცოტა ძვირი სიამოვნება ხომ არ არის, ბატონებო, 75-მილიონიანი ვარჯიში?!**

ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ **„ჯაველინების“ შეძენა საქართველოს აზრადაც არ მოსვლია, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ გვითხრა, — გჭირდებათო და მაშინვე გამოინახა 75 მილიონი, ანუ ამერიკას დასჭირდა ჩამოსაწერი იარაღის მოშორება და ჩვენ შემოგვტენა. ჰო, სწორედ რომ შემოგვტენა, თორემ კიდევ ვიმეორებთ: თავდაცვის ეს საშუალება დღევანდელ რეალობაში საქართველოს არაფერში სჭირდება. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ამერიკის წინაშე თითქოს ვალდებულება გვაქვს, რასაც გვიბრძანებს, უსიტყვოდ შევასრულოთ.** თუ ასე არ არის, მაშინ რატომ ვიყიდეთ „ჯაველინები“ და ახლა რატომ უნდა დავხარჯოთ ორი მილიარდი ლარი თავდაცვაზე (თავდაცვაზე კი არა, სინამდვილეში ამერიკელებს უნდა გადავუხადოთ ვითომ ჩვენი თავდაცვის უზრუნველსაყოფად) იმის იმედად, რომ ნატოს კარს გაგვიღებენ. ეს მაშინ, როცა თუნდაც **ნიკოლა სარკოზიმ**, საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, ორიოდე თვის წინათ ხმამაღლა და მკაფიოდ განაცხადა, საქართველოს ნატოში შესვლის შანსი არ აქვს და აჯობებს, შავი ზღვის კავშირის შექმნაზე იფიქროსო. **ეს ის სარკოზია, პრეზიდენტობისას ხშირად რომ იმეორებდა, საქართველო მალე გახდება ნატოს სრულუფლებიანი წევრიო, მაგრამ როგორც კი ტყუილის თქმის ვალდებულება მოეხსნა, როგორც ჩანს, სინდისმა შეაწუხა და მწარე სიმართლე გვითხრა. თუმცა, მაშინ გვჯეროდა სარკოზის, ახლა აღარ გვჯერა, ანუ ვიჯერებთ იმას, რაც სხვებს ხელს აძლევთ. ასე ილუზიებში ცხოვრება კარგი რომ არ არის, ჩვენზე კარგად ხელისუფლებაში იციან, მაგრამ რა?!**

მაშინ, როცა ამერიკის მითითებებს უსიტყვოდ ვასრულებთ, **ერთ დღეს კარგ ან ცუდ განწყობაზე გაღვიძებულმა ტრამპმა რომ გვიბრძანოს, რუსეთთან ომი დაიწყეთო, რას ვაპირებთ?** მე გეტყვით, ამერიკა რას იზამს ასეთ შემთხვევაში — **ჩამოწერილ იარაღს მამასისხლად შეგვასყიდვინებს, თვითონ ევროპასთან ერთად აღშფოთდება, შემდეგ გამოუშვებს საქართველოში მეათე რანგის მოხელეს (რომელსაც აქ ჩამოსვლის შემდეგ პირველ პირზე მეტი უფლებებით აღვჭურვავთ) და განაცხადებს, რომ რუსეთი აგრესორია, ახალ სანქციებს მოიფიქრებს და ამით დასრულდება ეს ამბავი.** მერე რა, რომ ჩვენი განვითარება კი არ შეფერხდება, არამედ განადგურდება, ინფრასტრუქტურა მოიშლება, ისედაც სიღარიბეში მყოფი მოსახლეობა სრულიად გაღატაკდება და დავრჩებით ბედის ანაბარა. ზუსტად ისე, როგორც არა ერთხელ და ორჯერ დავრჩენილვართ, მაგრამ ჭკუა ვერ ვისწავლეთ.

**არც ევროპასა და არც ამერიკას ჩვენთვის კარგი არაფერი გაუკეთებიათ. ვილაც იტყვის: ისინი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები არიანო. დაასაბუთეთ, რაში გამოიხატება ეს სტრატეგიული პარტნიორობა: ერთობლივად ჩატარებულ წვრთნებში, რომელიც ბიუჯეტს საკმაოდ ძვირი უჯდება და საქართველო სავარჯიშო «მსხლის» ფუნქციას ასრულებს თუ საერთაშორისო მისიებში, რომლებშიც ამერიკას კონკრეტული ინტერესები აქვს და ჩვენი ბიჭები საზარბაზნე ხორცად ჰყავს წინა ხაზზე დაყენებული?!**

**გნებავთ, უახლოეს, გნებავთ, საუკუნეების წინანდელ ისტორიას რომ გადავხედოთ, არც ევროპასა და არც ამერიკას ჩვენთვის კარგი არაფერი გაუკეთებია. ვილაც იტყვის, ისინი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები არიანო, მაგრამ დაასაბუთეთ, რაში გამოიხატება ეს სტრატეგიული პარტნიორობა? ერთობლივად ჩატარებულ წვრთნებში, რომლებიც ბიუჯეტს საკმაოდ ძვირი უჯდება და საქართველო სავარჯიშო „მსხლის“ ფუნქციას ასრულებს, თუ საერთაშორისო მისიებში, სადაც ამერიკას კონკრეტული ინტერესები აქვს და ჩვენი ბიჭები საზარბაზნე ხორცად ჰყავს წინა ხაზზე დაყენებული?!** როცა ისეთ ქვეყნებზეა საუბარი, როგორიც საქართველოა, ყველა ერთხმად გაჰყვირის, რა და როგორ უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ კარგად იყოს... ამერიკა. ეგ კი არა, აგერ, **ქვეყნის ბიუჯეტის დაგეგმვასა და პრიორიტეტების განსაზღვრაშიც კი ერევიან და გვითითებენ, ჩვენი, ჩემი და თქვენი ფული რისთვის უნდა დაიხარჯოს. თურმე ოკეანის გაღმიდან უკეთესად ჩანს აქ არსებული პრობლემები, თურმე ჩვენ არ ვიცით და ვერ ვხვდებით, რა არის ჩვენთვის კარგი და ამიტომ შტატებს უნდა დავემორჩილოთ.**

ვინმეს ახსოვს, ბოლოს როდის ითქვა საერთაშორისო დონეზე, რომ საქართველოსთვის უმჯობესი იქნება ეს და არა ის? როდის თქვეს ჩვენი ქვეყნის პირველმა პირებმა რა არის ქვეყნისთვის უკეთესი, როდის წარადგინეს საკუთარი ხედვა?! **ჩვენ ასეთი რამ არ გვახსოვს, მაგრამ ის კი გვახსოვს, როგორ კითხულობს ხან პრეზიდენტი და ხან პრემიერი მაღალი ტრიბუნიდან ამერიკა-ევროპის მიერ დაწერილ სიტყვას, როგორ უქნევს თითს რუსეთს, როგორც ცდილობს ლიბერალიზმის დამკვიდრებას და როგორ უმტკიცებს სრულიად მსოფლიოს, რომ საქართველოში ყველა მოქალაქე ამ აზრზეა.** ადრეც დაგვიწერია და ახლაც გავიმეორებთ — **რა გახდა ერთი რეფერენდუმის ჩატარება იმის გასარკვევად, რეალურად რა სურს საქართველოს მოსახლეობას?!** ხომ ძალიან მარტივია ამის გაკეთება და მით უმეტეს მაშინ, როცა ამერიკის ხუშტურებისთვის თურმე ორი მილიარდი გადადებულ-გამზადებული გვაქვს. იქნება ის თანხა ბიუჯეტში, რომელიც რაფერენდუმის გამართვას უზრუნველყოფს და ეგებ მაშინ მაინც დაინახოთ სიმართლე? თუმცა არა, **სიმართლე ისედაც იცის ყველამ, უბრალოდ, ამის ოფიციალურად გაფორმება და აღიარება არ სურს არავის. ვერავინ ვერ ბედავს ხმამაღლა იმის თქმას, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს აღარ სჯერა, ოდესმე (და არა წლების შემდეგ) თუ მიიღებენ ნატოში, რომ ამერიკა და ევროპა ჩვენზე ზრუნავს, რომ ჩვენი ხსნა ევროატლანტიკური სივრცისკენ სწრაფვაა... ეს ოფიციალურად რომ გაცხადდეს, საქართველო იმ გრანტებს დაკარგავს, რომელსაც ამერიკა და ევროპა გამოხრული ძვალივით გვიგდებს.**

ვერ გეტყვით, როდემდე ვიცხოვრებთ ილუზიებში, მაგრამ ის ხომ გახსოვთ, წინა ხელისუფლება ამ ილუზიებმა შეიწირა. ისინი შიგნით ჩვენ და გარეთ დანარჩენ მსოფლიოს უმტკიცებდნენ, რომ ყველაფერი რიგზე იყო, რომ ქართველების ახალი, მორჩილი ჯიში გამოიყვანეს, რომ ქვეყანა წინ მიდიოდა, რომ ქალაქები შენდებოდა, რომ საქართველოს რუსეთის დამარცხება შეეძლო, რომ... რომ... რომ... და საბოლოოდ მივედით იქამდე, სადაც ახლა ვართ და ამის იქეთ, ალბათ, არც არაფერია.

კონგოელი ფეხბურთელის, ერვინ ჯო ბოტაკა იობომას სახელი, ალბათ, არაფერს გეუბნებათ. ამ 20 წლის ბიჭმა გასულ წელს ექვსი თვე წყალტუბოს „სამგურალში“ ითამაშა, მანამდე მოსკოვის „ლოკომოტივში“ ირჯებოდა, ახლა კი რუსეთის მესამე ლიგის გუნდშია. რუსმა ჟურნალისტებმა მასთან ინტერვიუ ჩაწერეს და საქართველოზეც ჰკითხეს.

„ქართველებს ძალიან უყვართ რუსეთი და მოსკოვი. ყველა მეკითხებოდა, საიდან ჩამოვედი, მე კი ვპასუხობდი: „მოსკოვიდან“. ამის შემდეგ ყველა ამბობდა „ო, მოსკოვი!“. ჩემი აზრით, მოსკოვში ცხოვრება თუ არა, ჩამოსვლა მაინც ყველა მათგანს სურდა. მათ რუსეთსა და მოსკოვთან ძალიან თბილი და სასიამოვნო მოგონებები აკავშირებთ...“

ეს კონგოელმა ბოტაკამ თქვა, საქართველოში რომ ექვსი თვე დაჰყო, იმან...

**ბესო ბარბაქაძე**

9 აპრილს დაღუპულთა სულების საოხად, სხვა თუ არაფერი, ის მაინც უნდა გავაკეთოთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 9 აპრილს აღვნიშნოთ და არა მენშევიკების მიერ ყურითმოთრეულ 26 მაისს. დიახ, ყურით მოთრეულ, რადგან მენშევიკებს სიზმარშიც კი არ უოცნებიათ საქართველოს დამოუკიდებლობაზე და თავის დროზე, რომ იტყვიან, ძალისძალად, შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, იძულებით გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა და იქნებ სწორედ ამ ძალისძალობის გამო აღმოჩნდა საქართველოს პირველი დემოკრატიული ხელისუფლება სუსტი და უდღეური.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 9 აპრილიდან 9 აპრილამდე

**თითქმის მესამედი საუკუნეა, ქართველი საზოგადოება ვერ შეთანხმებულა იმაზე, რა იყო 1989 წლის 9 აპრილი — უაზროდ დაღვრილი სისხლი თუ ქართველი ერის გამარჯვება? — წერილზე მუშაობის დაწყების წინ ინტერნეტს გადავხედე და აღმოჩნდა, რომ ორივე მოსაზრებას დღესაც ჰყავს მომხრენი და მოწინააღმდეგენი.**

თუმცა, ინტერნეტში ჩემი „ქექვის“ მიზეზი მხოლოდ ეს არ ყოფილა. მე, როგორც 30 წლის წინანდელი ამბების მომსწრესა და აქტიურ მონაწილეს, მსურდა, ხსენებული საკითხზე მეთქვა ორიოდე სიტყვა და სამოც წელს გადაცილებულმა კაცმა გავაცნობიერე, რომ იმჟამინდელი ამბებიდან ბევრი რამ დამვიწყებია და ბევრიც ბუნდოვნად მახსოვს. ნათქვამია, ცოდვა გამხელილი სჯობსო და ვაღიარებ, რომ ამ 30 წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს ერთ მოსაზრებასაც ვიზიარებდი და მეორესაც.

თავდაპირველად, მეც გულზე მუშტების ბრაგუნით გავიძახოდი, რომ უაზროდ დაღვრილი სისხლი არ არსებობს; რომ 9 აპრილმა დაანგრია სსრკ-ის წითელი იმპერია; რომ ამ „წითელი ჭირის“ დანგრევაში შეტანილი წვლილისთვის, როგორც ოსტაპ ბენდერი იტყოდა, „ზაპად ნამ პომოჟეტ“ და, თუ აშშ 51-ე შტატად არ მიგვიღებს, დიდი დასავლეთი პატარა საქართველოს არავის დააჩაგვრინებს; რომ, ბოლოს და ბოლოს, ბალხს შევჭამთ და ზედ ბორჯომჩაის დავაყოლებთ და სხვ.

მერე და მერე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1990-ანი წლების დასაწყისში, საქართველოს პოსტსაბჭოთა ისტორიაში ზვიად გამსახურდიას ჯერჯერობით ერთადერთი ეროვნული ხელისუფლება დაამხეს „მხედრიონისა“ და „ოპოზიციურ პარტიებთან“ არსებულმა შეიარაღებულმა ბანდებმა, ასაკის მატებასთან ერთად, „პროვინციულ ფაშიზმთან“ (ამ ტერმინის მოგონება არ გინდა?) მებრძოლი **ედუარდ შევარდნაძის** ხელისუფლების პერიოდიდან ჩემი ემოციური ურაპატრიოტული განწყობები 9 აპრილის (და არა მხოლოდ 9 აპრილის) მიმართ ნელ-ნელა ცივი გონების პრაგმატული მიდგომებით იცვლებოდა. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომიდან დღემდე პერიოდში კი მითი კეთილი დასავლეთისა და ბოროტი რუსეთის შესახებ, პირადად ჩემთვის სამუდამოდ დასამარდა.

ახლა მავანი მკითხავს და ერთი შეხედვით სამართლიანადაც — **რა შუაშია აქ (ბოლო პასაჟის მიმართ) 9 აპრილი?**

უშუალოდ არც არაფერში და სწორედ ამიტომ ვთქვი ზემოთ, არა მხოლოდ 9 აპრილისმეთქი. უბრალოდ, ჯერ მინდა, 9 აპრილის მიმართ დავსვა მთავარი კითხვები: **როგორიც დღეს არის, ასეთ საქართველოზე ვოცნებობდით 30 წლის წინათ სისხლიანი 9 აპრილის მონაწილენი? ასეთი საქართველოსთვის დაიღუპნენ, ვინც ვერ გაასწრო იმ დილას სიკვდილს?**

ჩემი ღრმა რწმენით, 9 აპრილის ტრაგედია მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია მის შემდეგ მომხდარ ტრაგედიებთან და მსგავსი კითხვების დასმა მათ მიმართაც ლეგიტიმურია — **ასეთი საქართველოსთვის დაეცნენ აფხაზეთ-ცხინვალისა თუ რუსეთ-საქართველოს ომის მსხვერპლნი?**

**აღარაფერს ვამბობ ნატოს „სამშვიდობო ოპერაციებში“ მართლაც უაზროდ დაღუპულ ქართველ „მამლუქებზე“.** აი, მთავარი კითხვები არა მხოლოდ წინამდებარე წერილისა, არამედ, საზოგადოდ, საქართველოს პოსტსაბჭოთა უახლესი ისტორიისა.

მამული — გაგლეჯილ-გამოგლეჯილი; ენა — წარყვნილი; სარწმუნოება — შეგინებული; ეკლესია — გახლეჩილი და დასუსტებული... ერთი სიტყვით, რაც დიდმა **ილიამ** დაგვიდგინა სამებად — „მამული, ენა, სარწმუნოება“ — და მისი მოვლა-პატრონობა დაგვიგდო ანდერძად შთამომავლებს, ვერც ერთს ვერ მოვუარეთ.

იქ, სადაც 9 აპრილს წამებულთა წმინდა სისხლი დაიღვარა, დღეს ნარკომანები, ბარიგები მართავენ საპროტესტო აქციებს: როგორ თუ ნარკოტიკების ყიდვა-გაყიდვის უფლებას არ გვაძლევენო; ხოლო იმავე ადგილას, 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალზე, „პროსტიტუტკები“ როკავენ, რითაც შეურაცხყოფენ წამებულთა სულებს, თუმცა, მათ რომ ჰკითხო, მემორიალზე უკანალების თახთახი შეურაცხყოფა კი არა, იმ თავისუფლების დემონსტრაციაა, რომელი თავისუფლებისთვისაც 30 წლის წინათ დაიღვარაო ახალგაზრდების უმანკო სისხლი.

მეტიც — 2012 წლიდან დღემდე ქართველი ლგბტ პირები ყოველ 17 მაისს ცდილობენ გეიაღლუმის ჩატარებას სწორედ იქ, სადაც 9 აპრილის ტრაგედია დატრიალდა. ცდილობენ-მეთქი — ე.ი. ჯერ ვერ ჩაატარეს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, თუ ერი და ბერი არ დაირაზმა, წლეულს დასავლეთის „დემოკრატიის“ ამ დავალებასაც შეასრულებენ ქართველი ნეოლიბერასტები. ამას დავუმატოთ ათასი ჯურის მიგრანტთა უკონტროლო შემოდინება და ეს იქნება არასრული სავალალო სურათი იმ საქართველოსი, რომლის ნეოლიბერასტი ხელისუფლება 9 აპრილის 30 წლისთავის აღნიშვნას დიდი ზარ-ზეიმით აპირებს.

ამაზე მეტი ცინიზმი გაგონილა?! ვაი, ვაი, რომ გაგონილა. პარლამენტის სხდომაზე **ქოც-ნაცების ხელისუფლება-ოპოზიციამ ჩააგდო ის წინადადება, რომელიც ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონიდან (რომელსაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა თავის დროზე ქვეყნის დამღუპველი კანონი უწოდა) გენდერული იდენტობის მუხლის ამოღებას ითვალისწინებდა. მეტიც, ამ წინადადების მხარდაჭერის მიზნით სიტყვით გამოსულ „პატრიოტთა ალიანსის“ დეპუტატ ემზარ კვიციანს, რომელმაც ამ საკითხზე პატრიარქის ერთ-ერთი ეპისტოლედან ამონარიდი ციტატის კითხვა დაიწყო, პარლამენტის ვიცესპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა მიკროფონი გამოურთო.** ამ ამაზრზენმა ფაქტმა აღაშფოთა პარლამენტის დეპუტატთა მცირე ნაწილი, ხოლო, რაც შეეხება ინტერნეტ სივრცეს, ააფეთქაო, რომ იტყვიან — პატრიარქის შეურაცხყოფისთვის ყველა ბოდიშის მოხდას მოითხოვს ვიცესპიკერისგან, რომელიც ყურსაც არ იბერტყავს, უკაცრავად და, სულ ფეხებზე ჰკიდია საზოგადოების აღშფოთება.

ხომ წარმოგიდგენიათ, ასეთი რამ ჩვენს მოძმე სომხეთის პარლამენტში მომხდარიყო, რა მოხდებოდა? ბოდიში კი არა, მსგავსი რამის ჩამდენს იქვე ჩაქოლავდნენ სომეხი დეპუტატები. ჩვენ კი მხოლოდ ბოდიშის მოხდას ვითხოვთ, რასაც, ვიმეორებ, არ აპირებს **თამარ ჩუგოშვილი** (საიას ყოფილი დირექტორისგან, აბა, სხვას რას უნდა ველოდოთ?). ისე, **ბოდიში ქართველ საზოგადოებას იმან უნდა მოუხადოს, ვინც საიას ბუდარიხა დირექტორი მრჩევლად დაიყენა ე.წ. ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, ხოლო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ჯერ დეპუტატის მანდატი არგუნა, შემდეგ კი ვიცესპიკერად აღავლინა.**

მიმიხვდით? დიახ, **ბიძინა ივანიშვილზე მოგახსენებთ. მან უნდა მოიხადოს ბოდიში ქართველი ერის წინაშე, რადგან ჩუგოშვილის გამოხდომა თუ პატრიარქის შეურაცხყოფაა, ე.ი., სრულიად ქართველი ერის შეურაცხყოფაც არის, რადგან, ვამბობთ საქართველოს, ვგულისხმობთ პატრიარქს და პირიქით — ვამბობთ პატრიარქს, ვგულისხმობთ საქართველოს!** რაც შეეხება ქალბატონ ვიცესპიკერს, მან უნდა დატოვოს მაღალი თანამდებობა, რაც, სჯობს, თავისი ნებით გააკეთოს, თორემ, რომ იტყვიან, სისხლი ყელში ამოვიდა — ამჯერად, იმედია, სოფელ ხიბულაში (სადაც 9 აპრილის ერთ-ერთი შემოქმედი და საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია აღესრულა) ნიანგის ცრემლის ღვარღვარს აღარ „ჭამს“ საქართველო, როგორც ჭორვილელმა მილიარდერმა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ ყველას ერთად გვაჭამა და 2020 წლის არჩევნებზე ქოც-ნაცების ალტერნატიულ მესამე ძალას მისცემს ხმას; ძალას, რომლის კონტურები უკვე ჩანს.

თუ ასე არ მოხდება, მაშინ ქართველი ხალხი ძალით გამოათრევს პარლამენტიდან ანტიეროვნულ, ანტიმართლმადიდებელ ხელისუფლებას.

სამწუხარო რეალობაა — საქართველოს პარლამენტის სპიკერმა **ირაკლი კობახიძემ** არ იცის, რას ნიშნავს ეროვნული ცნობიერება, ხოლო ვიცე-სპიკერი შეურაცხყოფს მის უწმინდესობას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დავსვამ რიტორიკულ შეკითხვას — **ასეთი საქართველოსთვის დაიღუპნენ 9 აპრილის გმირები?**

დასასრულ, იმ, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებრობის შესახებ, რომელიც, 28 წელიწადია, გრძელდება:

9 აპრილის ტრაგედიიდან ზუსტად 2 წლისთავზე, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. **ამ სიმბოლური აქტით გამსახურდიას ხელისუფლებამ პატივი მიაგო 9 აპრილს დაღუპულთა სულებს, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ყოველი მომდევნო დღე 26 მაისის ნაცვლად 9 აპრილს უნდა გვეზეიმა, მაგრამ, როგორც ცნობილია, შემდეგი წლის 9 აპრილამდე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ ვერ მიაღწია — 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად სამხედრო ხუნტამ დაამხო.**

იცვლებოდა ხელისუფლებები, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ყველა ხელისუფლება კვლავ 26 მაისს აღნიშნავდა და არა 9 აპრილს.

9 აპრილს დაღუპულთა სულების საოხად, სხვა თუ არაფერი, ის მაინც უნდა გავაკეთოთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 9 აპრილს აღვნიშნოთ და არა მენშევიკების მიერ ყურითმოთრეულ 26 მაისს. დიახ, ყურით მოთრეულ, რადგან მენშევიკებს სიზმარშიც კი არ უოცნებიათ საქართველოს დამოუკიდებლობაზე და თავის დროზე, რომ იტყვიან, ძალისძალად, შექმნილი პოლიტიკური ვითარებისა გამო, იძულებით გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა და იქნებ სწორედ ამ ძალისძალობის გამო აღმოჩნდა საქართველოს პირველი დემოკრატიული ხელისუფლება სუსტი და უდღეური.

ასე რომ, „ქართულ ოცნებას“ ურჩევნია, სამართლიანობა ამ მხრივ მაინც აღადგინოს — 9 აპრილი და არა 26 მაისი, თორემ სხვა მხრივ თქვენი ცრემლების თბილისს აღარ სჯერა!

**დავით მხეიძე**



**ბოდიში ქართველ საზოგადოებას იმან უნდა მოუხადოს, ვინც საიას ბუდარიხა დირექტორი მრჩევლად დაიყენა ე.წ. ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, ხოლო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ჯერ დეპუტატის მანდატი არგუნა, შემდეგ კი ვიცესპიკერად აღავლინა. დიახ, ბიძინა ივანიშვილმა უნდა მოიხადოს ბოდიში ქართველი ერის წინაშე, რადგან ჩუგოშვილის გამოხდომა თუ პატრიარქის შეურაცხყოფაა, ე.ი. სრულიად ქართველი ერის შეურაცხყოფაც არის**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუკი ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის წინააღმდეგ გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება განიხილება, როგორც დისკრიმინაციული გამოსვლა, მაშინ რაღა აზრი აქვს ამ კანონის განხილვას პარლამენტში?! თუკი ყველა სიტყვა, ფრაზა, თუ „სულისკვეთება“, რადგან იგი „ანტიდისკრიმინაციული“ კანონის წინააღმდეგ არის მიმართლი, აპრიორში, თავისთავად „დისკრიმინაციულია“ და არსებობის უფლება არ აქვს, მაშინ რაღას განიხილავენ ჩვენი პარლამენტარები? გამოდის, რომ ეს ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი ყოფილა ხელშეუხებელი, მიუკარებელი „სიწმინდე“ და გქონდეთ, ბატონო! თუ მის წინააღმდეგ სიტყვის თქმაც კი არ შეიძლება, რაღას გვანხილვინებთ და გვანერვიულებთ?!**

# დისკრიმინაცია ანტიდისკრიმინაციის სახელით, ანუ ჩლუნგოშვილის «ორთოფობიური» ვნებანი

**დაზუსტებით ვერ გეტყვით, არსებობს თუ არა ოფიცილურად ან ისე — არაოფიციალურად მაინც; გამოუყენებია თუ არა ვინმეს ოდესმე და სადმე ტერმინი „ორთოფობი“, მაგრამ ფაქტია, რომ დღევანდელი საქართველო (შეიძლება მსოფლიოც) ამ ტერმინის შემოღების აუცილებლობის წინაშე დგას. აშკარაა, ყველგან, სადაც კი რომელიმე „ლიბერასტი“ მატრაკვეცა „უმცირესობის უფლებათა დაცვით“ სპეკულირებას გადაწყვეტს, აუცილებლად შეურაცხყოფილი და დაკნინებული უნდა იქნას მართლმადიდებლური რელიგიური მრწამსი და მისი მიმდევარი ადამიანები.**

საფიქრებელია, რომ ჰომოფობების, ქსენოფობებისა და კიდევ სხვა მრავალი „ფობებისგან“ უმცირესობების „დაცვას“ ეს ადამიანები ორთოდოქსების, ანუ მართლმადიდებლების შევიწროების გარეშე ვერ ახერხებენ. ჰომოფობიისა თუ ქსენოფობიის რეალურად არსებობაში შეიძლება ეჭვიც კი შევიტანოთ, მაგრამ ორთოფობების არსებობა და მეტიც — მათ მიერ ღია სიძულვილის გამოხატვა, მართლმადიდებელთა მიმართ აშკარაა.

**ქსენოფობია** ნიშნავს შიშს უცხოს ან უჩვეულოს მიმართ, ადამიანების გამორჩევას ეროვნებისა და კანის ფერის მიხედვით, მარტივად რომ ვთქვათ, ეს იგივე **რასიზმია**. ჰომოფობია — ეს უკვე ჰომოსექსუალური მიდრეკილების მქონე ადამიანების სიძულვილია. ეს არის ორი ყველაზე უფრო გავრცელებული ტერმინი, რომლებსაც „ლიბერასტები“ იყენებენ ოპონენტების გასაჩუმებლად; როდესაც ვინმე მათი მახინჯი მსოფლმხედველობის კრიტიკას იწყებს, ისინი არგუმენტირებულად კი არ სცემენ პასუხს, არამედ პირდაპირ ბრალს სდებენ ქსენოფობიასა და ჰომოფობიაში. კამათის ასეთი მეთოდის „ეფექტიანობა“ იმით არის განპირობებული, რომ მოწინააღმდეგეს ეშინია, ამა თუ იმ „ფობის“ იარლიყი არ ამაკრანო, და ძალაუნებურად ჩუმდება. ერთი სიტყვით, „ლიბერასტები“ მოწინააღმდეგეების მიმართ იყენებენ არც ისე დიდი ხნის წინათ დამკვიდრებულ ტერმინს — დისკრიმინაცია. სინამდვილეში კი, დისკრიმინაცია სწორედ ის არის, რასაც თვითონ ისინი აკეთებენ.

აბა, მითხარით ვინმემ: კონკრეტულად რომელი სიტყვა, რომელი ფრაზა, რომელი გამოთქმა იყო დისკრიმინაციული იმ ციტატებში, რომლებიც დეპუტატმა **ემზარ კვიციანმა** პარლამენტის სხდომაზე წაიკითხა? დიახ, პარლამენტის იმ სხდომას ვგულისხმობ, რომელზეც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, იმ კონკრეტული სხდომის წამყვანმა ქალბატონმა **თამარ ჩუგოშვილმა** დეპუტატს სრულიად დაუსაბუთებლად და თავხედურად გამოურთო მიკროფონი და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობის ქადაგებიდან ციტატის წაკითხვა არ აცალა. რა, **განა ბატონმა ემზარმა სადმე ან სიტყვა „პედერასტი“ ახსენა, ან „ზანგი“?! თუ ფემინისტებს შეეხო უხეშად ან რომელიმე კონკრეტულ რელიგიურ ორგანიზაციას?! ეს ხომ ციტატები იყო პატრიარქის ქადაგებიდან, ილია მეორე კი ნამდვილად არ არის ის ადამიანი, რომელმაც თავის ეპისტოლეებსა და ქადაგებებში შეიძლება ვინმე უხეშად გალანძღოს ან შეურაცხყოს საზოგადოების რომელიმე, თუნდაც მცირე ჯგუფი. ეს იყო, უბრალოდ, ზოგადი შეფასება სიტუაციისა და მოწოდება იმისკენ, რომ სულელური კანონების მიღებით კიდევ უფრო ნუ დაძაბავენ საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის არსებულ ისედაც დაძაბულ ურთიერთობებს.** პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ კი (რომელსაც საზოგადოება სოციალურ ქსელებში უკვე „ჩლუნგოშვილად“ მოიხსენიებს) ემზარ კვიციანს დისკრიმინაციული განცხადებების გაკეთებაში დასდო ბრალი, და ამით ირიბად იმავეში საქართველოს პატრიარქი ილია მეორეც დაადანაშაულა.

მოგვიანებით, ჩლუნგოშვილმა დანარჩენ პარლამენტარებსაც საკმაოდ მკაცრი ტონით მიმართა და ამაყი სახით წაიკითხა ციტატა საქართველოს პარლამენტის შიდაგანაწესიდან: „საქართველოს პარლამენტის წევრს ეკრძალება დისკრიმინაციული განცხადებების გაკეთება“. ამ „ბრძნული“ ფრაზის წაკითხვის შემდეგ ჩლუნგოშვილმა უმკაცრესად გააფრთხილა კოლეგები: ყოველივე ეს, არათუ სიტყვით გამოსვლისას, კითხვების დასმის დროსაც კი გაითვალისწინეთო!

რა გამოდის? ანტიდისკრიმინაციული კანონის განხილვისას არავინ არც ხმა არ უნდა ამოიღოს, არც კითხვა დასვას. ეს კანონი სრულ სიჩუმეში უნდა იქნას მიღებული, ხომ?

აკი, სწორედ ამ ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის შესახებ საპარლამენტო განხილვებისას გამოურთო მიკროფონი ჩლუნგოშვილმა კვიციანს.

ხოლო კითხვაზე, კონკრეტულად რა იყო დისკრიმინაციული კვიციანის სიტყვაში, ანუ პატრიარქის ქადაგებაში, მოგვიანებით ჩლუნგოშვილმა უპასუხა, რომ კონკრეტულ ფრაზეოლოგიას ვერ გამოყოფს, მაგრამ ზოგადად სულისკვეთება იყო დისკრიმინაციულიო.

ფაქტობრივად, უდიდეს აბსურდამდე მივდივართ!

თუკი ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის წინააღმდეგ გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება განიხილება, როგორც დისკრიმინაციული გამოსვლა, მაშინ რაღა აზრი აქვს ამ კანონის განხილვას პარლამენტში?! თუკი ყველა სიტყვა, ფრაზა, თუ „სულისკვეთება“, რადგან იგი „ანტიდისკრიმინაციული“ კანონის წინააღმდეგ არის მიმართული, აპრიორში, თავისთავად „დისკრიმინაციულია“ და არსებობის უფლება არ აქვს, მაშინ რაღას განიხილავენ ჩვენი პარლამენტარები? გამოდის, რომ ეს ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი ყოფილა ხელშეუხებელი, მიუკარებელი „სიწმინდე“ და გქონდეთ, ბატონო! თუ მის წინააღმდეგ სიტყვის თქმაც კი არ შეიძლება, რაღას გვანხილვინებთ და გვანერვიულებთ?!

და, საერთოდ, მაგ პარლამენტის შიდა განაწესსა თუ კანონში ეგ რომ წერია — „საქართველოს პარლამენტის წევრს უფლება არ აქვს, დისკრიმინაციული განცხადებები აკეთოსო“, **ბარემ ისიც ჩაწერეთ, რომ დისკრიმინაციულად ითვლება ყველა ის განცხადება, რომლებსაც ჩლუნგოშვილი ჩათვლის დისკრიმინაციულად.** აბა, სხვანაირად როგორ გინდათ, დაამტკიცოთ, რომელი განცხადება არის დისკრიმინაციული და რომელი არა, თუკი ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი ჯერ ბოლომდე არ დაგიხვეწავთ და ჯერ კიდევ მსჯელობის სტადიაშია?!

თუკი ანტიდისკრიმინაციული რა არის, არ ვიცით, მაშინ ის საიდან ვიცით, რა არის დისკრიმინაციული?!

არ შეიძლება, არ ვახსენოთ ჩვენს საზოგადოებაში ასე დამკვიდრებული „ტრენდი“ იმის შესახებ, რომ კომუნისტები, ანუ ბოლშევიკები თავისუფალ სიტყვას კრძალავდნენ. კერძოდ, როდესაც საუბარი არის იმაზე, რომ საბჭოთა ეპოქაში კარგი ცხოვრება იყო, ადამიანები საკვებით, მედიკამენტებითა და სხვა ელემენტარულით უზრუნველყოფილნი იყვნენ და, ასე ვთქვათ, „პურის ფული“ არავის უჭირდა, საპირწონედ იმ წამსვე ასახელებენ „არგუმენტს“: სამაგიეროდ, სიტყვის თავისუფლება არ იყო და ადამიანები საკუთარ აზრს ვერ ამბობდნენ ხმამაღლაო.

როცა მეტად გამძაფრება უნდათ, იმასაც „წამოაძახებენ“ ხოლმე საბჭოთა ელიტას, რომ ისინი განსხვავებული აზრისთვის სიკვდილით სჯიდნენ, თუმცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსგავსი რამ აღარ მომხდარა და ომამდე კი მოწინააღმდეგე კლასის წარმომადგენელთა დახვრეტა თუ სხვა ფორმით სიკვდილით დასჯა სრულიად მსოფლიოში გავრცელებული მოვლენა იყო და არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში.

რაც შეეხება თავისუფალი აზრის „ჩახშობას“, იმაზე მეტი ჩახშობა რაღა გინდა, როდესაც პარლამენტის წევრს მიკროფონს უთიშავ და არ ალაპარაკებ, მით უფრო მაშინ, როდესაც ეს პარლამენტარი არა უბრალოდ საკუთარ აზრს გამოთქვამს, არამედ პატრიარქის ქადაგებიდან ციტატას კითხულობს?

ასე რომ, თუ ნათელი და აშკარა არ არის, საკითხავი და კარგად გასააზრებელი ნამდვილადაა, რეალურად ვინ უფრო ახშობდა და ახშობს თავისუფალ აზრსა და მართალ სიტყვას — საბჭოთა რეჟიმი თუ მსოფლიოში გაბატონებული ე.წ. .ლიბერალური დიქტატურა, რომელიც ადამიანის უფლებებითა და სიტყვისა და აზრის გამოთქმის თავისუფლებით არის მზაკვრულად შენიღბული?

კი, ბატონო, ბოლშევიკური მიდგომები და განსხვავებული აზრის გამოხატვის უფლების ჩახშობა გასაგებია, ნამდვილად ასე იყო და ერთპარტიულობას საბჭოთა რეჟიმი არც მალავდა.

მაგრამ, ახლა რომ კოლექტიური „ჩლუნგოშვილები“ წყვეტენ, ვისი აზრია თავისუფალი და ვისი დისკრიმინაციული, ვისი ლაპარაკია „დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება“ და ვისი ლაპარაკია „სიძულვილის ენა“ და ასეთი გამოგონილი, როგორც ჩემს ბავშვობაში ამბობდნენ, „სალდატსკი“ მიზეზებით მართლა არავის და არაფერს ალაპარაკებენ, თუკი ის ვინმე მათთვის მისაღებს არ ამბობს რამეს, ეს როგორაა?



**კოლექტიური «ჩლუნგოშვილები» რომ წყვეტენ, ვინ რომელ ტელეშოუში მიიწვიონ, ვის ვინ დაუსვან წინ ვითომდა «სადებატოდ» და ვინ, საერთოდ, გააქრონ ტელეეკრანიდან, ეს სჯობს ვითომ «საბჭოთა რეჟიმს»?**




კოლექტიური „ჩლუნგოშვილები“ რომ წყვეტენ, ვინ რომელ ტელეშოუში მიიწვიონ, ვის ვინ დაუსვან წინ ვითომდა „სადებატოდ“ და ვინ გააქრონ ტელეეკრანიდან, ეს სჯობს ვითომ „საბჭოთა რეჟიმს“?

მოწინააღმდეგე ადამიანები რომ ყველგან „დაბლოკილი“ ჰყავთ და, ვინც გულზე არ ეხატებათ, მათ, უბრალოდ, შიმშილითა და გაჭირვებით კლავენ ან ქვეყნიდან გაქცევას აიძულებენ — ეს ყველაფერი „ბოლშევიკურ რეპრესიებზე“ ნაკლები ტრაგედიაა ვითომ?

და, რაც მთავარია, მთელი ეს „ლიბერასტული“ იერიშები რომ ორთოდოქსების, ანუ მართლმადიდებლების მიმართ აშკარად გამოხატულ სიძულვილზე დგას, ამ ფაქტსაც ვერავინ ვერსად წაუვა, ამიტომ, თუკი ჯერ არ არსებობს და არავის არსად გამოუყენებია, შემომაქვს წინადადება, დავამკვიდროთ ტერმინი „ორთოფობი“, როგორც მართლმადიდებელთა მიმართ მკვეთრად გამოხატული მიუღებლობის, სიძულვილის აღმნიშვნელი სიტყვა.

განა თვალნათელი არ არის, რომ „ჰომოფობიისა“ და „ქსენოფობიის“ ფაქტები იშვიათია და ასეთ ერთეულ შემთხვევებს მთელი მონდომებით განაზოგადებენ „ლიბვერატსები“ და ცდილობენ, ეს ზოგად ტენდენციად წარმოაჩინონ...

აი, ორთოფობია კი უკვე ძალიან გავრცელებულია და, ამ ქვეყანაში სადმე ვინმე თუ იჩაგრება, ეს, პირველ რიგში, სწორედაც რომ თეთრკანიანი მართლმადიდებელი მამაკაცები არიან.

„კატასტროფულად მაღალია უკვე იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც გაწევრებულნი არიან „გირჩის“ მწვალებლურ სექტაში და, თუ ეს უახლოეს მომავალში არ შეჩერდა, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს წვევამდელები საერთოდ აღარ ეყოლება“.

საზოგადოება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გიორგი ანდრიაძე: «გირჩი» — ეს არის ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს გარკვეული სახელისუფლო ძალების ხელშეწყობით

## «კატაკომბური მართლმადიდებელი თემი» — ეს არის ორგანიზაცია, რომელიც «გირჩის» საპირწონედ მოქმედებს

**რამდენიმე დღის წინათ მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გიორგი ანდრიაძის მიერ რელიგიური ორგანიზაცია „კატაკომბური მართლმადიდებელი თემის“ დაფუძნების თაობაზე გაკეთებულ განცხადებას, რომელიც „ლიბერალურმა“ პროპაგანდამ არასწორი ინტერპრეტაციით გაავრცელა, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია და გამოძახილი მოჰყვა. ზოგისთვის ეს განცხადება უცნაური და გაუგებარი პოლიტიკური სვლა აღმოჩნდა; ზოგმა კი გაურკვევლობის გამო მწვავე კრიტიკული შეფასებებიც არ დაიშურა.**



„კატაკომბური მართლმადიდებელი თემი“ არის თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მართლმადიდებელი ქრისტიანების გაერთიანება, რომლებიც თავიანთ თავს მიაკუთვნებენ საქართველოს ეკლესიას. ისინი არიან ფარული ქრისტიანები და ფარულად ეწევიან მსახურებას, იმიტომ, რომ თავის დროზე, როცა ოსმალეთის იმპერიამ აკრძალა ქართული ეკლესია, ეს ადამიანები არ გადავიდნენ ბერძნულ ეკლესიაში, რათა არ გაბერძნებულიყვნენ. მიუხედავად დევნისა და შევიწროებისა, აი, ასე შეინახეს მათ ამდენი ხანი სარწმუნოება“

თუმცა მოგვიანებით თვითონ გიორგი ანდრიაძემ მედიასთან განმარტა, რომ ახალდაფუძნებული ორგანიზაცია თავისი მრწამსითა და იდეოლოგიით მართლმადიდებლური ორგანიზაციაა, რომელმაც რეგისტრაცია საქართველოში გაიარა. მისი თქმით, ეს ორგანიზაცია „გირჩის“ მიერ შექმნილი „ბიბლიური თავისუფლების“ საპირწონედ დაფუძნდა, რათა ახალგაზრდებს, რომლებსაც სამხედრო სავალდებულო სამსახურში წასვლა არ სურთ, ალტერნატივა ჰქონდეთ და სექტანტურ, ანტიმართლმადიდებლურ ორგანიზაციაში შესვლა არ დასჭირდეთ.

მისი აზრით, ერთადერთი გამოსავალი დღევანდელ ვითარებაში ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებაა, რაც, ერთი მხრივ, ახალგაზრდებს წაახალისებს და სამხედრო სამსახურის გავლის სტიმულს მისცემს; მეორე მხრივ კი, ამ სამსახურს უფრო მიმზიდველსა და პრესტიჟულს გახდის.

**რა არის რეალურად „კატაკომბური მართლმადიდებელი თემი“ და რა მიზანს ემსახურება ამ ორგანიზაციის დაფუძნება? ამ თემაზე „საქართველო და მსოფლიოს“ მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიორგი ანდრიაძე ესაუბრება.**

**— ბატონო გიორგი, თქვენ მიერ რელიგიური ორგანიზაციის დაფუძნებამ საზოგადოების ერთ ნაწილში ერთგვარი გაურკვევლობა გამოიწვია, რაც, ალბათ, იმითაც იყო განპირობებული, რომ ძირითადმა მედიასაშუალებებმა ეს საკითხი სათანადოდ არ გააშუქეს. მოდი, კიდევ ერთხელ ავუხსნათ მკითხველს, რა ორგანიზაციაა „კატაკომბური მართლმადიდებელი თემი“ და რა მიზანს ემსახურება?**

— თავიდანვე აღვნიშნავ, რომ მე არ ვარ ამ ორგანიზაციის დამფუძნებელი, მე მხარს ვუჭერ ამ ორგანიზაციას პოლიტიკური თვალსაზრისით. ეს ორგანიზაცია დააფუძნეს ახალგაზრდებმა. როგორც კი ამ ორგანიზაციის დაფუძნების თაობაზე გავაკეთე განცხადება, ჯერ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს არის კატაკომბური მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც ახალგაზრდებს იზიდავს და დედაეკლესიისგან დამოუკიდებელ რელიგიურ ორგანიზაციად ყალიბდება; რომ თურმე ის აკურთხებს მღვდლებს და ა.შ. მაგრამ მაშინაც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **ეს ყველაფერი არის დეზინფორმაცია. არავითარი ეკლესია ეს არ არის, ეს არის თემი და, სანამ ვინმე რამე დასკვნას გამოიტანს, ჩემი რჩევა იქნება, ნუ აჰყვება „ლიბერალური“ მედიის მიზანმიმართულ კამპანიას, ჯერ გაერკვეს...**

რა არის რეალურად ეს თემი. დავიწყოთ იმით, რომ ის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილად მიიჩნევს თავს და მისი წევრები ჩვეულებრივი მართლმადიდებლები არიან. მათ თავიანთი იდეოლოგიითა და მსოფლმხედველობით აქვთ ჭეშმარიტი მართლმადიდებლური მრწამსი და ამ მხრივ აქ საუბარიც კი ზედმეტია რაიმე სექტაზე. თუმცა უფრო შორს თუ წავალთ და ისტორიას გადავხედავთ, საერთოდ არც კი გაჩნდება მსგავსი შეკითხვები, იმიტომ, რომ ისტორიაში ძალიან ნათლადაა ყველაფერი. **ეს არის ჩვეულებრივი მართლმადიდებელი ქრისტიანების გაერთიანება, რომლებიც ცხოვრობდნენ თურქეთის ტერიტორიაზე და ძალიან დიდი ძალისხმევის შედეგად ახერხებდნენ სარწმუნოების შენარჩუნებას. საერთოდ, თვით სახელწოდება „კატაკომბურიც“ გვეუბნება, რომ საუბარია რაღაც იატაკქვეშა, ფარულ ორგანიზაციაზე, რომელსაც თავისუფლად არსებობისა და მოქმედების საშუალება არ აქვს.** მათთვის მსახურებას აღასრულებდნენ საერო სამოსში ჩაცმული ფარული მღვდლები. მათ არ ჰქონდათ არანაირი რელიგიური ატრიბუტიკა, ტაძრებსა და სალოცავებზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი. სხვათა შორის, ამ თემაზე მხატვრული ფილმიცაა თურქების მიერ გადაღებული და მე ეს ფილმი, ქართულად გახმოვანებული, სოციალურ ქსელში დავდე. იქ ძალიან კარგადაა ნაჩვენები, რა არის ეს ორგანიზაცია, როგორ არსებობენ, რა საქმიანობას ეწევიან და ა.შ. გული მწყდება, რომ ჩვენს საზოგადოებას არ აქვს ამაზე ინფორმაცია და დიდმა ნაწილმა არ იცის, რეალურად რაზეა საუბარი. ზუსტად ამიტომ აღიქვა ეს ბევრმა არასწორად, რასაც მოჰყვა ის გაურკვევლობაც.

კიდევ ვიმეორებ: **„კატაკომბური მართლმადიდებელი თემი“ არის თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მართლმადიდებელი ქრისტიანების გაერთიანება, რომლებიც თავიანთ თავს მიაკუთვნებენ საქართველოს ეკლესიას. ისინი არიან ფარული ქრისტიანები და ფარულად ეწევიან მსახურებას, იმიტომ, რომ თავის დროზე, როცა ოსმალეთის იმპერიამ აკრძალა ქართული ეკლესია, ეს ადამიანები არ გადავიდნენ ბერძნულ ეკლესიაში, რათა არ გაბერძნებულიყვნენ. მიუხედავად დევნისა და შევიწროებისა, აი, ასე შეინახეს მათ ამდენი ხანი სარწმუნოება...**

**— და ამ ორგანიზაციის საქართველოში დაფუძნება რას ემსახურება?**

— „კატაკომბური მართლმადიდებელი თემი“ — ეს არის ორგანიზაცია, რომელიც „გირჩის“ საპირწონედ მოქმედებს, რათა მათ ვერ შეძლონ ახალგაზრდების მასობრივად ჩათრევა მწვალებლურ ორგანიზაციაში. ვიღაცისთვის ეს შეიძლება არ იყოს იმდენად მნიშვნელოვანი, მაგრამ ერთია განწყობა და მეორე — რეალობა. სტატისტიკა არის საგანგაშო — მათ უკვე ათასობით ახალგაზრდა ჩაითრიეს. საუბარია დაახლოებით 10 ათასამდე ახალგაზრდაზე, რომლებიც მხოლოდ იმიტომ მიდიან ამ ორგანიზაციაში, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახურს თავი აარიდონ. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ჩვენს კანონმდებლობაშია პრობლემა და მასში ამ მიმართულებით სერიოზული ცვლილებებია შესატანი...

**— მაგალითად?**

— მაგალითად, ჩვენ, მართლმადიდებელმა მოქალაქეებმა, ახლა რომ მოვინდომოთ, დავაფუძნოთ რამე გაერთიანება, კანონმდებლობა ისეთია, რომ საკმარისია, მივიდეთ საჯარო რეესტრში და გავიაროთ რეგისტრაცია. აი, ზუსტად **ამ მანკიერი კანონმდებლობით გაიარა „გირჩმაც“ რეგისტრაცია და დღეს ის, ფაქტობრივად, „კანონიერი მანდატით“ ებრძვის ქართულ ჯარს, ეკლესიასა და სახელმწიფოს.** ამიტომაც ვამბობ ყველგან და ყოველთვის, სადაც ამის საშუალება მეძლევა, რომ საჭიროა შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში, რათა მსგავს ანტისახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს აღარ შეეძლოთ ასე თავისუფლად არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან მალე მივიღებთ სავალალო შედეგს. კიდევ ვიმეორებ: კატასტროფულად მაღალია უკვე იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც გაწევრებულნი არიან „გირჩის“ მწვალებლურ სექტაში და, **თუ ეს უახლოეს მომავალში არ შეჩერდა, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს წვევამდელები საერთოდ აღარ ეყოლება...**

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ „გირჩსა“ და მსგავს ორგანიზაციებს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ჰყავს მხარდამჭერები?**

— რა თქმა უნდა. მეტსაც გეტყვით: „გირჩი“ — ეს არის ორგანიზაცია, რომელიც დღემდე მხარდაჭერილია და მოქმედებს გარკვეული სახელისუფლო ძალების ხელშეწყობით. ამაზე მეტყველებს მათი ინტერესების სრული თანხვედრა ნარკოპოლიტიკის ლეგალიზაციისა და კანაფის კულტივაციის თემებზე... მოკლედ, „გირჩი“ არის ხელისუფლების პროექტი. სხვათა შორის, უშიშროებამ ამ დღეებში ლომის წილი შეიტანა იმაში, რომ საზოგადოებას არ მიწოდებოდა სწორი ინფორმაცია და დაფუძნებული ორგანიზაცია წარმოჩენილიყო უარყოფით კონტექსტში.

**— მიაღწიეს მათ დასახულ მიზანს?**

— ეს კამპანია გრძელდება და ახლა მიდის გამალებული მადისკრედიტებელი შეტევები ჩემ წინააღმდეგაც, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი ბინძური პროპაგანდაა, რომელიც მხოლოდ ღიმილის მომგვრელია.

**— თუმცა ამ კამპანიამ, არა მხოლოდ საზოგადოება, აქტიური კონსერვატიული ფრთის ზოგიერთი წარმომადგენელიც შეიყვანა შეცდომაში.**

— ჩვენ გავაკეთეთ შესაბამისი განმარტებები და ძალიან მარტივად, გასაგებად ავუხსენით საზოგადოებას, რა კეთდება. კიდევ ვიმეორებ: არსებობს მართლმადიდებლურ თეოლოგიაში კარგად ცნობილი „კატაკომბური მართლმადიდებელი თემი“, რომელიც აერთიანებს თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მართლმადიდებელ ქრისტიან ქართველებს. ეს ორგანიზაცია დარეგისტრირდა საქართველოში და ცდილობს „გირჩის“ მწვალებლურ სექტას გამოსტაცოს ახალგაზრდობა. მე ვიზიარებ ამ ორგანიზაციის ხედვას. ვინც გაიგებს ამას — გაიგებს, ვინც ვერ გაიგებს და თავისას დაიჟინებს, ჩემთვის იქნება სუს-ის ჭორბიუროს თანამშრომელი — ან მოხალისე, ან ხელფასიანი.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ კანონში გარკვეული ცვლილებები აუცილებელია. კონკრეტულად რა არის შესაცვლელი?**

— 2004 წლიდან ვარ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის სამხედრო თემაზე შექმნილი ორმხრივი კომისიის წევრი და შესწავლილი მაქვს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მოდელები, რომლებიც პრაქტიკაში წარმატებით ხორციელდება. ეს საკმაოდ დიდი თემაა და ერთი საგაზეთო ინტერვიუ არ ეყოფა, მაგრამ გეტყვით, რომ მომხრე ვარ შვეიცარიული მოდელის, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ ყველა 35 წლამდე მამაკაცმა გაიაროს ერთთვიანი სამხედრო მომზადება. ამ მოდელის განხორციელების შემთხვევაში ქვეყანას პრაქტიკულად ეყოლება იმდენი ჯარისკაცი, რამდენი ზრდასრული მამაკაციცაა ქვეყანაში. თუმცა მანამდე უნდა მოწესრიგდეს კანონმდებლობა და აიკრძალოს ისეთი მავნებლური ორგანიზაციები, როგორიც არის „გირჩი“. აი ეს არის ჩვენი უმთავრესი მოთხოვნა და ამისთვის ვიბრძვით სამართლებრივი გზით, ყველა საშუალებით, რითაც შეიძლება, ეს მიზანი მიღწეული იქნეს.

**— იმ პირობებში, როცა სამივე სახელისუფლებო შტო, იქნება ეს საკანონმდებლო, სასამართლო თუ აღმასრულებელი, მითვისებული აქვთ „ლიბერალურ“ ძალებს და მხოლოდ დასავლეთიდან ნაკარნახევი „ლიბერალური“ დღის წესრიგით ხორციელდება ყველა ცვლილება, გაქვთ იმედი, რომ თქვენი მოთხოვნები დაკმაყოფილდება?**

— ჩვენ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან, ეთნო-კულტურული იდენტობიდან და ფასეულობებიდან გამომდინარე ვაყენებთ ლოგიკურ მოთხოვნებს. დანარჩენი, შესრულდება თუ არ შესრულდება, გამოჩნდება. საზოგადოებაზეა ძალიან ბევრი რამ დამოკიდებული. ასე რომ, ვნახოთ. თუ ჩვენს საზოგადოებას უნდა, ქვეყანაში არსებითად შეიცვალოს მდგომარეობა, მაშინ ყველას უნდა ესმოდეს, რომ სერიოზული ძალისხმევის გარეშე ეს ვერ მოხდება; და, თუ „გირჩები“ და ლგბტ-ები უნდათ, რა ვქნა, შეარგოთ. საერთოდ, საზოგადოება თვითონვე წარმოაჩენს, როგორ ქვეყანასა და ხელისუფლებას იმსახურებს; თვითონ არის, ნებსით თუ უნებლიეთ, ყველაფრის შემოქმედი...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ერის სატკივარი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, გარკვეულწილად შემცირდა გარდაცვლილთა რაოდენობა, მაგრამ 30 წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. მაგალითად, 2014-2018 წლებში გარდაიცვალა 243 ათასი კაცი, ხოლო 1985-1989 წლებში — 207 ათასი. განსაკუთრებით საგანგაშოა მამაკაცების მოკვდაობის მაჩვენებლები. კერძოდ, 2018 წელს ყველაზე მწარმოებლურ ასაკში (15-59 წლები) გარდაიცვალა 7 881 ადამიანი, მათგან — 5 865 მამაკაცი (74,5 პროცენტი) და 2 015 — ქალი (25,6 პროცენტი). ანალოგიური ვითარებაა წინა წლებშიც.**

# დემოგრაფიული ვითარება — ქართველები ეროვნული კატასტროფის წინაშე

## ხელისუფლება კი სრულ უყურადღებობას იჩენს

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ახლახან გამოაქვეყნა 2018 წლის დემოგრაფიული მონაცემები. როგორც მოსალოდნელი იყო, 2018 წელს წინა წლებთან შედარებით, მაჩვენებლები გაუარესდა. მოსახლეობის აღწარმოების ძირითადი მაჩვენებელი — შობადობა 2 155 ბავშვით შემცირდა. უფრო საგანგაშო ის არის, რომ შობადობის შემცირებას პერმანენტული ხასიათი აქვს და 2015 წელთან შედარებით 2018 წელს ქვეყანაში 8 111 ბავშვით ნაკლები დაიბადა.**



პროცესის შეჩერება უკვე, როგორი წამახალისებელი ღონისძიებებიც უნდა დავსახოთ შობადობის ასამაღლებლად, შეუძლებელია. საქმე ის არის, რომ 1980-იან წლებში, ათ წელიწადში, ქვეყანაში 455 ათასი გოგონა დაიბადა, რომლებმაც, ფაქტობრივად, უკვე გაიარეს აქტიური (ყველაზე ნაყოფიერი) ფერტილური პერიოდი — 20-29 წლები — ბავშვების გაჩენის თვალსაზრისით. ამჟამად ყველაზე ნაყოფიერ ფერტილურ პერიოდში შესვლა დაიწყო 2000-იან წლებში (ისევ ათ წელიწადში) დაბადებულმა გოგონებმა, რომელთა რაოდენობა 236 ათასია და 219 ათასით ნაკლებია 1980-იან წლების მაჩვენებელზე. ასეთ ვითარებაში შეუძლებელია შობადობის მატება უახლოეს 10-15 წელიწადში მაინც, მით უმეტეს, როდესაც ერი მიეჩვია დაბალი შობადობის დონის პირობებში ცხოვრებას, ძნელია რეპროდუქციული განწყობის შექმნა და მისი რეალიზაცია რეპროდუქციულ ქცევაში.

ბუნებრივია, 236 ათასი გოგონა გაცილებით ნაკლებ ბავშვს გააჩენს ფერტილურ პერიოდში, ვიდრე 1980-იან წლებში დაბადებული 455 ათასი გოგონა. ასეთი მძიმე დემოგრაფიული ვითარების დასაძლევად საჭიროა, ჯერ როგორმე შევანელოთ ეს პროცესი და შემდეგ ვიზრუნოთ შობადობის რაოდენობის მომატებაზე. არადა, **ვერაფრით მოვაბით თავი საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამის შედგენას და აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას.**

(იხ.ცხრილი №1)

2018 წელს გაგრძელდა მოსახლეობის ბუნებრივი მატების (დაბადებულებსა და გარდაცვლილებს შორის სხვაობა) რაოდენობის შემცირების ტენდენცია. ქვეყანაში ბუნებრივმა მატებამ შარშან **4 614** კაცი შეადგინა, გაცილებით ნაკლები, ვიდრე წინა ოთხ წელიწადში, რომ არაფერი ვთქვათ 30 წლის წინანდელ პერიოდზე. ნიშანდობლივია, რომ 2014-2018 წლებში, ხუთ წელიწადში, ბუნებრივმა მატებამ **37 559** კაცი შეადგინა, ხოლო 30 წლის წინათ, 1985-1989 წლებში — **215 377** კაცი. ამ პერიოდის ცალკეულ წლებში მოსახლეობის მატება გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მთლიანად 2014-2018 წლებში.

2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, გარკვეულწილად შემცირდა გარდაცვლილთა რაოდენობა, მაგრამ 30 წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. მაგალითად, 2014-2018 წლებში გარდაიცვალა 243 ათასი კაცი, ხოლო 1985-1989 წლებში — 207 ათასი. განსაკუთრებით საგანგაშოა მამაკაცების მოკვდაობის მაჩვენებლები. კერძოდ, 2018 წელს ყველაზე მწარმოებლურ ასაკში (15-59 წლები) გარდაიცვალა 7 881 ადამიანი, მათგან — 5 865 მამაკაცი (74,5 პროცენტი) და 2 015 — ქალი (25,6 პროცენტი). ანალოგიური ვითარებაა წინა წლებშიც.

მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაზე მეტად უარყოფითი გავლენა იქონია ბოლო წლებში, მათ შორის, 2018 წელს, ქორწინებების შემცირებამ და განქორწინებების მატებამ. 2014-2018 წლებში აღირიცხა 133 ათასი ქორწინება და 48 ათასი განქორწინება, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებლები 1985-1989 წლებში იყო, შესაბამისად, 180 ათასი და 34 ათასი.

მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით. **ქვეყანაში შობადობის, ქორწინების, ბუნებრივი მატების უაღრესად შემცირებისა და მოკვდაობის ზრდის საერთო ფონზე, იმ რეგიონებში, რომელთა მოსახლეობის დიდი ნაწილი ისლამს აღიარებს, მდგომარეობა შედარებით უკეთესია.** 2018 წელს, ძირითადად, ქართველებით დასახლებულ რეგიონებში თითქმის ყველგან მოსახლეობის ბუნებრივი კლებაა, კერძოდ: **იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა** და **ქვემო სვანეთში.** ბოლო 2018 წელს მათ რიგებს შიდა ქართლიც მიემატა. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ რეგიონების თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ბუნებრივი კლებაა. იმერეთის რეგიონის საჩხერის მუნიციპალიტეტშიც კი, სადაც წინა წლებში ყოველთვის იყო მოსახლეობის ბუნებრივი მატება, ბოლო ორ წელიწადში კლება აღინიშნა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვემო ქართლში, სადაც მოსახლეობის ბუნებრივი მატება საკმაოდ სოლიდურია, მხოლოდ ორ მუნიციპალიტეტში აღინიშნა ბუნებრივი კლება — თეთრიწყაროსა და გარდაბანში. აქ მოსახლეობის უმრავლესობა ქართველია (თეთრიწყაროში — 82 პროცენტი და გარდაბანში — 54 პროცენტი).

(იხ.ცხრილი №2)

**2018 წლის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების შედარება 30 წლის წინანდელ, კერძოდ, 1989 წლის მონაცემებთან, ნათლად გვიჩვენებს, რომ ამჟამად დემოგრაფიული ვითარება ეროვნული კატასტროფის ტოლფასია.** მოცემული ცხრილები ასეთი დასკვნის გაკეთების რეალურ საფუძველს გვაძლევს. 1989 წელს მხოლოდ რაჭაში იყო მოსახლეობის ბუნებრივი კლება და ისიც აღსანიშნავია, რომ რაჭაში, ბოლო 50 წელია, ასეთი საგანგაშო ვითარებაა, უფრო ადრინდელ მონაცემებს ვერ მივაკვლიეთ. რაჭაში მოსახლეობის 37 პროცენტი 60 და მეტი წლისაა. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია რეგიონებს შორის. ასევე დარღვეულია მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობა. ამჟამად რაჭაში ბავშვები, შეიძლება ითქვას, აღარ იბადება. აღსანიშნავია, რომ **1894-1898 წლებში, ხუთწლიან ინტერვალში, რაჭაში 12 020 ბავშვი დაიბადა, ერთი საუკუნის შემდეგ, 1994-1998 წლებში — 1030, ხოლო ბოლო ხუთ წელიწადში, 2014-2018 წლებში — 813 ბავშვი, ე.ი., საშუალოდ წელიწადში მხოლოდ 163 ბავშვი.**

მოსახლეობის აღწარმოებასთან, როგორც აღვნიშნეთ, მჭიდროდაა დაკავშირებული ქორწინება და განქორწინება. ქორწინება ოჯახის ჩამოყალიბებისა და ოჯახური სტრუქტურის ცვალებადობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ქორწინებითი სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ქორწინებაში მყოფთა, ქორწინებაში არასოდეს მყოფთა, ქვრივთა და განქორწინებულთა რაოდენობას, გავლენას ახდენს შობადობის დონეზე. მაგალითად, **რაც უფრო მაღალია დაუქორწინებელი ქალებისა და ქვრივების რაოდენობა, მით უფრო იკლებს შობადობა. იგივე ითქმის ქვრივთა და განქორწინებულთა შესახებ.**

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 50 და მეტი წლის 46 175 ქალი არასოდეს ყოფილა დაქორწინებული. ამასთანავე, 50 და მეტი წლის ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფმა 692 299 ქალმა მთელი სიცოცხლის განმავლობაში 1 526 685 ბავშვი გააჩინა, ე.ი., ერთმა ქალმა საშუალოდ 2,2 ბავშვი. თუ 50 წელს გადაცილებული ყველა 46 175 ქალი თავის დროზე გათხოვდებოდა და შენარჩუნებული იქნებოდა ისეთივე შობადობის დონე, როგორიც იყო მათივე წლოვანების ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ ქალებში, მაშინ იმის გამო, რომ 46 175 ქალი არასოდეს ყოფილა დაქორწინებული, ქვეყანაში არ დაიბადა 101 585 ბავშვი (46 175 x 2,2). რა თქმა უნდა, ყველა ქალი შეიძლება ვერ გათხოვდეს, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ 50 წლისა და უფროს ქალებში, მაღალია დაუქორწინებელთა რაოდენობა.

ძირითად დემოგრაფიულ საფრთხეებს შორის ერთ-ერთია **ოჯახის ინსტიტუტის კრიზისი,** რომელსაც მნიშვნელოვნად განაპირობებს განქორწინების რა- ▶

### საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა 1980-1989 და 2014-2018 წლებში, ხუთწლიანი ინტერვალით

| | 1985 | 1986 | 1987 | 1988 | 1989 | ჯამი 1985-1989 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | ჯამი 2014-2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დაიბადა | 87214 | 87546 | 84295 | 81570 | 81578 | 422203 | 60635 | 59249 | 56569 | 53293 | 51138 | 280884 |
| გარდაიცვალა | 40857 | 40935 | 41041 | 42155 | 41838 | 206826 | 49087 | 49121 | 50771 | 47822 | 46524 | 243325 |
| ბუნებრივი მატება | 46357 | 46611 | 43254 | 39415 | 39740 | 215377 | 11548 | 10128 | 5798 | 5471 | 4614 | 37559 |
| ქორწინება | 38708 | 39134 | 34460 | 33365 | 33873 | 179540 | 31526 | 29157 | 25101 | 23684 | 23202 | 132670 |
| განქორწინება | 6514 | 6667 | 6766 | 7082 | 7358 | 34387 | 9119 | 9112 | 9539 | 10222 | 10288 | 48280 |

შენიშვნა: შედარებისთვის 1985-1989 წლების მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მონაცემებს გამოკლებულია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ბუნებრივი მოძრაობის მონაცემები.

# მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაზე მეტად უარყოფითი გავლენა იქონია ბოლო წლებში, მათ შორის, 2018 წელს, ქორწინებების შემცირებამ და განქორწინებების მატებამ. 2014-2018 წლებში აღირიცხა 133 ათასი ქორწინება და 48 ათასი განქორწინება, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებლები 1985-1989 წლებში იყო, შესაბამისად, 180 ათასი და 34 ათასი.

ერის სატკივარი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ოდენობის მატება, ოჯახების მასობრივი დანგრევა. **თანამედროვე მობილურ საზოგადოებაში ლაპარაკიც კი ზედმეტია მყარი ოჯახების შექმნაზე, როდესაც უკვე თითქმის ყოველი მეორე ქორწინება განქორწინებით მთავრდება. კატასტროფულად მოიმატა განქორწინებათა რაოდენობამ ბოლო წლებში. თუ 2014 წელს 3,4 რეგისტრირებულ ქორწინებაზე ერთი რეგისტრირებული განქორწინება მოდიოდა, 2018 წელს უკვე 2,2 რეგისტრირებულ ქორწინებაზე ერთი რეგისტრირებული განქორწინება მოდის.**

ასეთი მძიმე დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად, ამ ყველაზე დიდი ეროვნული სატკივარის სამკურნალოდ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დემოგრაფიული პრობლემების კვლევის ცენტრში უშუალოდ ამ უნივერსიტეტის დამფუძნებლის, ბატონ **ვახტანგ წივწივაძის** მორალური და ფინანსური მხარდაჭერით **შემუშავდა საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა, რომლის პრეზენტაცია გაიმართა შარშან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. პრეზენტაციაზე ცნობილ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად მოვიწვიეთ ყველა პარლამენტარი და სამინისტროების პირველი პირები. მოსაწვევი ბარათები თითქმის ყველას უშუალოდ გადავეცი,** მაგრამ პრეზენტაციაზე მოვიდა მხოლოდ ერთი პარლამენტარი — ბატონი **პაატა მხეიძე** და განათლების მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე. დემოგრაფიული პროგრამა ცალკე წიგნადაც გამოვეცით. წიგნის ანოტაციაში ვწერდით: **„პროგრამა დაეგზავნება საქართველოს პრემიერმინისტრს, მთავრობის წევრებს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძეს, პარლამენტარებს, სპეციალისტებს, მეცნიერებს, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს. სრულებითაც არ ვფიქრობთ, რომ წინამდებარე პროგრამა არის უნაკლო და დაზღვეული შეცდომებისგან. ალბათ, პროგრამაში დასამატებელი და გამოსაკლები წინადადებებიც დაიძებნება, მოტანილ ღონისძიებათა სხვაგვარი ინტერპრეტაციაც გახდება საჭირო, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მთლიანობაში პროგრამა თანამედროვე დემოგრაფიულ მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის გამოყენებით და ეროვნულ ინტერესებთან შეხამებით არის შემუშავებული.**

ვიმედოვნებთ, მთავრობა შეადგენს სპეციალისტებით დაკომპლექტებულ კომისიას, რომელიც საბოლოო სახეს მისცემს პროგრამას და ხელისუფლება გამოავლენს საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამის პრაქტიკული განხორციელების პოლიტიკურ ნებას".

თურმე სულ ტყუილად ვიმედოვნებდი. ჩემი მხრიდან 150 წიგნი ჩავაბარე პარლამენტის კანცელარიაში და ცალკე მთავრობის წევრებისთვის სახელმწიფო კანცელარიაში შესაბამის განცხადებასთან ერთად ბატონების — ირაკლი კობახიძისა და გიორგი კვირიკაშვილის სახელებზე. პასუხებს ამაოდ ველოდე. ერთი თვის შემდეგ, როდესაც განცხადებების ბედი მოვიკითხე, შევიტყვე, რომ ირაკლი კობახიძემ ჩემი განცხადება სხვას დააწერა, ხოლო გიორგი კვირიკაშვილის სახელზე შესულ განცხადებას საერთოდ ველარ მიაკვლიეს. **მართალი გითხრათ, ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ასეთი უყურადღებობა ჩვენი ყველაზე დიდი ეროვნული სატკივარის მიმართ, რომლის მოუგვარებლობის შედეგად მოკლე ხანში, საშუალოდ ოთხ ათეულ წელიწადში,**



**დემოგრაფიული მონაცემების არსებული ტენდენციების შენარჩუნების პირობებში, მოსახლეობისგან დაიცლება ყველა მუნიციპალიტეტი. ზოგან ეს გაცილებით ადრე მოხდება.** მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, ოფიციალური მონაცემებით, 2014 წელს ცხოვრობდა 32 089 კაცი, ხოლო 2002 წელს — 50 969 კაცი. 2002-2014 წლებში, 13 წელიწადში, მისი მოსახლეობა შემცირდა 18 880 კაცით. გაანგარიშება გვიჩვენებს: თუ 18 880 კაცით შემცირდა 13 წელიწადში, მაშინ 32 089 კაცით შემცირდება x წელიწადში. x =32089x13 და გაყოფილი 18 880-ზე. ამრიგად, x=22-ს. **ე.ი., რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი მოსახლეობისაგან დაიცლება 22 წელიწადში.**

ის, რაც ზემოთ ითქვა, სულაც არ არის ლიტონი სიტყვები. მრავალმილიონიანი რუსეთიც კი შეშფოთებულია დემოგრაფიული ვითარებით. რუსი დემოგრაფების აზრით, თუ ასე გაგრძელდება და რადიკალური ღონისძიებები არ განხორციელდება, 150 წელიც არ დასჭირდება იმას, რომ „რუსეთი გაქრეს პოლიტიკური რუკიდან და იგი შეიერთოს რომელიმე დიდმა მეზობელმა სახელმწიფომ". აღსანიშნავია, რომ რუსეთში უკვე გაატარეს მნიშვნელოვანი ღონისძიებები და ვითარებაც გარკვეულწილად გამოსწორდა. რუსეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში არსებობს დემოგრაფიის დეპარტამენტი (ჩვენთან ასეთი დეპარტამენტი ნაციონალებმა გააუქმეს), ხოლო იმ რეგიონებში, რომლებშიც მძიმე დემოგრაფიული ვითარებაა — დემოგრაფიის სამინისტროები. მაგალითად, სამარის ოლქში არსებობს სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის სამინისტრო.

**დემოგრაფიული ვითარების მყისიერად გაუმჯობესება შეუძლებელია, რაც უნდა დიდი ფინანსური სახსრები გავიღოთ, რადგან დემოგრაფიული პროცესები გარკვეული ინერტულობით ხასიათდება — ადამიანს დაქორწინება შეუძლია მხოლოდ გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ, ბავშვი ვერ გაჩნდება ცხრა თვეზე ადრე, შეუძლებელია მრავალშვილიანობის (3-4 ბავშვი) მასობრივად გავრცელება და სხვ. ამიტომ აუცილებელია დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება ხანგრძლივი პერიოდისთვის.** არცთუ იშვიათად სწორედ ეს მომენტი ეღობება წინ დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებას, რადგან ერთი ხელისუფლების მიერ დაწყებული დემოგრაფიული პოლიტიკის დადებით შედეგებს საბოლოოდ უკვე სხვა ხელისუფლება იღებს. დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების ინიციატორ ხელისუფლებას კი, ასე ვთქვათ, „უქმად" ეხარჯება საკმაოდ სოლიდური ფინანსური რესურსი. ის მხოლოდ ნაწილობრივ იმკის მის მიერ გაწეული სამუშაოს შედეგებს, თუმცა საბოლოოდ მოგებული რჩება ერი, ამიტომ ხელისუფლებაში უფრთხიან მძიმე დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებისთვის დიდძალი თანხის გაღებას, მაგრამ ამით ეროვნულ ინტერესებს უგულებელყოფენ. **უმძიმესი დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად გონივრული პოლიტიკის გატარებას იწყებს მხოლოდ პატრიოტული შეგნების ხელისუფლება, რომელსაც მიაჩნია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობა არის ერის გამრავლება და მისი უწყვეტობის უზრუნველყოფა.**

**ანზორ თოთაძე**,
დემოგრაფი, პროფესორი

## P.S.

2 აპრილს ძმაცუა (ძველი ქართული სიტყვაა და ვერაგს ნიშნავს) ნიკა გვარამიამ უკვე მერამდენედ ინტერვიუ აიღო დიდი მასშტაბის თაღლითთან, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან. ნაპრეზიდენტალი ამჯერად ახალ კოსტიუმში იყო გამოწყობილი და არა ძველ, ალბათ, სიმამრისაგან ნათხოვარ კოსტუმში, ემიგრანტებთან შეხვედრაზე ლიეჟში რომ ეცვა, და ეს ცრუპენტელა თავისი ბინძური საქმეების საკეთებლად ემიგრანტებს სთხოვდა დახმარებას. 2 აპრილის ინტერვიუ — ეს იყო გამიზნული ტყუილებისა და უცოდინარობის კორიანტელი. როგორც დემოგრაფი, შევეხები მხოლოდ ერთ მათგანს. პრეზიდენტყოფილმა ისევ ილაპარაკა ქალაქ ლაზიკის მშენებლობაზე და აღნიშნა, ამ ქალაქში 500 ათასი კაცი იცხოვრებსო. 2012 წლის დასაწყისში, როდესაც მან ეს პირველად თქვა, სპეციალისტებმა მიუთითეს, რომ ანაკლიასა და ყულევს შორის დაჭაობებული ნიადაგია და იმ ადგილებში ხალხმრავალი ქალაქის აშენება დაუშვებელია. ამასთანავე, იქ დაირღვევა ეკოლოგიური ბალანსი, რაც კატასტროფას გამოიწვევს. 2012 წლის 31 მარტს ამ საკითხზე იმსჯელეს „რუსთავი 2"-ის გადაცემა „კურიერში", რომელშიც მონაწილეობა მიიღო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერონიკა ქობალიამ, იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი ვაშაძემ, ეკონომისტმა ემზარ ჯგერენაიამ, „თავისუფალი უნივერსიტეტის" დამფუძნებელმა კახა ბენდუქიძემ. მათ აღნიშნეს, რომ ლაზიკა გახდებოდა მთელი რეგიონის ფინანსური ცენტრი. ბენდუქიძემ და სხვებმა ისიც აღნიშნეს, რომ ლაზიკა აშენებიდან ცოტა ხანში იქნებოდა თბილისისოდენა ქალაქი, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს მხოლოდ ორ ქალაქში 2,5 მილიონი კაცი იცხოვრებდა. ინტენსიური შიგა მიგრაციული პროცესების შედეგად სულ უფრო მატულობს ქალაქის (ძირითადად, თბილისის) მოსახლეობა და კატასტროფულად მცირდება მოსახლეობა სოფლისა, სადაც ამჟამად ყოველი მეოთხე მცხოვრები 60 წელსაა გადაცილებული, ე.ი. დაბერებულია. თუ ჩვენ ლაზიკას ავაშენებთ ისეთი მოსახლეობის რაოდენობით, რამდენსაც პრეზიდენტყოფილი გვთავაზობს, მაშინ ან სოფელი უნდა დავაცარიელოთ, ან აფრიკიდან და აზიიდან ჩამოსახლდებიან სხვა რელიგიური აღმსარებლობის, სხვა კულტურისა და სრულიად სხვა ცხოვრების წესის მქონე ადამიანები. მოსახლეობის ბუნებრივი მატების არც ამჟამინდელი და არც შორეული პერსპექტივა არ გვაძლევს საშუალებას, რომ მილიონიანი ან თუნდაც ნახევარმილიონიანი ახალი ქალაქი ავაშენოთ.

ლაზიკა, რა თქმა უნდა, უნდა აშენდეს, მაგრამ მოსახლეობის იმ რაოდენობით, რომელიც მხოლოდ პორტის მუშაობას უზრუნველყოფს.

## საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა რეგიონების მიხედვით 1989 და 2018 წლებში

| | 1989 წელი | | | | | 2018 წელი | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაიბადა | გარდაიცვალა | ბუნებრ. მატება | ქორწინება | განქორწინება | დაიბადა | გარდაიცვალა | ბუნებრ. მატება | ქორწინება | განქორწინება |
| თბილისი | 18185 | 10370 | 7815 | 10404 | 2912 | 16161 | 12122 | 4039 | 6718 | 3812 |
| აჭარა | 7923 | 3024 | 4899 | 3277 | 523 | 5800 | 3438 | 2362 | 2598 | 761 |
| გურია | 2503 | 1813 | 690 | 949 | 98 | 1272 | 1691 | -419 | 665 | 252 |
| იმერეთი | 11854 | 7317 | 4537 | 4976 | 495 | 6757 | 8005 | -1248 | 3661 | 1668 |
| კახეთი | 7582 | 4722 | 2860 | 2519 | 325 | 4159 | 4529 | -370 | 1794 | 727 |
| მცხეთა-მთიანეთი | 2160 | 1158 | 1002 | 692 | 109 | 1067 | 1329 | -262 | 500 | 234 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 751 | 948 | -197 | 286 | 8 | 328 | 656 | -328 | 177 | 70 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 6514 | 3952 | 2562 | 2634 | 249 | 3972 | 4904 | -932 | 2055 | 813 |
| სამცხე-ჯავახეთი | 4771 | 1803 | 2968 | 1748 | 107 | 2107 | 1927 | 180 | 921 | 233 |
| ქვემო ქართლი | 13507 | 3918 | 9589 | 4777 | 1022 | 6179 | 4525 | 1654 | 2666 | 1026 |
| შიდა ქართლი | 5828 | 2813 | 3015 | 1959 | 260 | 3336 | 3398 | -62 | 1447 | 606 |
| საქართველო სულ | 81578 | 41838 | 39740 | 34221 | 6108 | 51138 | 46524 | 4614 | 23202 | 10288 |

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დღევანდელი ვითარება ქმნის ნოყიერ ნიადაგს პათოლოგიური თეორიებისთვის, რომელთა თანახმად, საზოგადოება ბნელია და ამიტომ რჩეულმა უმცირესობამ უნდა მართოს ის, როგორც ცხვრის ფარა. ვრცელდება მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ სიღარიბე და დემოკრატია შეუთავსებელია და საქართველოსთვის ოპტიმალური ავტორიტარული მმართველობაა. მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოსავალს ვერ ხედავს და სწორედ აქედან იწყება მესიანისტური ოცნებები „მესამე ძალაზე“, რომელიც „გამოჩნდება“ და გვიხსნის. ამ ილუზიებმა შეიძლება გამოკვებოს რეჟიმი, რომელიც გაცილებით საშიში იქნება, ვიდრე ყველა ძველი ერთად აღებული.**

# ბორდელის მართვის ეროვნული თავისებურებანი

**„არის თუ არა საქართველოში პარტია, რომელიც თქვენთვის მნიშვნელოვან პრობლემებს მოაგვარებს?“ — „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ ამ კითხვას რესპონდენტების 55%-მა უარყოფითად უპასუხა. ეს საკმაოდ საგულისხმო ინდიკატორია, რომელიც მიანიშნებს ნდობის კრიზისზე ქართულ პოლიტიკაში, იმაზე, რომ ძველმა პოლიტიკურმა ელიტამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა. ამომრჩეველთა უნდობლობა, ხშირ შემთხვევაში კი ზიზღი მის მიმართ, სავარაუდოდ, გახდება მთავარი ფაქტორი საპარლამენტო არჩევნების ბედის გადაწყვეტაში.**

ეს გლობალური ტენდენციაა. ძველი პარტიებისა და პოლიტიკოსების უარყოფა გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში საფრანგეთში **ემანუელ მაკრონმა** გაიმარჯვა, ხოლო 31 მარტს გამართულ უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში შოუმენმა **ვლადიმერ ზელენსკიმ** დიდი წარმატება მოიპოვა. მასსა და მაკრონს შორის საერთო თითქმის არაფერია და ამ სხვაობას მათი ქვეყნების პოლიტიკური კულტურის განსხვავებული დონე განაპირობებს, მაგრამ განხილულ კონტექსტში მთავარია, რომ ელექტორატისთვის არც ერთი, არც მეორე ძველ სისტემასთან, პოლიტიკის ძველ სტილთან არ ასოცირდებოდა. ქართველი ამომრჩევლების დიდი ნაწილიც ამ მიმართულებით მიდის და ხმამაღლა ოცნებობს უმწიკვლო „მესამე ძალაზე“.

შეფასების მთავარი ინსტრუმენტი მათთვის, სავარაუდოდ, სუბიექტური აღქმა გახდება — შეგრძნება და არა გასჯა. „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ იმავე კვლევაში (საველე სამუშაოები 2018 წლის 16-27 ნოემბერს ჩატარდა; გამოიკითხა 599 მოქალაქე თბილისში და 1187 რეგიონებში) არის შემდეგი მონაცემებიც — კითხვას „წაგიკითხავთ თუ არა რომელიმე საარჩევნო პარტიის საარჩევნო პროგრამა?“ რესპონდენტების 66%-მა უარყოფითად უპასუხა. როდესაც დაისვა კითხვა: „ხმის მიცემისას უფრო მნიშვნელოვანია პარტიის საარჩევნო პროგრამა თუ ლიდერის ვინაობა?“ — 39% პირველ ვარიანტს მიემხრო, 46% — მეორეს.

აქ, ალბათ, საინტერესოა შემდეგი მომენტი: ამომრჩეველს სურს, რომ ავანსცენაზე ახალი, გაუსვრელი ფიგურები გამოჩნდნენ, ანუ ისინი, ვისაც პოლიტიკაში მოღვაწეობის ნულოვანი ან ძალიან მცირე გამოცდილება აქვთ. შესაბამისად, ისინი ვერ მოახდენენ მათი პოლიტიკური უნარების შეფასებას და მხოლოდ ივარაუდებენ, რომ ესა თუ ის სამოქალაქო აქტივისტი, იურისტი, სპორტსმენი თუ მსახიობი კარგი პოლიტიკოსი გახდება. დღეს ქართველი კომენტატორების ნაწილი უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს ირონიით უყურებს — „კლოუნს ირჩევენ“ და ა. შ. თუმცა საქართველოში არსებობს ყველა წინაპირობა იმისთვის, რომ კლოუნიც ავირჩიოთ და გიჟიც, შესაბამისი გამოცდილებაც გვაქვს და, რაც მთავარია, საზოგადოების დიდი ნაწილის სიძულვილი ძველი პოლიტიკის მიმართ იმდენად დიდია, რომ ალტერნატივას პრაქტიკულად ნებისმიერ გამვლელში ხედავს.

თანამედროვე ქართული პოლიტიკა აღიქმება, როგორც უკიდურესად ბინძური საქმე. ამაზე ირიბად მიანიშნებს პასუხები კითხვაზე: „მოუწონებდით თუ არა თქვენს ვაჟიშვილს (ქალიშვილს) პოლიტიკაში წასვლას?“ პირველ შემთხვევაში რესპონდენტების 74%-მა უპასუხა „არა“ , ხოლო მეორე შემთხვევაში — 77%-მა. 61% თვლის, რომ პარტიების დაფინანსება მხოლოდ ფორმალურად არის გამჭვირვალე; 75% მიჩნევს, რომ პარტიები, ძირითადად, სკანდალებითა და ურთიერთბრალდებებით არიან დაკავებულნი და მხოლოდ 14% თვლის, რომ ისინი პრობლემების გადაწყვეტის გზებს ეძებენ. გასაკვირი არაა, რომ მოქალაქეებს ამ რეალობის შეცვლა სურთ, მაგრამ **დიდი ნაწილი ახალი ძალის ერთგვარი „გამოცხადების“ (ეპიფანიის) კვაზირელიგიურ მოლოდინშია და ეყრდნობა, უპირველესად, რწმენასა და შეგრძნებას და არა განსჯასა და კრიტიკულ აზროვნებას.**

ჰიპოთეზური „მესამე ძალის“ მიმართ ყველაზე ხშირად გამოიყენება ზმნა „გამოჩნდება“; მოქალაქეების დიდი ნაწილი არ თვლის, რომ ეს მისი ძალისხმევის შედეგად მოხდება, რომ მის ჩამოყალიბებაში რაიმე ფორმით მონაწილეობა უნდა მიიღოს და ა. შ. ასეთი ვითარებაა სხვა სფეროებშიც. იმავე კვლევაში რესპონდენტები ახასიათებენ შრომითი უფლებების კუთხით შექმნილ მდგომარეობას, როგორც რთულს, მაგრამ, ამათანავე, 96% ამბობს, რომ არ არის პროფკავშირის წევრი; ხოლო 90% აცხადებს, რომ სურვილი არ აქვს, პროფკავშირის წევრი გახდეს. **ძველი პროფკავშირები უკიდურესად დისკრედიტებულია, ხოლო ახლის შექმნა დასაქმებულთა მხრიდან გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს, ამიტომ უმრავლესობას ურჩევნია, დაელოდოს, როდის „გამოჩნდება“ ვიღაც და პრობლემებს მოუგვარებს.**

ეს ვითარება მომავალი საპარლამენტო არჩევნების მთავარ პოლიტტექნოლოგიურ ამოცანად „ახალი ძალის“ კონსტრუირებასა და მის წარმატებულ პრეზენტაციას ხდის. ძველი პარტიები ტრადიციულად შეეცდებიან, რებრენდინგი ჩაატარონ და ავანსცენაზე „ახალი სახეები“ გამოიყვანონ, მაგრამ ამასთანავე, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობენ მარიონეტული პოლიტიკური გაერთიანებების შექმნას, რათა მოახდინონ იმ ამომრჩეველთა კონსოლიდაცია, რომელთაც ნებისმიერ შემთხვევაში ვერ „მისწვდებიან“.




**«კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის» კვლევაში იყო კიდევ რამდენიმე საგულისხმო კითხვა და პასუხი. მოსაზრებას — «პოლიტიკაში ყოფნისას ადამიანს უწევს საკუთარ პრინციპებზე უარის თქმა» — დაეთანხმა 39% და სრულად დაეთანხმა 31% (ჯამში 70%). ხოლო მოსაზრებას «ადამიანები პოლიტიკაში საკუთარი კეთილდღეობისთვის მიდიან» დაეთანხმა გამოკითხულთა 35% და სრულად დაეთანხმა 52% (ჯამში 87%). ამ შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ, სახელმწიფოში კი არა, ბორდელში ვცხოვრობთ შესაბამისი მორალური კოდექსითა და განვითარების პერსპექტივით**

პოლიტიკურ ტერმინში „ახალი სახეები“, ალბათ, მაინც არის ამომრჩევლებისთვის შეურაცხმყოფელი ქვეტექსტი, რადგან მათი დიდი ნაწილი აცნობიერებს, რომ ეს „სახეები“ პარტიის ძველ, უცვლელ არსს, მის შეცდომებს და დანაშაულებებს ნიღბავენ. მიუხედავად ამისა, ამ თამაშში მონაწილეობას განაგრძობს, რადგან საკუთარის წამოწყება არ ძალუძს. ამას არაერთი მიზეზი განაპირობებს, მათ შორის ავტორიტარული სისტემებისთვის დამახასიათებელი სამოქალაქო პასიურობა, სიზარმაცე, არათანმიმდევრულობა და სხვ.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. 1958 წელს გამოცემულ წიგნში „ჩამორჩენილი საზოგადოებების მორალური ბაზისი“, რომელიც სამხრეთ იტალიას აღწერდა, ამერიკელი სოციოლოგი **ედვარდ ბანფილდი** წერდა: ამომრჩეველი ასეთ საზოგადოებებში, როგორც წესი, იყენებს ბიულეტენს იმისთვის, რომ მიიღოს მატერიალური ამონაგები მოკლევადიან პერსპექტივაში — **„მან შეიძლება ჩათვალოს, რომ საქმე ეხება მის გრძელვადიან, კლასობრივ ან საზოგადოებრივ ინტერესს, მაგრამ ეს არ იმოქმედებს მის არჩევანზე, თუ ოჯახის კონკრეტული მატერიალური ინტერესით იხელმძღვანელებს“.**

იქამდეც მივედით, რომ საექსპერტო საზოგადოება ღიად მსჯელობს იმაზე, რომ ამომრჩევლებს ყიდულობენ — ვალების ჩამოწერით, საკრედიტო წნეხის შემსუბუქების დაპირებით ან, სულაც, ხახვითა და კარტოფილით. ბიძინა ივანიშვილს ეს ჯერჯერობით უკეთ გამოსდის, რადგან მეტი რესურსი აქვს. ელექტორატის პროსტიტუირების პროცესი ღრმავდება და ეს, ალბათ, ლოგიკური შედეგია იმ პოლიტიკისა, რომლის ქვაკუთხედს წარმოადგენს ინტერესები და არა იდეები.

ყველაზე ბეჯით სტუდენტებსაც კი ხშირად უჭირთ იმის ახსნა, რატომ იქცეოდნენ მათი წინაპრები დაახლოებით ასი წლის წინათ ამა თუ იმ სიტუაციაში ასე და არა სხვაგვარად. ეს, ალბათ, ბუნებრივია, რადგან იმ საზოგადოებისთვის ცენტრალურ ადგილს იდეები და პრინციპები იკავებდა. ის უშვებდა უამრავ, ზოგჯერ საბედისწერო შეცდომას, მაგრამ ყოფნიდა ენერგია იმისთვის, რომ სწრაფვა უკეთესობისკენ წამითაც არ შეენელებინა. ის ნამდვილად არ იყო იდეალური, მაგრამ მასში გაცილებით ნაკლები პესიმიზმი და ცინიზმი იყო. ის მეტს ფიქრობდა „საზოგადო საქმეზე“. სამწუხაროდ, ეს ტერმინი ლექსიკონიდან ამოვარდა, თუმცა ეს, ალბათ, ბუნებრივია.

დღევანდელი ვითარება ქმნის ნოყიერ ნიადაგს პათოლოგიური თეორიებისთვის, რომელთა თანახმად, საზოგადოება ბნელია და ამიტომ რჩეულმა უმცირესობამ უნდა მართოს ის, როგორც ცხვრის ფარა. ვრცელდება მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ სიღარიბე და დემოკრატია შეუთავსებელია და საქართველოსთვის ოპტიმალური ავტორიტარული მმართველობაა (იმაზე, თუ რამდენად მკაცრი უნდა იყოს ის, ცალკე კამათობენ). მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოსავალს ვერ ხედავს და სწორედ აქედან იწყება მესიანისტური ოცნებები „მესამე ძალაზე“, რომელიც „გამოჩნდება“ და გვიხსნის. ამ ილუზიებმა შეიძლება გამოკვებოს რეჟიმი, რომელიც გაცილებით საშიში იქნება, ვიდრე ყველა ძველი ერთად აღებული.

„კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ კვლევაში იყო კიდევ რამდენიმე საგულისხმო კითხვა და პასუხი. მოსაზრებას — „პოლიტიკაში ყოფნისას ადამიანს უწევს საკუთარ პრინციპებზე უარის თქმა“ — დაეთანხმა 39% და სრულად დაეთანხმა 31% (ჯამში 70%). ხოლო მოსაზრებას „ადამიანები პოლიტიკაში საკუთარი კეთილდღეობისთვის მიდიან“ დაეთანხმა გამოკითხულთა 35% და სრულად დაეთანხმა 52% (ჯამში 87%). ამ შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ, სახელმწიფოში კი არა, ბორდელში ვცხოვრობთ შესაბამისი მორალური კოდექსითა და განვითარების პერსპექტივით.

**ბიძინა ივანიშვილიც** მართვის შესაბამის მეთოდებს იყენებს, ყურადღებას არ აქცევს პერსონალის მელოდრამატულ ისტერიკებს, როგორც პროცესის განუყოფელ ნაწილს, და დარწმუნებულია, რომ პოლიტიკური ელიტისა და ელექტორატის კონსოლიდაციის საქმეში ფული, ნებისმიერ შემთხვევაში, გადამწყვეტ როლს შეასრულებს. ასეთი მმართველი და ეს მეთოდები უადგილო და უშედეგო იქნებოდა იმ საზოგადოებაში, რომელიც იბრძოდა და იდეალებს არ ივიწყებდა, მაგრამ საზოგადოებაში, რომელიც დაეცა, ის სავსებით ბუნებრივია და, ალბათ, ოპტიმალურიც.

„მესამე ძალა“? იყიდის, შეფუთავს და საზოგადოებას შესთავაზებს. არაფერი არ შეიცვლება იმ მომენტამდე, სანამ მოქალაქეთა კრიტიკული მასა არ გადაწყვეტს, რომ თვითონ არის არათუ მესამე, არამედ პირველი ძალა და საკუთარი ხელით არ დაიწყებს ახალი პოლიტიკის შექმნას.

**უმრავლესობას ურჩევნია, დაელოდოს, როდის «გამოჩნდება» ვიღაც და პრობლემებს მოუგვარებს. ეს ვითარება მომავალი საპარლამენტო არჩევნების მთავარ პოლიტტექნოლოგიურ ამოცანად «ახალი ძალის» კონსტრუირებასა და მის წარმატებულ პრეზენტაციას ხდის**

„შარშან დიდძალი თანხა დაიხარჯა ფაროსანას მოსასპობად, მაგრამ შედეგი არ არის. წელს გაცილებით მეტი იქნება ზარალი, ვიდრე გასულ წლეებში. სოფლის მეურნეობა მისახედია, გადახედონ თუნდაც უკრაინის, ამ დაქცეული ქვეყნის, სოფლის მეურნეობას, ყველაფერი აქვთ, აღარ ვლაპარაკობ ბელარუსზე, სადაც ყვავის სოფლის მეურნეობა და გასაღების ბაზარიც მოპოვებული აქვთ. მოკლედ, რაღა ბევრი ვილაპარაკო და ჩვენზე ცუდად არავინ ცხოვრობს ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან“.

## ხალხის ხმა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქვეყანაში შექმნილმა უმძიმესმა პოლიტიკურმა ვითარებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, საზოგადოების დიდი ნაწილი, გაუსაძლისი ეკონომიკური და სოციალური ვითარების გარდა, შეშფოთებულია იმითაც, რომ ივნისში საქართველოს დედაქალაქის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე, ლგბტ პირები აღლუმის გამართვას აპირებენ. რა აწუხებს ხალხს? რას ფიქრობს ჩვენი ქვეყნის რიგითი მოქალაქე? რა პრობლემების წინაშე დგანან ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები რეგიონებში? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე აპირებს „საქართველო და მსოფლიო“ ყურადღების გამახვილებას. გაზეთი მზად არის, მოუსმინოს ყველას, ვისაც სურვილი აქვს აზრის გამოთქმის. რუბრიკა „ხალხის ხმის“ პირველი სტუმარია ზესტაფონის მკვიდრი, საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი ლეონარდო ხვედელიძე.**

# «იმას კი არავინ ამბობს, დაქცეულ სოფლებს, დაქცეულ ქალაქებს, რაიონებს რომ ვუტოვებთ შთამომავლობას»






**«თუკი ლგბტ-ებს აღლუმის ჩატარების ნებას მივცემთ, თუკი ხმალს არ ავლესავთ, გადაგვჯეგავენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მეტნი ვართ. არ მინდა ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმა ტელეეკრანზე მათ უყურონ, მათი ნააზრევი მოისმინონ. ჩემი ოჯახი მე თუ არ დავიცავი, ვხედავ, პატრონი არ არის»**

— მეკითხებით, რას ვფიქრობ დღევანდელობაზე? გიპასუხებთ: რას უნდა ვფიქრობდე კარგს, როდესაც რეგიონები, რაიონები და სოფლები დაცლილია მოსახლეობისგან. იმერეთში 250 სოფელი, ფაქტობრივად, გაუკაცრიელდა და, რაც დარჩა, ალბათ, ისიც დაიცლება, ყველა საზღვარგარეთ მიდის, ან დედაქალაქში.

ხელისუფლება ზუსტად ისეთი გვყავს, როგორსაც ვიმსახურებთ. კიდევ დიდხანს ვიქნებით ასე — **გვეყოლება ხელისუფლება, რომელიც უცხო ქვეყნების ინტერესებს გაატარებს.** ჩვენ არ ვკითხულობთ პარტიების პროგრამებს, არ ვეცნობით მათ იდეოლოგიას, მხოლოდ ლიდერების ტყუილებს ვისმენთ და ვცდებით. შემდეგ ჩვენ, უკვე შემცდარი ხალხი, არ ვიყენებთ კონსტიტუციურ უფლებას, მოვითხოვოთ რომელიმე თანამდებობის პირის გადადგომა ხელმოწერების საშუალებით. ყველა ქართველი თითქოს პოლიტიკოსია, მაგრამ ჩვენ ხომ ორლობის პოლიტიკოსები ვართ, ჩვენ ხომ ყველას მხოლოდ ჩვენი თავი, ჩვენი ბიზნესი გვაინტერესებს, ხალხსა და ქვეყანაზე კი არავინ ფიქრობს.

ხშირად ამბობენ, ილიას გზით მივდივართო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ილია არც კი წაუკითხავთ. უწიგნურები არიან.

**— თქვით, რომ საქართველო იცლება, რომ სოფლები გაუკაცრიელდა... რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ ამ პროცესის შესაჩერებლად?**

— პირველ რიგში, ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს მცირე, კერძო ბიზნესის განვითარებას რაიონებში. მთავრობას არ აქვს ეკონომიკური პოლიტიკა, მისი ეკონომიკური პოლიტიკა პოპულიზმია და სხვა არაფერი. ამბობენ, 250 ქარხანა გავხსენითო, მაგრამ ამდენი ქარხანა ევროპის წამყვან ქვეყნებს არ აქვს, მგონი.

**— ზესტაფონში არ გახსნილა ქარხანა ან მცირე საწარმო მაინც?**

— ზესტაფონში ფეროს ქარხანა გვახრჩობს, ამხელა ქარხანა ვერ აამუშავეს ისე, რომ თუნდაც 1990-იან წლებში რაც იყო, იმ დონეს მიაღწიონ. საქმე ის არის, რომ რამე რომც გააკეთონ, გასაღების ბაზარი არ აქვთ, მთელი დატვირთვითაც რომ აამუშაონ, პროდუქცია სად წაიღონ?

ზესტაფონში გადამამუშავებელი საწარმოები უნდა აშენდეს. ვიცით, რომ ნატურალურ წვენებზეა მოთხოვნა, იმერეთს აქვს ამ წვენების წარმოების საშუალება. იმერეთშია მარგანეცი, ქვანახშირი და ძალიან ბევრი რამ, მაგრამ არავინ ფიქრობს მათ გასაღებაზე, გამოყენებაზე ისე, რომ სიკვდილი კი არა, სარგებელი მოიტანოს. **ამას წინათ წავიკითხე, ქუთაისში ავტოქარხანა უნდა გააკეთონო, რა ავტოქარხანაზეა საუბარი, ნაჯახი და თოხი ვერ გაგვიკეთებია... რამდენიმე წლის წინათ ასეთ სისულელეს მიშაც ამბობდა — ქუთაისში ვერტმფრენების ქარხანა უნდა ავაშენოო...**

2022 წლისთვის ხელფასები გაიზრდებაო, — მოვისმინე განცხადება, გასაკვირია პირდაპირ. ხალხი სიღატაკის ზღვარზეა, სამსახურს სანთლით ეძებს... ხელფასს, ალბათ, ისევ თვითონ მოიმატებენ, ისევ თვითონ გამოიწერენ.

რაიონს ძალიან უჭირს, გლეხი სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. რამდენიმე წელიწადია, ფაროსანამ გადაგვჭამა. **შარშან დიდძალი თანხა დაიხარჯა ფაროსანას მოსასპობად, მაგრამ შედეგი არ არის, წელს გაცილებით მეტი იქნება ზარალი, ვიდრე გასულ წლეებში. სოფლის მეურნეობა მისახედია, გადახედონ თუნდაც უკრაინის, ამ დაქცეული ქვეყნის, სოფლის მეურნეობას, ყველაფერი აქვთ, აღარ ვლაპარაკობ ბელარუსზე, სადაც ყვავის სოფლის მეურნეობა და გასაღების ბაზარიც მოპოვებული აქვთ. მოკლედ, რაღა ბევრი ვილაპარაკო და ჩვენზე ცუდად არავინ ცხოვრობს ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან.** სამაგალითოდ აიღონ ქვეყნები, რომლებმაც გადარჩენა შეძლეს ისეთი მნიშვნელოვანი დარგისა, როგორიც სოფლის მეურნეობაა.

„ავადსახსენებელ“ კომუნისტების მმართველობის პერიოდში ჩვენთვის საჭირო ხორბლის 40 პროცენტი აღმოსავლეთ საქართველოში მოგვყავდა, დანარჩენით გვეხმარებოდნენ. საინტერესოა, ახლა რამდენი პროცენტი მოჰყავთ ან მოჰყავთ კი საერთოდ?! **კატასტროფაა, როდესაც ქვეყანაში უფრო მეტი პროდუქტი შემოგვაქვს, ვიდრე ვაწარმოებთ.** რამდენი რამ არის ისეთი, რისი წარმოებაც ადგილზე შეგვიძლია, ზემოთ ვახსენე ნატურალური წვენები და ასეთი რამ, ალბათ, ბევრია, მაგრამ ინტერესი არავის აქვს.

ფაროსანას დავუბრუნდები ისევ, რადგან მილიონები დაიხარჯა და შედეგი ნულია. გვარწმუნებდნენ, საუკეთესო წამალი შემოვიტანეთო, არადა, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლებმა შესთავაზეს ხელისუფლებას საუკეთესო პრეპარატი ფაროსანას მოსასპობად, მაგრამ კვირიკაშვილი გაიქცა და თურქეთიდან შემოიტანა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენების დამზადებული წამალი უფრო ეფექტიანიცაა და იაფიც — 25 ლარი ღირდა, მთავრობამ კი თურქეთიდან 35-ლარიანი არაეფექტური წამალი შემოიტანა. უაზრობებს აკეთებენ, ფუჭად დროის კარგვაა მათზე საუბარი, მაინც არაფერი ესმით ჩვენი...

**— როგორ ფიქრობთ, მთავრობამ არ იცის, რა უნდა აკეთოს, როგორ დააყენოს ქვეყანა ფეხზე თუ, უბრალოდ, არ სურს ამის გაკეთება?**

— მიუხედავად იმისა, რომ **შევარდნაძის** მმართველობისას მიგრაციის თვალსაზრისით ასეთი კატასტროფული მდგომარეობა არ იყო, იმ პერიოდიდან მოყოლებული ვხედავ, რომ ყველა მთავრობას თავისი წურბელა ჰყავს, როგორც უცხო ქვეყანაში, ისე ქვეყნის შიგნითაც.

სუს-ის უფროსის მოადგილე, ვინმე **გოგაშვილი**, რომ იტყვიან, ცალ-ცალი კალოშით მოვიდა, სოციალურად დაუცველის სტატუსი ჰქონდა და ორ წელიწად-ნახევარში მილიონერი გახდა. ასეთი ადამიანები რომ გეყოლება ქვეყნის მმართველობაში, რაზე უნდა ილაპარაკო?! ასეთებს გლეხის ბედი შეაწუხებთ? თუ ასეთი ნიჭიერი ბიზნესმენია გოგაშვილი ან სხვები, რა უნდათ პოლიტიკაში, ბიზნესი აკეთონ, საწარმოები გახსნან, რატომ იკლავენ თავს პარლამენტში მოხვედრისთვის? ამ ყველაფერს ერთი პასუხი აქვს — სამშობლო და ხალხი არ უყვართ, ამ ქვეყნის წურბელები არიან!

**— თუ გაქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ივნისში თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ლგბტ პირები აღლუმის ჩატარებას აპირებენ?**

— კი, ვიცი ეგ საშინელი ამბავი. ამ საკითხზე ჩემი აზრი მაქვს. როდესაც ამბობენ, ამ უმსგავსო ადამიანების უფლებებს ვიცავთო, ეს თითიდან გამოწოვილი ამბავია, რომლითაც ადამიანების ტვინის გამორეცხვას ცდილობენ, ახალგაზრდებს ვგულისხმობ, თორემ ჩემი ხნისას რაღას დააკლებენ?! **ჰეტეროსექსუალის უფლებას არ იცავენ და ესენი ვისი ან რისი დამცველები არიან?! პენსია ვერ მიუციათ ხალხისთვის წესიერად, გადაიყვანონ არსებული პენსია დოლარში და ნახონ, ხალხს რას აძლევენ. ლგბტ-თი თუ რაღაც ჯანდაბით უნდათ ევროპის გულის მოგება?**

ეს აღლუმიც, რომლის ჩატარებასაც ზაფხულში აპირებენ, ევროპიდან არის თავსმოხვეული, რადგან სხვა ვერაფრით ვუტოლდებით მათ, მხოლოდ ეს შეგვიძლია, ვაჩვენოთ.

ილიას გზას ვადგავართო, რომ გაიძახიან, ილიამ ბანკი იმიტომ შექმნა, რომ ქვეყანას აღარ ჰგავდა და რაღაც გამოსავალს თუ არ მოძებნიდნენ, დავიღუპებოდით. ილიამ გვიხსნა დაღუპვისგან, მაგრამ ესენი რას აკეთებენ? — დროს ატარებენ, სეირნობენ, ქონებას იხვეჭენ, პირად კეთილდღეობას იწყობენ... დამისახელეთ ერთი ქვეყანა მაინც, რომელშიც ნარკომანები და ე.წ. ბარიგები ქუჩაში გამოდიან და საპროტესტო აქციებს აწყობენ. არსად არ არსებობს ასეთი რამ, მაგრამ ჩვენთან მოხდა.

კავკასიის მოსახლეობა გაგიჟებულია ჩვენი საქციელით, გვეუბნებიან, კავკასიის გზას აცდითო. კავკასიური ოჯახის წევრები აღარ ვართ, ჩვენ სატანისტები გავხდით, საქართველოს ვღუპავთ.

**თუკი ლგბტ-თა აღლუმის ჩატარების ნებას მივცემთ, თუკი ხმალს არ ავლესავთ, გადაგვჯეგავენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მეტნი ვართ. არ მინდა ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმა ტელეკრანზე მათ უყურონ, მათ მოუსმინონ. ჩემი ოჯახი მე თუ არ დავიცავი, ვხედავ, პატრონი არ არის.**

პედარასტები ჩემს ახალგაზრდობაშიც იყვნენ, მაგრამ არავინ ერჩოდა, ვიცოდით, რომ ავადმყოფები იყვნენ, ისევე, როგორც ნარკომანები, ისინიც არ გვეჩხირებოდნენ თვალში.

**— ჩვენ, რიგითმა მოქალაქეებმა, რა უნდა გავაკეთოთ?**

— ამის საპირწონედ რაც უნდა გაგვეკეთებინა, ის უკვე ხელიდან გავუშვით. 2016 წელს, როდესაც მივხვდით, რომ ამ ხელისუფლებამ მოგვატყუა და მიშას „ნაციონალურ მოძრაობაზე“ უკეთესი არაფრით აღმოჩნდა, აღარ უნდა აგვერჩია. შეცდომა დავუშვით, ახლა **ვუყურებთ უწიგნურ, უტიფარ, კაცთმოძულე ხელისუფლებას, რომელიც ვალს მხოლოდ ფულზე ითვლის, იმას კი არავინ ამბობს, დაქცეულ სოფლებს, დაქცეულ ქალაქებს, რაიონებს რომ ვუტოვებთ შთამომავლობას. ეს ის ვალია, რომელსაც ვერანაირი ფულით ვერ გადავიხდით. გვიკვირს, ოსი და აფხაზი არ გველაპარაკებაო. გადაგვარების გზაზე მდგომ ერს ვინ დაელაპარაკება?! ეკლესიას ვებრძვით, პატრიარქს ვაგინებთ... ამ ცოდვას ოდესმე გამოვისყიდით?**

**„ვუყურებთ უწიგნურ, უტიფარ, კაცთმოძულე ხელისუფლებას, რომელიც ვალს მხოლოდ ფულზე ითვლის, იმას კი არავინ ამბობს, დაქცეულ სოფლებს, დაქცეულ ქალაქებს, რაიონებს რომ ვუტოვებთ შთამომავლობას. ეს ის ვალია, რომელსაც ვერანაირი ფულით ვერ გადავიხდით. გვიკვირს, ოსი და აფხაზი არ გველაპარაკებაო, გადაგვარების გზაზე მდგომ ერს ვინ დაელაპარაკება?! ეკლესიას ვებრძვით, პატრიარქს ვაგინებთ... ამ ცოდვას ოდესმე გამოვისყიდით?“**

ჩვენი დანაშაული ისიც არის, რომ ყველაფერს თავისი სახელი არ დავარქვით, დამნაშავეები არ დავსაჯეთ. ზვიად გამსახურდიას ჩამოგდებით დაწყებული, ყველა დანაშაული შერჩათ მთავრობებს...

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინი, რომელიც თებერვლის რევოლუციამ გაათავისუფლა გადასახლებიდან, აჩინსკიდან პირდაპირ პეტერბურგში ჩავიდა და იმავე დღეს შეუდგა რევოლუციურ მუშაობას. სხვა საკითხია, რომ მას სმოლნში ყველაზე დაბალი თანამდებობა და ყველაზე პატარა ოთახი მიაკუთვნეს სამუშაოდ, რომლის კარზეც ჭიკარტით მიმაგრებულ ფურცელზე სტალინის ხელით ეწერა: „ეროვნულ საქმეთა კომისარიატი“.**

# სტალინი და სახელმწიფო

## როგორ მართავდა სტალინი უზარმაზარ ქვეყანას

**მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, დიდსა თუ პატარაში, დემოკრატიულში, თეოკრატიულში თუ ტოტალიტარულში ხელისუფალი საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ არის არჩეული. დემოკრატების, რევოლუციონერებისა თუ მეამბოხეთა მიერ თანამდებობაზე დასმული ხელისუფალი ვალდებულია, ემსახუროს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელმაც ხელისუფლებაში მოიყვანა, რაც იწვევს საზოგადოებაში ანტაგონიზმსა და ურთიერთდაპირისპირებას, თუმცა უფრო ხშირად მაშინ, როდესაც ხელისუფალი საზოგადოების გარკვეული ნაწილისა და საზოგადოების გარკვეული ნაწილი ხელისუფლის ხელშეწყობით თავიანთ ცხოვრებაზე უფრო მეტად ზრუნავენ, ვიდრე საზოგადოებასა და სახელმწიფოზე.**

მეამბოხეთა მიერ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, რასაც მოჰყვა ქვეყანაში ფორმაციის შეცვლა და საზოგადოებრივი საკუთრების კერძო საკუთრებაში გადასვლა, საკუთრების უდიდესი ნაწილი იმ მეამბოხეთა ხელში გადავიდა, რომლებმაც თავგანწირვა გამოიჩინა და საფრთხის წინაშე დააყენა თავისი სიცოცხლე. მეამბოხეები შემდეგ შეცვალა ცივილიზებულმა, უფრო გამოცდილმა და მოღალატე ჯგუფმა, რომელმაც თავისი ლიდერი აირჩია და შექმნა კანონები, რომლებითაც მხოლოდ დარჩენილი ქონების მიტაცება-დატაცებას აკანონებდა და დედამიწის ერთი მეექვსედი ასეული ადამიანის საკუთრება გახდა, სამასი მილიონი ადამიანი კი ყოველგვარი ქონების გარეშე დარჩა.

არაფრისმომცემი, ხალხის თვალში ნაცრის შესაყრელად გამოგონილი არჩევნებით ხელისუფლება წლიდან წლამდე ხელიდან ხელში გადადიოდა. ხელისუფლება მონებად ქცეული ადამიანების სამართავი კანონების მიღებით იყო დაკავებული. სრულიად მსოფლიო უკიდურეს ზნეობრივ და ფინანსურ კრიზისში მოექცა.

მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული.

**ვინ შექმნა ზეძლიერი სახელმწიფო? — სტალინმა! ვინ იყო ადამიანი, რომელიც მსოფლიოში იწოდებოდა სახელმწიფოდ? — სტალინი! „ადამიანი-სახელმწიფო“.**

ადამიანთა მოდგმის არსებობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში „ადამიანი-სახელმწიფოს“ შექმნა უნიკალური მოვლენაა, რომელიც არც ერთ მმართველს დედამიწის ზურგზე არ შეუქმნია და, რაც ვერ შექმნა ადამიანმა, ის შექმნა ზეკაცმა სტალინმა, რომლის ქმნილებამაც 30 წელი იარსება.

როგორც პროფესორი **ბორის ილიზაროვი** ამბობს, „მკვლევარისა და ისტორიკოსის განზოგადოებულ სახეში სამარდჟამოდ არის ჩადუღაბებული სტალინის, როგორც მეოცე საუკუნის რუსეთის ისტორიის ფილოსოფიის იდეოლოგიის სახე. სწორედ ამიტომ **სტალინიზმი, თუნდაც სახეშეცვლილი, ჯერ არ მომკვდარა, ისევე, როგორც ბონაპარტიზმი საფრანგეთში. რუსეთში სტალინიზმი ბოლომდე არასოდეს მოკვდება“.**

სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას იკვლევს უამრავი მკვლევარი და ისტორიკოსი, რომლებსაც პორტრეტის შექმნის სამი სხვადასხვა გზა აქვთ. **ერთნი** სტალინის პორტრეტს ხატავენ მისი დაბადებიდან გარდაცვალებამდე, პორტრეტის აღქმა კი მკითხველზეა მინდობილი. ამ შემთხვევაში მკითხველის გემოვნებაზეა დამოკიდებული სტალინის შუქ-ჩრდილების გარკვევა და მის პორტრეტში შტრიხების დანახვა. **მეორენი** სტალინს მისი ნაშრომებითა და გამოსვლებით ირკვევენ. მისდევენ ქრონოლოგიურად, როგორ ვითარდება მისი აზროვნება ქვეყნის განვითარებასთან ერთად. **მესამენი** სტალინს სწავლობენ ადამიანებთან ურთიერთობის საფუძველზე. მკვლევარი სწორედ ადამიანთან დამოკიდებულებით არჩევს ფერებს, რომლებითაც ის თავის წარმოდგენით ქმნის, პირველ რიგში, ჩანახატს, რომელსაც შემდგომ გულმოდგინედ აფერადებს ბწკარებს შორის ამოიკითხული ფარული აზრებით, რომლებიც იქ არ წერია, მაგრამ სხვაგან, სადღაც შორს ან ზეპირსიტყვიერად, ან თხზულების სახით აქვს წარმოთქმული. ჩემი სტალინიანა განეკუთვნება მესამე კატეგორიას, რომელიც არ მიეკუთვნება განსჯის სფეროს. ეს ჩემ მიერ დანახული და აღქმული სტალინია, სხვამ შეიძლება მისი პორტრეტი სულ სხვანაირად წაიკითხოს და აღიქვას. თუ **ხრუშჩოვს** სტალინი მშიშარა და გაუნათლებელ პიროვნებად მიაჩნია, მე პირიქით — „უშიშარ ვითარცა უხორცო“, განათლებულთაგან კი უპირველესი.

თუ **გორბაჩოვს** პირადი განდიდებისთვის მებრძოლად მიაჩნია სტალინი, მე — „კავიანი რუსეთის ატომური ბომბით შემაიარაღებლად“ და სუპერსახელმწიფოდ ქცევისთვის მებრძოლად. თუ **სოლჟენიცინს** ასი მილიონი კაცის მკვლელად მიაჩნია, მე — ხალხის მტრების მტრად წარმომიდგენია. ასეა, ყველას თავისი თვალსაზრისი აქვს. გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ **მე ვდავობ იმაზე, რომ, როდესაც ხრუშჩოვი სტალინს მშიშარას უწოდებს, ეს ისტორიულად არ მტკიცდება, რადგან:**

1941 წლის სექტემბერში დაპანიკებული ხრუშჩოვი სტალინის კაბინეტში შევარდა: — უნდა დატოვოთ კრემლი, ამხანაგო სტალინ, გერმანელები ნახევარ საათში წითელ მოედანზე იქნებიან.

სტალინმა, ისე, რომ თავი არ აუწევია, ქაღალდებზე მუშაობა განაგრძო, შეშინებული ხრუშჩოვი კარგა ხნის განმავლობაში ფეხზე იდგა გაჭიმული. შემდეგ კი სტალინმა უთხრა:

— ნიკიტუშკა, გადაიხედე ფანჯრიდან, წითელ მოედანზე არიან გერმანელები?

ხრუშჩოვს სტალინის განათლების დონე რომ განესაზღვრა, მაშინ ხალხს მართლა შეეპარებოდა ეჭვი სტალინის სიბრძნეში (ხრუშჩოვი სრულიად გაუნათლებელი იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით). როგორც **გორბაჩოვი** ამბობს, სტალინს საკუთარი თავის განდიდებისთვის რომ ეზრუნა, ის და **ალილუევა** ბიჭვინთაში ისეთ სამთავრობო აგარაკს აიშენებდნენ, როგორიც გორბაჩოვმა და **რაისამ** აიშენეს. სტალინს ისე არ ჩამოეშლებოდა სუპერსახელმწიფო, როგორც გორბაჩოვს ჩამოეშალა (და კიდევ ცოცხალია — გრ. ონიანი).

სოლჟენიცინი გორბაჩოვის „ტყუპისცალია“ და იმიტომაც მისცეს ამ ორ ნაცარქექიას ნობელის პრემია.

**ვინ იყო სტალინი, როგორც მართავდა ის დედამიწის ყველაზე დიდ ტერიტორიაზე გადაჭიმულ უზარმაზარ სახელმწიფოს და როგორ შეიცვალა მართვის სისტემა სტალინის შემდეგ?** მკვლევართა ერთი ნაწილი ამბობას, რომ **1930 წლამდე, სანამ მთლიანად არ გაიწმინდა ქვეყანა ოპოზიციისგან, სტალინი საერთოდ არ ჩანდა ქვეყანაში და არანაირ როლს არ ასრულებდაო, რაც მტკნარი სიცრუეა.**

სტალინი, რომელიც თებერვლის რევოლუციამ გაათავისუფლა გადასახლებიდან, აჩინსკიდან პირდაპირ პეტერბურგში ჩავიდა და იმავე დღეს შეუდგა რევოლუციურ მუშაობას. სხვა საკითხია, რომ მას სმოლნში ყველაზე დაბალი თანამდებობა და ყველაზე პატარა ოთახი მიაკუთვნეს სამუშაოდ, რომლის კარზეც ჭიკარტით მიმაგრებულ ფურცელზე სტალინის ხელით ეწერა: „ეროვნულ საქმეთა კომისარიატი“.

სტალინი იშვიათად იჯდა თავის კაბინეტში და იყო ყველგან, სადაც საქმე მოითხოვდა. სულ მალე ამ ნაპატიმრალმა და სემინარიადაუმთავრებელმა ახალგაზრდა კაცმა, როცა ნახა, რომ **მოლოტოვი** გაზეთ „პრავდის“ რედაქტორობას თავს ვერ ართმევდა, ისე დაიწყო მთავარი რედაქტორობა, არავისთვის უკითხავს. ლენინის წერილებიც არ იბეჭდებოდა გაზეთ „პრავდაში“, თუ მას სტლინი არ ჩაასწორებდა.

1918 წელს ხორბლის მოსაგროვებლად და პურით მოსკოვის მოსამარაგებლად **ლენინმა** სტალინს სთხოვა სამხრეთში წასვლა, როგორც პარტიულ სამოქალაქო პირსა და პოლიტბიუროს ერთ-ერთ წევრს (პოლიტბიურო 5 კაცისგან შედგებოდა). სტალინი 6 ივნისს გაემგზავრა ცარიცინს, გზად მიმავალმა, არა მხოლოდ პურის პრობლემები დაინახა, არამედ დარწმუნდა, რომ რუსეთი სამხრეთის მხარეს კარგავდა სამოქალაქო ომის მიმდინარეობის გამო.

შეშფოთებულმა სტალინმა დეპეშა გაუგზავნა ლენინს, რომ ომის თვალსაზრისით აქ უკიდურესი მდგომარეობაა და, თუ სასწრაფოდ რამეს არ იღონებდნენ, სამხრეთი დაიკარგებოდა. როცა ლენინმა პასუხი არ გასცა, სტალინმა მეორედ უფრო საგანგაშო დეპეშა გაუგზავნა და მოითხოვა რწმუნება, რომ სამხედროები გაეკონტროლებინა. როცა **ტროცკიმ** არც ამ დეპეშაზე გააცემინა ლენინს პასუხი, სტალინმა აცნობა ვლადიმერ ილიჩს, რომ ველარ დაელოდებოდა ტროცკის ნაგლეჯ ქაღალდს და მიდის ბრძოლის ველზე, ის თავებს დააყრევინებს ყველას, ვინც აფუჭებს ოქტომბრის დიადი მონაპოვრის საქმეს და ხელი არ აუკანკალდება რევოლუციური მონაპოვრის დასაცავად. **სტალინმა დამოუკიდებლად მოიპოვა სამხრეთის ფრონტის სარდლობა და გამანადგურებელი** ▶



„Мы должны строить наше хозяйство так, чтобы наша страна не превратилась в придаток мировой капиталистической системы, чтобы она не была включена в общую систему капиталистического развития как ее подсобное предприятие, чтобы наше хозяйство развивалось не как подсобное предприятие мировой капиталистической системы, а как самостоятельная экономическая единица, опирающаяся, главным образом, на внутренний рынок, опирающаяся на смычку нашей индустрии с крестьянским хозяйством нашей страны“ И.В. Сталин

**სტალინმა დამოუკიდებლად მოიპოვა სამხრეთის ფრონტის სარდლობა და გამანადგურებელი დარტყმა აგემა დენიკინს. მტრებთან ბრძოლის პარალელურად ის უწყვეტად ამარაგებდა მოსკოვს ხორბლით და სხვა საჭირო პროდუქტებით. გამარჯვებული სტალინი მკერდზე წითელი ვარსკვლავით დაბრუნდა პეტროგრადში. სტალინის სახელი აკერია პირზე წითელი არმიის ყველა ჯარისკაცსა და პარტიულ აქტივს**



# სამართლიანობისა და სამართლიანი სახელმწიფოს შემოქმედი ხომ სტალინია?! სტალინის შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურა თავის მნიშვნელობას არასოდეს დაკარგავს და იქნება სახელმძღვანელოდ, როგორ უნდა შეიქმნას სამართლიანი სახელმწიფო, რომლის პრაქტიკული მაგალითიც სტალინმა მსოფლიოს დაუტოვა, და ამ თარგზეც მოიჭრება ახალი მსოფლიო.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀დარტყმა აგემა დენიკინს. მტრებთან ბრძოლის პარალელურად ის უწყვეტად ამარაგებდა მოსკოვს ხორბლითა და სხვა საჭირო პროდუქტებით.** გამარჯვებული სტალინი მკერდზე წითელი ვარსკვლავით დაბრუნდა პეტროგრადში. სტალინის სახელი აკერია პირზე წითელი არმიის ყველა ჯარისკაცსა და პარტიულ აქტივს.

ეს არის სტალინის არცნობა და უმოქმედობა, როგორც ამას ამტკიცებს ზოგიერთი ვაიისტორიკოსი?

ტროცკის გამოგზავნილ დეპეშას ლენინმა უპასუხა:

— მოვეთათბირები სტალინს და პასუხს მალე მიიღებთ.

ეს არის სტალინის არცნობა?..

1921 წელს, ლენინის პირველი ავადმყოფობის შემდეგ, სტალინი ურყევად იდგა ქვეყნის სადარაჯოზე, რაც ტროცკისთვის ავის მომასწავებელი იყო. ლენინისა და ტროცკის ფარული შეთანხმებით სტალინი საკანცელარიო სამუშაოზე გადაიყვანეს და ჩამოაშორეს ქვეყნის მართვის საქმეებს. მას ჩააბარეს პარტიის მდივნობა, ეს თანამდებობა ადრე ფრუნზეს მეუღლეს ეკავა შეთავსებით. სტალინი მიხვდა, საიდან უბერავდა ქარი და ლენინის ნებას დაჰყვა. ლენინმა, სტალინის ეჭვები რომ გაექრო საკანცელარიო სამუშაოზე გადაყვანის გამო, თანამდებობას სახელწოდება გაუძლიერა და მას გენერალური მდივანი უწოდა.

სტალინი მშვიდად და ნელა შეუდგა საქმიანობას. ის სკრუპულოზურად ასრულებდა მოვალეობას პარტიული მოხელისა, რომელიც ნელ-ნელა ძლიერდებოდა, ვიდრე ქარიშხლად არ გადაიქცა. პარტიულ კადრებთან მუშაობისას არნახული სიმტკიცე და სიფხიზლე გამოიჩინა სტალინმა. საბჭოთა კავშირის ტერიტორია მოიცვა პატარა პარტიულმა უჯრედებმა თუ დიდმა ორგანიზაციებმა. ყველა ორგანიზაციას სათავეში ედგნენ პარტიის ერთგული ადამიანები, რომლებიც, ამასთანავე, სტალინის ერთგულნიც იყვნენ. საბჭოეთი მოიცვა სტალინურმა კომუნისტურმა პარტიამ, რომელსაც სტალინმა რატომღაც ლენინური უწოდა.

**რაც უფრო სუსტდებოდა ლოგინზე მიჯაჭვული ლენინი, მით უფრო ძლიერდებოდა მისივე სახელობის პარტია, რომელიც ზოგიერთ საკითხში დამოუკიდებლობასაც კი აცხადებდა. პოლიტბიურომ სტალინს ლენინზე მეთვალყურეობა დაავალა და მოსთხოვა, ლენინის ზედამხედველობის დღის რეჟიმი წარმოედგინა პოლიტბიუროზე დასამტკიცებლად. სტალინმა ჩამოაყალიბა, როგორ უნდა დაეცვათ ბელადის სიმშვიდე და რა ღონისძიებები გაეტარებინათ მის გამოსაჯანმრთელებლად. სწორედ ამ დადგენილების საფუძველზე აუკრძალა სტალინმა ლენინის მეუღლე ნადეჟდა კრუპსკაიას ქმართან პარტიულ და სახელმწიფო საკითხებზე საუბარი.** კრუპსკაიამ არად ჩააგდო სტალინის გაფრთხილება და კვლავ განაგრძო ავადმყოფ ლენინთან სხვადასხვა საკითხზე მსჯელობა, რის გამოც გაბრაზებულმა სტალინმა კატეგორიულად აუკრძალა კრუპსკაიას ლენინთან შეხვედრაც კი მისი ნებართვის გარეშე, საუბრისას კი უთხრა:

— ლენინთან წოლა არ ნიშნავს ლენინიზმის ცოდნას.

სხვა საკითხებს კრუპსკაიამ სტალინის მიერ მის მიმართ გამოთქმულ სალანძღავ სიტყვებს სხვა საკითხებიც დაუმატა და სარეცელზე მიჯაჭვულ მომაკვდავ ლენინს მოახსენა.

კრუპსკაიას ნათქვამმა ლენინს ადრინდელი აზრი განუმტკიცა, რომ სტალინის გენერალური მდივნობა კარგს არაფერს უქადდა მას და მის მთავრობას. ლენინმა ძალა მოიკრიბა და შემდეგი შინაარსის წერილი უკარნახა კრუპსკაიას პოლიტბიუროსთვის გადასაცემად:

**„...სტალინი ძალიან უხეშია და ეს ნაკლი, რომელიც გასაძლისია ჩვენს გარემოში — კომუნისტებში, გაუსაძლისი ხდება გენერალურ სამდივნოში. მეგობრებო, გთავაზობთ, კარგად აწონ-დაწონოთ და იფიქროთ იმაზე, როგორ გადავანაცვლოთ სტალინი გენერალური მდივნის პოსტიდან და როგორ დავნიშნოთ მის ადგილზე სხვა ადამიანი, რომელიც... იქნება უფრო მომთმენი, ლოიალური, უფრო კეთილგანწყობილი, ზრდილობიანი და უფრო ყურადღებიანი მეგობრების მიმართ, ნაკლებად ჭირვეული და ა.შ. ეს გარემოება თქვენ შეგიძლიათ უმნიშვნელოდ ჩათვალოთ, მაგრამ მე ვფიქრობ, განხეთქილების თავიდან ასაცილებლად და ტროცკისა და სტალინის ურთიერთობის შესახებ ჩემ მიერ ზემოთქმულის გათვალისწინებით, ეს არ არის უმნიშვნელო საკითხი ან უმნიშვნელოა იმდენად, რომ შესაძლოა, შეიძინოს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ლენინი“**

აღნიშნული წერილი, „ლენინის ანდერძად“ წოდებული, დერეფანში მიმავალ სტალინს ფოტიევამ (ლენინის მდივანმა) გადასცა. სტალინი გაჩერდა, წერილი წაიკითხა და დაბალი ხმით ფოტიევას მიმართა:

— ამას ლენინი არ წერს, ამას მისი მძიმე ავადმყოფობა წერს. და წერილი ისევ ფოტიევას დაუბრუნა. ეს წერილი სრულიად საიდუმლოდ ინახებოდა კრემლის საცავებში, სანამ 1956 წელს ხრუშჩოვმა იგი მეოცე ყრილობაზე ტრიბუნიდან არ წაიკითხა.

**სტალინის რკინის ნებისყოფამ და შრომისმოყვარეობამ ერთ მუშტად შეკრა კომუნისტური პარტია, როგორც კრემლში, ისე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ახლა სტალინი უძლეველ რაინდად იქცა.**

ლენინის გარდაცვალების დღეს სტალინმა, რომელიც როგორც ფრონტზე, ისე ადგილზე არ ემორჩილებოდა არავის და არც ვინმეს ვალი ჰქონია (პირიქით — მისი ვალი ჰქონდა ყველას, მით უმეტეს — პარტიას), ლენინის ცხედრის წინაშე თავი ლენინის მოწაფედ გამოაცხადა და ფიცი დადო, რომ არ უღალატებდა ლენინის დაწყებულ უკვდავ საქმეს და ბოლომდე მიიყვანდა მას.



**სტალინი მშვიდად და ნელა შეუდგა საქმიანობას. ის სკრუპულოზურად ასრულებდა მოვალეობას პარტიული მოხელისა, რომელიც ნელ-ნელა ძლიერდებოდა, სანამ ქარიშხლად არ გადაიქცა. პარტიულ კადრებთან მუშაობისას არნახული სიმტკიცე და სიფხიზლე გამოიჩინა სტალინმა. საბჭოთა კავშირის ტერიტორია მოიცვეს პატარა პარტიულმა უჯრედებმა თუ დიდმა ორგანიზაციებმა. ყველა ორგანიზაციას სათავეში ედგნენ პარტიის ერთგული ადამიანები, რომლებიც, ამასთანავე, სტალინის ერთგულიც იყვნენ. საბჭოეთი მოიცვა სტალინურმა კომუნისტურმა პარტიამ, რომელსაც სტალინმა რატომღაც ლენინური უწოდა**



ბოლშევიკთა ძველ კოჰორტას სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა ამბავი, რომ სტალინი ვინმეს მოწაფე იყო, მაგრამ თავიანთი მეთაურის მხარდასაჭერად ესეც მისაღებ ლოზუნგად აღიქვეს და აიტაცეს. მას შემდეგ ტრიბუნაზე გამომსვლელები ხმამაღლა გაიძახოდნენ, რომ სტალინი იყო ლენინის საქმის გამგრძელებელი და მისი ღირსეული მოწაფე.

1925 წლის სექტემბერში სტალინმა თავს უფლება მისცა, პირველად დაესვენა შავი ზღვისპირა აგარაკზე. მის პირად არქივში დაცულია ამ დასვენების პერიოდში პასუხგაცემული საკითხები და მომზადებული დადგენილებების პროექტები, რომლებიც პარტიისა და სახელმწიფოს აღმშენებლობას შეეხებოდა. 1925 წელს შვებულებაში ყოფნისას ქვეყნის მართვის დისტანციური მეთოდი თითქოს იმაზე მიანიშნებდა, რომ სტალინი ერთხელ უკვე მართავდა ასეთ დიდ სახელმწიფოს, რაც ტრიუმფით დამთავრდა და ახლა მეორედ იწყებდა ასეთივე ქვეყნის მშენებლობას. უკვე 1925 წელს სტალინს გამოკვეთილად მიესადაგებოდა სახელწოდება **„ადამიანი-სახელმწიფო“.**

1928 წელს **ბუხარინი** თავის ძველ მეგობარ კობაზე ამბობდა:

„ის გაგიჟდა, ფიქრობს, რომ ყველაფერი შეუძლია გააკეთოს, გაუძლოს ყველაფერს, სხვები კი მხოლოდ ხელს უშლიან მას“.

**სტალინმა ყველაფერს გაუძლო, ყველაფრის ცოდნა გამოამჟღავნა — დაწყებული ავიაციითა და ეკონომიკის საკითხებით, დამთავრებული დატოტვილი ხორბლის ჯიშებითა და ენათმეცნიერებით.** სტალინმა აღასრულა უფლის ნება, რომელიც ასე აქვს აღწერილი მე-19 საუკუნის დასაწყისში სახელგანთქმულ ფრანგ მეცნიერსა და მეისტორიეს ერნესტ რენანს თავის წიგნში „ქრისტეს ცხოვრება და მოღვაწეობა“:

**„მთელი საუკუნე ელოდნენ პირველი ქრისტიანები დედამიწის გარდაქმნას, მაგრამ, როცა იმედი დაეკარგათ, ათასგვარად დაუწყეს განმარტება „სასუფეველს“, რომლის მოსვლაც ასე იგვიანებდა... კაცობრიობამ სასუფევლის შესახებ აზრი გამოიცვალა. იესოს მოძღვრებაში დამარხულმა ნაწილმა ჭეშმარიტებისამ გაიმარჯვა იმ მოჩვენებაზე, იმ ზმანებაზე, რომელიც ამავე მოძღვრებას აბნელებდა, მაგრამ სასტიკად ნუ გავკიცხავთ ამ მოჩვენებასაც. ამ სქელ და მოუხეშავ ზეწარს იმ საღვთო მადლისას, რომელსაც დღეს ჩვენ გულში ვატარებთ. მოლოდინი საარაკო სასუფევლისა მთელი საუკუნეების განმავლობაში, დაუსრულებელი ძიება ქალაქისა ღვთისა საქრისტიანო ერისაგან, მხოლოდ დიადი ალღოა, დაუსრულებელი სულთა სწრაფვაა კაცობრიობისა სამართლიანი საზოგადოებრივი წეს-წყობილების დაარსებისაკენ მიმართული. ამისთვის იღვწოდა ყველა რეფორმატორი, ამასვე ფიქრობს თითოეული უკმაყოფილო თანამედროვე ცხოვრებისა“.**

სტალინიზმის იდეალების წინააღმდეგ ბრძოლის წამოწყება უკვე „შორეული ამბავია“. ებრძოდნენ ათასნაირი ლოზუნგით: რომ „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“, რომ „სტალინიზმი ზღაპარია და ადამიანი ამისთვის ჯერ არ არის მზად“, რომ შეუძლებელია „ადამიანთა თანასწორობა“, რომ „სოციალური სამართლიანობა უტოპიაა და სხვა არაფერი“, რომ „მხოლოდ ურთიერთმტრობასა და დაპირისპირებაში მიიღწევა კარგი ცხოვრებაა“, რომ „ღმერთმა ისურვა ადამიანების გაჩენა სრულყოფილებად და მახინჯებად, მდიდრებად და ღატაკებად, თეთრებად და შავებად“ და ა.შ. მე კი ვიტყვი, რომ ადამიანების დაყოფა მდიდრებად და ღარიბებად ღმერთის ბრალი ნამდვილად არ არის. ეს ანტიპატრიოტული, გნებავთ, ხალხთმოძულე სახელმწიფოების ბოროტი შემოქმედებაა.

როგორც **კარლ კაუცკი** ამბობდა, **„კაცობრიობის საბოლოო მიზანი სოციალიზმია“.**

ამ სამართლიანობისა და სამართლიანი სახელმწიფოს შემოქმედი ხომ სტალინია?! სტალინის შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურა თავის მნიშვნელობას არასოდეს დაკარგავს და იქნება სახელმძღვანელოდ, როგორ უნდა შეიქმნას სამართლიანი სახელმწიფო, რომლის პრაქტიკული მაგალითიც სტალინმა მსოფლიოს დაუტოვა, და ამ თარგზე მოიჭრება ახალი მსოფლიო.

ეს წერილი ჩათვალეთ შესავალ ნაწილად იმ ამბებისა, როგორ გაგრძელდა სახელმწიფოს მართვა, რა წყალქვეშა დინებები იყო სტალინის შემდგომ სამთავრობო ელიტაში და როგორ მოვედით დღემდე.

**(გაგრძელება იქნება)**

უსამართლოდ დავიწყებული

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბერიამ საბჭოთა ატომური იარაღის შექმნაში გერმანელი სპეციალისტებიც ჩართო. მათ შორის, ნობელის პრემიის ლაურეატი გუსტავ ჰერცი, კონსტრუქტორი მანფრედ ფონ არდენე, ურანის მეტალურგიის სპეციალისტი ნიკოლაი რილი (რომელსაც სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა) და ბევრი სხვა.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №11-12, 2019 წ.



# იუბილე, რომელიც აღნიშვნის ღირსია

**უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირში არასაკმარისი ოდენობით მოიპოვებდნენ ურანის მადანს. ერთი ატომური ბომბის შესაქმნელად კი ტონობით ნედლეული იყო საჭირო. ერთი ტონა ურანის დამზადებას არანაკლებ 500 ტონა მადნის გადამუშავება სჭირდება. 1945 წლის აგვისტოსთვის საბჭოთა კავშირში გეოლოგიური დაზვერვით მოძიებული მარაგი სულ 300 ტონამდე იყო.**

ბერია გეოლოგიის საკითხებით დაინტერესდა. პროფესორი მიხეილ ალტჰაუზენი, რომელიც საკავშირო მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის მეექვსე სექტორს ხელმძღვანელობდა, იხსენებდა: „ბერია ტაქტიანი და ყურადღებიანი იყო. თათბირი ღამის 12 საათზე დაიწყო და დილის 6 საათისთვის დამთავრდა. ჩვენი მოთხოვნები სრულად დაგვიკმაყოფილეს, სამუშაო ძალას მოთხოვნისთანავე გვიგზავნიდნენ, პროდუქტებსა და აღჭურვილობას რიგგარეშე გვაწვდიდნენ. სამივლინებო თანხას, სხვა გეოლოგებთან შედარებით ოთხჯერ უფრო მეტს გვიხდიდნენ“.

**ბერიას მითითებით, ყველა მეცნიერი, ვინც კი მუშაობდა საბჭოთა ატომური პროექტის განხორციელებაზე, უზრუნველყოფილი იყო კომფორტული ბინით, აგარაკით, სპეცმაღაზიის და სამედიცინო მომსახურებით.**

ერთი მხრივ, ყველანი კომფორტულ პირობებში ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ, მაგრამ, ამასთანავე, უკლებლივ ყველა, და არა მხოლოდ პროექტის ძირითადი მონაწილენი, დაცული იყვნენ სადამსჯელო ორგანოების ზემოქმედებისგან და... მათი ყურადღების ცენტრში იმყოფებოდნენ.

1949 წლისთვის ურანის გეოლოგიურ დაზვერვასა და მოპოვებაში დასაქმებული იყო 600 ათასზე მეტი ადამიანი. ქვეყანაში გაიხსნა ათობით ახალი ინსტიტუტი, ლაბორატორია, საკონსტრუქტორო ბიურო, შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები. ატომური ობიექტები უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო გაფანტული: მოსკოვი, ლენინგრადი, სოხუმი, კუნძული ახალი მიწა, სემიპალატინსკი, ქალაქები ურალის ცენტრსა და სამხრეთში. კვლევითი ცენტრი განლაგდა სოფელ სეროვში, მომავალ „არზამას-16“-ში, რომელმაც დახურული რეჟიმის ქალაქის სტატუსი მიიღო. აქ ბირთვული ბომბის პროექტზე მუშაობდნენ ქვეყნის წამყვანი ფიზიკოსები.

ბერიამ საბჭოთა ატომური იარაღის შექმნაში გერმანელი სპეციალისტებიც ჩართო. მათ შორის, ნობელის პრემიის ლაურეატი **გუსტავ ჰერცი**, კონსტრუქტორი **მანფრედ ფონ არდენე**, ურანის მეტალურგიის სპეციალისტი **ნიკოლაი რილი** (რომელსაც სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა) და ბევრი სხვა.

შეიქმნა კომისია, რომელიც საბჭოთა კავშირში ეძებდა ნიჭიერ სტუდენტებსა და სპეციალისტებს. სწორედ მაშინ შენიშნეს ახალგაზრდა **ანდრეი სახაროვი,** მომავალი აკადემიკოსი და ნობელის პრემიის ლაურეატი, მსოფლიოში პირველი ზემძლავრი თერმობირთვული, ანუ წყალბადის ბომბის ერთ-ერთი შემქმნელი.

სახაროვი ასე იხსენებდა 1950 წელს ბერიასთან პირველ შეხვედრას: „იგი წამოდგა და მიგვანიშნა, რომ საუბარი დამთავრებული იყო, მაგრამ უცებ თქვა: ეგებ გაქვთ შეკითხვები? სპონტანურად, მოუფიქრებლად შევეკითხე: ასე ნელა რატომ ინერგება ჩვენ მიერ დამუშავებული საკითხები? რატომ ჩამოვრჩებით აშშ-სა და სხვა ქვეყნებს ტექნიკურ შეჯიბრებაში?

ბერიამ პრაგმატულად მიპასუხა: იმიტომ, რომ არ გვაქვს საწარმოო-საცდელი ბაზა, ამერიკელებს კი აქვთ ასობით ფირმა მძლავრი ბაზებით“.

ბერიას კარგად ესმოდა, რომ სასურველი შედეგის მიღწევა ერთადერთი გზით იყო შესაძლებელი — სამეცნიერო, სამრეწველო და საფინანსო რესურსების ერთი პრობლემის გარშემო კონცენტრირების გზით. ესმოდა ისიც, რომ ატომური პროექტის რეალიზაციისას შეუძლებელია ჩვეული დაგეგმვის განხორციელება, რადგან წარმოუდგენელია წინასწარ ვიცოდეთ, როგორი იდეები დაებადებათ მეცნიერებს და რა ცნობებს გამოგზავნის დაზვერვა უცხოეთიდან. **ბერიამ სამუშაოთა ხელმძღვანელებს უფლება დართო, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა და პროექტების გარეშე შეესრულებინათ, განაღდება კი განეხორციელებინათ პრაქტიკული დანახარჯების მიხედვით (რაც სოციალისტური ეკონომიკის უარყოფას და კაპიტალისტური ეკონომიკის პრინციპის განხორციელებას ნიშნავდა), ასევე, გასცა განკარგულება, თანამშრომლების პრემიებისთვის გაეთვალისწინებინათ დანახარჯების 1,5-2 პროცენტი.**

ატომური პროექტის მრავალტომიანი დოკუმენტაცია ბერიას გამოწვლილვით ჰქონდა დამუშავებული. თანამშრომლებმა იცოდნენ, რომ ბერიას ვერ გამოაპარებდნენ დაშვებულ შეცდომებსა და შეუსრულებელ საქმეს.

**დაზვერვის გენერალ სუდოპლატოვის მოგონებებიდან: „თავდაპირველად ადამიანებს მისი ეშინოდათ, მაგრამ მასთან რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ შიშის განცდა ქრებოდა და ჩნდებოდა რწმენა, რომ ბერია მათ მხარს დაუჭერდა, თუ ისინი წარმატებით შეასრულებენ უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანებს“.**

1949 წლის 29 აგვისტოს, დილის 7 საათზე ატომური ბომბის გამოცდა წარმატებით დაგვირგვინდა.

ამ დროს დაზვერვა გზავნის ცნობას, რომ ამერიკელები ბაქტერიოლოგიური იარაღის შექმნაზე მუშაობენ. ბერიას პატრონაჟით შეიქმნა ბიოლოგიური შეტევისგან თავდაცვის საშუალებების შემუშავების კვლევითი ჯგუფი. ამ ჯგუფში შედიოდა მომავალში საბჭოთა კავშირის მთავარი სანიტარული ექიმი **პეტრე ბურგასოვი.** იგი იხსენებდა: „როცა მასთან (ბერიასთან) კაბინეტში შევდიოდით, დიდ ბლოკნოტს ამოიღებდა, არ უყვარდა შესავლის წარმოთქმა და განყენებული საუბარი. საქმეებზე რომ მოვახსენებდით, იგი რაღაცის ხატვას იწყებდა ხოლმე თავის ბლოკნოტში. თავდაპირველად არ მესმოდა, რას აკეთებდა, მაგრამ შემდეგ მივხვდი — ადამიანს ყურადღების მოკრების ასეთი ჩვეულება ჰქონდა“.

**მეორე მნიშვნელოვანი სახელმწიფო ამოცანა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისა და სარაკეტო იარაღის შექმნა იყო. საბჭოთა სარაკეტო მშენებლობა ბერიას უშუალო კონტროლით ხორციელდებოდა.** ასე ეყრებოდა საფუძველი კოსმოსის ათვისების საქმეს.

**სერგეი კოროლიოვი** ჯერ კიდევ 1946 წელს დაინიშნა განსაკუთრებული საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელად. ამ ბიუროს ბალისტიკური და გეოფიზიკური რაკეტების შექმნა ევალებოდა. პირველი რაკეტის გაშვება, რომლის ბორტზეც ძაღლები იყვნენ, 1951 წლის 22 ივლისს განხორციელდა, 8 წლით ადრე ლეგენდარული ბელკასა და სტრელკას გაფრენამდე.

1953 წლის თებერვალში ბერიამ ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს ორ დადგენილებას შორი მოქმედების რაკეტების შექმნის საცდელ-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სამწლიანი გეგმების შესახებ.

საფუძველი ეყრებოდა კონტინენტთაშორისი და კოსმოსური მძლავრი რაკეტების შექმნას. მალე გაჩნდება კოროლიოვის დამუშავებული П-7 რაკეტები: **სემიონ ლავოჩკინის** „ბურია“ და **ვლადიმერ მიასიშჩევის** „ბურანი“.

## მოსკოვის ახალმშენებლობის კურატორი

ლავრენტი ბერიას ბიოგრაფები წერენ, რომ ყოვლისშემძლე მინისტრს არ დავიწყებია ჭაბუკობისდროინდელი გატაცება არქიტექტურით. მოსკოვის საყოველთაოდ ცნობილი მაღლივი შენობები ბერიას სახელთან არის დაკავშირებული — სწორედ მას ჰქონდა დაკისრებული საბჭოთა დედაქალაქის გარდაქმნის გეგმის განხორციელება. იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ საბჭოთა მოქალაქეები უზრუნველეყოთ მაღალჭერიანი, ფართო ბინებით. ამ სახლებს დღესაც „სტალინკებად“ მოიხსენიებენ.

**კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ გაშლილ კამპანიასთან კი ლავრენტი ბერიას არავითარი კავშირი არ ჰქონია. ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ეს პოლიტიკური კამპანია საბჭოთა ინტელიგენციის წინააღმდეგ იყო მიმართული და გამოკვეთილად ანტისემიტურ ხასიათს ატარებდა.** სტალინის გარდაცვალების შემდეგ სწორედ ბერიამ წამოაყენა წინადადება, შეეწყვიტათ ე.წ. ექიმების საქმე და მოეხდინათ ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის საქმეზე მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია.



მოკავშირეები — ჩერჩილი, ტრუმენი, სტალინი პოტსდამის კონფერენციაზე. 1945 წელი

„ექიმების საქმე“ აღიძრა გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, როგორც სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში სიონისტური შეთქმულების შემადგენელი ნაწილი, და მიმართული იყო კრემლის სამკურნალო-სანიტარული სამსახურის ექიმების ჯგუფის წინააღმდეგ, რომლებსაც ბრალად წაუყენეს საბჭოთა ლიდერების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზება მათი მოკვდინების მიზნით. სისხლის სამართლის ეს საქმე ექიმ-კარდიოლოგ **ლიდია ტიმაშუკის** განცხადების საფუძველზე აღიძრა, რომლითაც მან შესაბამის ორგანოებს 1948 წელს მიმართა. იგი წერდა, რომ პოლიტბიუროს წევრ **ანდრეი ჟდანოვს** არასწორად უმკურნალეს, რამაც პაციენტის გარდაცვალება გამოიწვია...

საქმეს იძიებდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, რომელსაც ომისშემდგომ წლებში ხელმძღვანელობდა **ვიქტორ აბაკუმოვი**. 1951 წელს იგი დააპატიმრეს, ხოლო მის ადგილზე **სიმონ იგნატიევი** დანიშნეს. ბერიას ორივესთან, რბილად რომ ვთქვათ, დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. მას განსაკუთრებით აღიზიანებდა ის, რომ იგნატიევმა დაზვერვა უსუსურ მდგომარეობამდე მიიყვანა. არაპროფესიონალების მოძალებამ მრავალი ჩავარდნა — აგენტურის გაშიფვრა და ჩეკისტების მტრის მხარეზე გადასვლა გამოიწვია.

სტალინის მიერ დაწინაურებული მინისტრის წინააღმდეგ გამოსვლა ბერიას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო. იგი ხვდებოდა, რომ იგნატიევს ნებისმიერ მომენტში შეეძლო მისი დაპატიმრების სანქციის გაცემა. ბერიას ეჭვის სერიოზული საფუძველი ჰქონდა.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

*ქართული საგაზეთო ვარიანტი უცხოეთის ტელეფილმების, წიგნებისა და პუბლიკაციების მიხედვით მოამზადა*

**არმაზ სანებლიძე**

**რჩება შთაბეჭდილება, რომ სამკუთხედში — მოსკოვი-ბაქო-ერევანი — ჩნდება მშვიდობის დამყარების „საგზაო რუკა“, რომელიც საუკეთესოდ გასცემს პასუხს კონფლიქტის ორივე მხარის ინტერესებს რეგიონში, ისე, რომ, როგორც პუტინმა განაცხადა, „არ იყოს არც გამარჯვებული და არც დამარცხებული“.**

მეზობელ ქვეყნებში

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ტელეფონით ესაუბრა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს. როგორც კრემლის პრესსამსახური იუწყება, „მხარეებმა ისაუბრეს მთიანი ყარაბაღის საკითხზე მოლაპარაკებების გააქტიურების მნიშვნელობაზე“. მოსკოვმა „გამოთქვა ხელშეწყობისთვის მზადყოფნა საკითხის მოგვარებაში“, ალიევმა „გააცნო მთიანი ყარაბაღის საკითხზე სომხეთის რესპუბლიკის პრემიერმინისტრ ნიკოლ ფაშინიანთან 29 მარტს ვენაში გამართული შეხვედრის შეფასებები“.**

# მეზობლების მაგალითი — ორიენტირი საქართველოსთვის

## პუტინს ბაქო და ერევანი ყარაბაღის კონფლიქტის ორივე მხარისთვის მისაღები გზით მოგვარებისკენ მიჰყავს



ადრე ანალოგიური სატელეფონო საუბარი გაიმართა **პუტინსა** და **ფაშინიანს** შორის. საუბრების დეტალები არ გასაჯაროებულა, მაგრამ ალიევისა და ფაშინიანის ვენაში შეხვედრის შემდეგ სატელეფონო საუბრების გააქტიურება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივაზე სამკუთხედის ფარგლებში — მოსკოვი-ბაქო-ერევანი — შემთხვევით მოვლენად არ აღიქმება. ის თვალში საცემია იმიტომაც, რომ, ეუთოს მინსკის ჯგუფის სხვა თანათავმჯდომარეებისგან (აშშ და საფრანგეთი) განსხვავებით, მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტი ცდილობს, აქტიურად, ხელი შეუწყოს კონფლიქტის მოგვარებას მშვიდობიანი გზების ძიებით. ეს აჩენს აზრს, რომ კონფლიქტის რეგულირების პროცესი ახალ ფაზაში შედის მოსკოვის აქტიური მონაწილეობით, თუმცა მისი კონტურები ჯერ გამოკვეთილად არ ჩანს. ჯერჯერობით აშკარაა შემდეგი:

პუტინის უშუალო მონაწილეობით შეჩერდა ესკალაცია მთიან ყარაბაღში 2016 წლის აპრილის დასაწყისში. დუშანბეში პუტინი გამოვიდა შუამავლის როლში ფრონტის ხაზზე დაძაბულობის შემცირების შესახებ სიტყვიერი მოლაპარაკებებისას **ალიევსა** და ფაშინიანს შორის.

დღეს, როგორც ჩანს, **ბაქო და ერევანი მივიდნენ დასკვნამდე, რომ შუამავლის რანგში სწორედ რუსეთს აქვს საკმარისი პოლიტიკური ნება და შესაძლებლობები, შეცვალოს სტატუს კვო და განახორციელოს სამშვიდობო ინიციატივები.**

რჩება შთაბეჭდილება, რომ სამკუთხედში — მოსკოვი-ბაქო-ერევანი — ჩნდება მშვიდობის დამყარების „საგზაო რუკა“, რომელიც საუკეთესოდ გასცემს პასუხს კონფლიქტის ორივე მხარის ინტერესებს რეგიონში. ისე, რომ, როგორც პუტინმა განაცხადა, „არ იყოს არც გამარჯვებული და არც დამარცხებული“.

ვებგვერდ Regnum.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**როგორც ჩანს, ბაქო და ერევანი მივიდნენ დასკვნამდე, რომ შუამავლის რანგში სწორედ რუსეთს აქვს საკმარისი პოლიტიკური ნება და შესაძლებლობები, შეცვალოს სტატუს კვო და განახორციელოს სამშვიდობო ინიციატივები**





გულბაათ რცხილაძე:

# როგორც ერის წინაშე პასუხისმგებლობის მქონე ლიდერს შეჰფერის, ნაზარბაევი არ გადის პენსიაზე და არ აპირებს ცხოვრებით ტკბობას

## როგორი იქნება ყაზახეთის განვითარების გარდამავალი ეტაპი

**მსოფლიო მასმედიაში გრძელდება ყაზახეთში მომხდარი სახელისუფლო ცვლილებების განხილვა. შუა აზიის ეს უდიდესი და უმდიდრესი სახელმწიფო საქართველოს მნიშვნელოვანი პარტნიორია ევრაზიულ სივრცეში, ამიტომ პრეზიდენტის პოსტიდან ნურსულთან ნაზარბაევის გადადგომით გამოწვეული მოვლენების განვითარება ჩვენი საზოგადოებისთვისაც საკმაოდ აქტუალურია. ყაზახეთის რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებაზე კომენტარი პოლიტოლოგ გულბაათ რცხილაძეს ვთხოვეთ:**



— ყაზახეთის პრეზიდენტის გადადგომა არ არის რაიმე კრიზისის ან მძაფრად წარმოშობილი აუცილებლობის შედეგი; ნაზარბაევს შეეძლო, საკმაოდ კომფორტულად ემუშავა საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით რა რთულ რეგიონში მდებარეობს ყაზახეთის რესპუბლიკა. შუა აზია იზიდავს ზესახელმწიფოებს — რუსეთს, ჩინეთსა და აშშ-ს. ყოველი მათგანი ეძებს სარგებელს და ეს ბუნებრივია; არც რაიმე უკანონობაა ამ სიტუაციაში, რადგან მსოფლიოს პოლიტიკური ისტორია ემყარება პრინციპს, რომ ნებისმიერი სახელმწიფო და, მით უმეტეს, ზესახელმწიფო, ცდილობს თავისი სარგებლის მაქსიმალიზაციას. ამჟამად არსებობს საერთაშორისო სამართალი, რომლის არარსებობის პირობებში წარმოიქმნებოდა ომები და კონფლიქტები, მაგრამ დღესაც კი, როდესაც ფუნქციონირებენ ეროვნული სახელმწიფოების მიერ მხარდაჭერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და სხვა ძლიერი და ავტორიტეტული ორგანიზაციები, არ არსებობს ჰარმონიისა და პარტნიორობის გარანტია, ნაცვლად დაპირისპირებისა და უნდობლობისა. გეოპოლიტიკა თავისი სვლით მიდის და იურისპრუდენციის სფეროს არ აღიარებს, ამიტომაც ყაზახეთი ყოველმხრივ ისწრაფვის შუა აზიაში მშვიდობისა და სიმშვიდის განსამტკიცებლად, ისევე, როგორც მსოფლიოში, სახელმწიფოთა შორის დიალოგისა და ნდობის ჩამოყალიბების გზით.

**— ნურსულთან ნაზარბაევის გადადგომა ხომ არ დაასუსტებს ყაზახეთის პოზიციებს საერთაშორისო ასპარეზზე?**

— **ნაზარბაევმა** ოსტატურად შეასრულა ეს ამოცანა ისტორიის ძალზე რთულ და საპასუხისმგებლო ეტაპზე. ახლა იგი სამართლიანად თავდაჯერებულია იმაში, რომ, როგორც ყაზახეთის მოწყობა, ეკონომიკასთან ერთად, ისე ყაზახეთის საერთაშორისო პოზიციები, საკმარისად ძლიერია საიმისოდ, რომ ტრანსფორმაციას გაუძლოს. გამომდინარე აქედან, ნაზარბაევის გადადგომა უნდა განვიხილოთ, როგორც დემოკრატიული პროცესის თანდათანობითი გაღრმავება სახელმწიფო ინსტიტუტების რყევის გარეშე. არც ქვეყნის შიგნით და არც მის გარეთ არავის უნდა გაუჩნდეს აზრი, რომ ნაზარბაევის გადადგომა ყაზახეთს დაასუსტებს, ამიტომ თავად ნაზარბაევმა მოუწყო არსებულ სისტემას სტრესი და მოულოდნელად გამოაცხადა საკუთარი გადადგომა. **ნაზარბაევი დარწმუნებულია, რომ სისტემა გაუძლებს ამ სტრესს. ეს მით უფრო, რომ არსებობს გარდამავალი პერიოდი, სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ღირსეული კანდიდატების გამოსავლენად, საზოგადოებას შეუძლია, მშვიდად და თავისუფლად განიხილოს ეს თემა. ღირსეული კანდიდატები იქნებიან, რადგან ნაზარბაევმა, როგორც განათლებულმა ლიდერმა, უზარმაზარი სახსრები მოახმარა განათლების სფეროს, მათ შორის, ახალი თაობის თანამედროვე პოლიტიკური კლასის შექმნას.**

როგორც ერის წინაშე პასუხისმგებლობის მქონე ლიდერს (ყაზახურად: „ელბასი“) შეჰფერის, ნაზარბაევი არ გადის პენსიაზე და არ აპირებს ცხოვრებით ტკბობას, ის რჩება უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისა და პარტია „ნურ ოტან“-ის თავმჯდომარის თანამდებობებზე. ეს იქნება მისი მხრიდან გარდამავალ პერიოდში დემოკრატიული კონტროლის მექანიზმი. გარდამავალი პერიოდი, საბოლოო ჯამში, შესაძლოა, წელიწადს ან, სულაც, ორ წელიწადს გაგრძელდეს. ყაზახეთი ევროპული ტიპის აღმოსავლური ქვეყანაა, რომლის გეოგრაფიული მდებარეობა ვერ ითმენს პროცესების მეტისმეტად დაჩქარებას, ყველაფერი რბილად და თანდათანობით უნდა ხდებოდეს. ხომ არსებობს ჩინური ანდაზა: „რაც უფრო ნაკლები ხმაურით ივლი, მით შორს წახვალ“. სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა თავისი პოლიტიკური მოღვაწეობისას ნაზარბაევი და იგი მართლაც ყველაზე წინ აღმოჩნდა. პოლიტიკის ვეტერანმა კიდევ ერთხელ გააკვირვა მსოფლიო თავისი არასტანდარტული და ბრძნული გადაწყვეტილებით.

ესაუბრა

**ეკა ნაცყიდაშვილი**

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## რას გვთავაზობენ თანამედროვე ლიბერალები და როგორია მათი შემოთავაზებების მიმართ საზოგადოების პროგრესული ნაწილის დამოკიდებულება?




**ილიას თვალსაზრისი კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის მახასიათებლების, არსის, ფუნქციების, მათი ურთიერთდაპირისპირების შესახებ უაღრესად თანამედროვეა და „შინაური მიმოხილვის“ დაწერიდან (1881 წლის მაისი) დღემდე აქტუალობა არ დაუკარგავს. ილია ჭავჭავაძე ამ პატარა წერილში საუბრობს პოლიტიკისადმი მიდგომებს შორის ფუნდამენტურ მსგავსება-განსხვავებაზე, იმდროინდელი ევროპისთვის ახალ და აქტუალურ საკითხზე, რომელზეც მაშინ საზოგადოება მწირად ინფორმირებული გახლდათ.**

**ილიას აზრით, ჭეშმარიტი კონსერვატორობა და ჭეშმარიტი ლიბერალობა თანაარსებობს და ერთმანეთს უპრობლემოდ ავსებს, მაგრამ რას გვთავაზობენ თანამედროვე ლიბერალები და როგორია მათი შემოთავაზებების მიმართ საზოგადოების პროგრესული ნაწილის დამოკიდებულება?**

**აი ეს არის დღეს საკითხავი. დღეს ეს არის საკითხი, რომელიც თავდაყირა აყენებს ლიბერალიზმის იმგვარ გაგებას, რომელზეც ილია საუბრობს თავის „შინაური მიმოხილვაში“.**

# საქართველო ის ქვეყანა არ არის, ხალხისთვის მიუღებელი კანონის დარღვევის ვინმეს რომ შეეშინდება!




**«ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლება და იცავს მარტო იმისთანა ძველს, რომელიც, მისი გულწრფელის აზრით, ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებისათვის... ჭეშმარიტი ლიბერალობაც უარყოფს იმისთანა ძველს, რომელსაც თავისი დრო და ჟამი მოუჭამია, რომელიც დღეს ხარიხად გასდებია ცხოვრებას და წინსვლას უშლის»**

ილია სიახლეს მიესალმება, მაგრამ ახლის საჭიროება რომ გაჩნდეს, ამიტომ „ცხოვრება უნდა წინ მიდიოდეს“. ახალაღმოცენებულ აზრსა და იდეას, დიდი ალბათობით, ძველი წყობა გამოუჩნდება ხოლმე ოპონენტად „და ასე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ სვლას დასასრული არ აქვს. თვით კაცობრიობის ისტორიაც სხვა არა არის-რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლებისა“.

კონსერვატიზმის იდეურ საფუძვლად ილიას მიაჩნდა „ის წყობა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია „დაუდგენია და დღეს მოქმედებს“; ლიბერალიზმისა კი — ის, „რასაც დღევანდელი დღე თხოულობს“.

რა თქმა უნდა, სიახლის დანერგვა უმტკივნეულო პროცესი არ არის; არც ძველის, მიჩვეულის, თუნდაც დრომოჭმულის იოლად დათმობაა ადვილი. როგორც დიდი ილია ბრძანებს, „ერთნი ძველის მცველები არიან და მეორენი ახლის მდომელნი, მაგრამ პირველებს ყველაფერი ძველი არ მოსწონთ და მეორეებს ყველა ახალი არ ენატრებათ. ბევრი იმისთანა ახალია, რომლის მოსაპოვებლად ჭეშმარიტი კონსერვატორი სიცოცხლესაც არ დაზოგავს, და ბევრი იმისთანა ძველია, რომლის დღეგრძელობისათვის ჭეშმარიტი ლიბერალი თავის საკუთარ დღეს შეიმოკლებს“.

ილია ზედმიწევნით ზუსტად ახასიათებს კონსერვატიულ იდეოლოგიას: **„ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლება და იცავს მარტო იმისთანა ძველს, რომელიც, მისი გულწრფელის აზრით, ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებისათვის“.** ილია იმასაც არ გამორიცხავს, რომ კონსერვატიული იდეების ერთგული შეიძლება იმისთანა „ძველის“ დამცველიც აღმოჩნდეს, რომელიც დღეს გამოუსადეგარია, მაგრამ ის „გულწრფელად“ უნდა დარწმუნდეს, რომ ასეთი „ძველის“ ნაცვლად ქვეყანას სიკეთეს მოუტანს „ახალი“. რაც შეეხება ჭეშმარიტი ლიბერალური იდეოლოგიის არსებით ნიშანს, „ჭეშმარიტი ლიბერალობაც უარყოფს იმისთანა ძველს „რომელსაც თავისი დრო და ჟამი მოუჭამია, რომელიც დღეს ხარიხად გასდებია ცხოვრებას და წინსვლას უშლის“, **ლიბერალიზმი მხოლოდ იმისთანა „ძველს“ ებრძვის, რომელიც ხელს უშლის შემდგომ პროგრესს და ეძებს იმისთანა ახალს, „რომელიც ძალზედ უკეთ ხელს მოუმართავს ცხოვრების განკარგებასა და წარმატებას“.**

აღსანიშნავია, რომ კონსერვატიზმთანაც და ლიბერალიზმთანაც ილია აუცილებლად უმატებს „ჭეშმარიტს“, რადგან უკვე ამ პერიოდშიც ის მრავალი სახეცვლილებით არსებობდა. დღეს კი მით უმეტეს — საკუთარ თავს ლიბერალს უწოდებენ ფსევდოლიბერალები, რომლებიც, უარყოფენ რა ერისთვის ტრადიციულ ფასეულობებს, ისეთი სიახლეების დამკვიდრებისა და დაკანონების მოთხოვნით გამოდიან, რომლებიც ანგრევს, სასიკვდილოდ სწირავს ეროვნულ მენტალიტეტს, გადაგვარებას უქადის ჩვენს მომავალ თაობებს.

დღეს საქართველოში ლიბერალებად მიიჩნევენ თავს გარყვნილების მქადაგებელი ერთი მუჭა ადამიანებიც, ნარკოტიკების ლეგალიზების მომხრეებიც, მართლმადიდებლობის მგმობელნიც და ტრადიციული ოჯახის უარმყოფელნიც...

**წლეულს, 18-23 ივნისისთვის ლგბტ ჯგუფმა დააანონსა საზეიმო ღონისძიებების მთელი წყება, რომლებიც ბოლოს დედაქალაქის რომელიმე ცენტრალურ უბანში გრანდიოზულმა მსვლელობამ, ანუ ღირსების მარშად წოდებულმა გეიაღლუმმა უნდა დააგვირგვინოს. მას უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მათ აქტივისტებთან ერთად აქტიურ მონიტორინგს ამერიკის საელჩოც გაუწევს. როგორც დიპლომატიური უწყების საზოგადოებრივი ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსმა ჯეფ რენომ განაცხადა, ისინი დაგეგმილი კვირეულის ფარგლებში პროცესების დინამიკას ყურადღებით დააკვირდებიან. ამ ადამიანთა უფლებების დაცულობა ქვეყნის განვითარების უმთავრესი წინაპირობაა და მნიშვნელოვანია, კვირეულმა მშვიდობიან გარემოში ჩაიაროს: „ივნისამდე დროა, დაველოდოთ. ყველა მოქალაქის, ყველა ადამიანის უფლება დაცული უნდა იყოს. საზოგადოდ, უფლებების დაცულობა მიუთითებს ქვეყნის განვითარებაზე...“**

ასეთი სიახლე არ სჭირდება საქართველოს, ეს არ არის განვითარებისა და წინსვლის გზა, ეს სატანის გზაა!

თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გამოკითხულთა უმრავლესობა მხარს უჭერს ერთნაირსქესიანთა ქორწინებას, საქართველოში 95% ეწინააღმდეგება.

ლგბტ პირებსა და ზოგადად მათ ავადმყოფურ მოთხოვნებს ქართველი ხალხი ყოველთვის მწვავედ აპროტესტებს და საკანონმდებლო ორგანოს მოუწოდებს, მსგავსი თემების განხილვისგან თავი შეიკავოს, აზრადაც არ გაივლოს მსგავსი სისულელე, რადგან საქართველო ის ქვეყანა არ არის, ხალხისთვის მიუღებელი კანონის დარღვევის ვინმეს რომ შეეშინდება.

ჩვენი დასავლელი „მეგობრებისგან“ გამუდმებით ვისმენთ მოწოდებებს ადამიანის უფლებების დაცვაზე, განცხადებებს იმის თაობაზე, რომ დემოკრატია არის მთავარი მიღწევა, რომელიც საქართველოს მიმზიდველ ქვეყნად და **გეოპოლიტიკური ოჯახის** წევრად გვაქცევს ა.შ.

მაგრამ რაში გვჭირდება **დასავლეთი, როგორც გეოპოლიტიკური ოჯახი, თუ ის ჩვენი ტრადიციებითა და კულტურული იდენტობით არ მიგვიღებს და თვითონ დაგვიდგენს ცხოვრების ახალ წესებს, ტრადიციებს?!** არც უსაფრთხოება, არც პოლიტიკური მხარდაჭერა და მით უფრო, არც უსასრულო დაპირებები ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზე არ ღირს იმად, რომ ჩვენი კულტურული იდენტობა, ჩვენი ტრადიციები და სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვა ფასეულობები დავკარგოთ.

ასე ფიქრობს დღეს ყველა პროგრესულად მოაზროვნე ქართველი თუ საქართველოში მცხოვრები არაქართველი.

ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვართ „ძველის მცველი და ახლის უარმყოფელი“ ერი.

ილიას მიაჩნდა, რომ ყველა ცივილიზებული, განათლებული ერი ამ ორი იდეოლოგიის შერწყმა-შეხამების პრინციპების გამოყენებით აშენებს თავის სახელმწიფოს; რომ ეს ორი „მიმდინარეობა აზრისა“ — კონსერვატიზმი და ლიბერალიზმი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული მხარეებია. ისინი ერთმანეთთან თანაარსებობენ, ერთმანეთს ავსებენ, ერთი მეორეს წიაღში იბადება, როცა ამის საჭიროება დგება, და შემდეგ ვითარდება და მტკიცდება, როცა ამის პირობები იქმნება. ჩვენც ილიას გზას უნდა გავუყვეთ, რადგან „ყველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა სცხოვრობს, ორპირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარეობასა“. ყველა ერი, რომელიც ისტორიის ღირსია, ამ „ორნაირ აზრთა წყობის“ ძირითად პრინციპებზე უნდა აგებდეს თავის ცხოვრებას — ე.ი. სახელმწიფოებრიობას — პოლიტიკური სისტემის, ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტებს; ილია, ბუნებრივია, აცნობიერებს, რომ იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის მრავალფეროვნება მხოლოდ ამ ორი იდეოლოგიით არ ამოიწურებოდა, მაგრამ **ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი მიაჩნდა იმ იდეურ ღერძად, რომელზეც ცივილიზაციის მაგისტრალი გადიოდა. „კონსერვატორების უკან და ლიბერალების წინ, მარცხნივ და მარჯვნივ, ბევრნაირ სხვადასხვა აზრის ნაკადულებია კიდევ და თუ ჩვენ მარტო ორი წყობა აზრისა მოვიხსენიეთ, ეგ იმიტომ — რომ ცხოვრების მდინარეობის შუა წელი მაგ ორ მხარ-და-მხარ მოარულს წყობას აზრისას უჭირავს“.**

ილიას თანამედროვე ახალგაზრდების ერთმა ნაწილმა თავისი ქვეყნის წარსულსა და აწმყოში ღრმად ჩაიხედა და მიხვდა, რომ „ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს“, რომ **ქართულმა ლიბერალიზმმა თავისი ძალისხმევა სხვა მიმართულებით უნდა წარმართოს.** ილიას მიაჩნდა (და ეს განსაკუთრებით აქტუალური და საინტერესოა დღესაც), რომ, თუ „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა ზოგადსოციოლოგიური ხასიათის კატეგორიაა და საქართველოშიც მას ვერ ავცდებით, ბრძოლის საგანი, ანუ ბრძოლის ობიექტი „სხვა-რამე“ უნდა ყოფილიყო. **„ის „სხვა რამე“ იყო — ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ აგვცდენია, — ყველასთვის ცხადზედ ცხადია“.** აქედან სრულიად გასაგები ხდება, რომ **ქართული საზოგადოებრივი აზრის, მისი ცნობიერების უმთავრეს პრობლემად ილია ეროვნულ პრობლემას — დაცემული ვინაობის აღდგენას მიიჩნევს და არა იმ პრობლემებს, თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანს, რომლებიც იმ ქვეყნების წინაშე იდგა, რომლებსაც ვინაობა, ე.ი. ეროვნული თვითმყოფადობა, პირველ რიგში, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობის უპირველესი პირობა, დაცემული არ ჰქონდათ.**

ილიას მიაჩნდა, რომ საქართველოს შვილს იმაზე დიდი, მნიშვნელოვანი, ეროვნულ-პატრიოტული საქმე არ აქვს, ვიდრე ერის „ვინაობის“ აღდგენაა; ამას უნდა ემსახურებოდეს თითოეული ადამიანი და ერის ძალისხმევა იქით უნდა იყოს მიმართული: „სკოლაა, ბანკია თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისკენ უნდა მივუბრუნოთ თავი“; ყველა თანამდებობაზე კაცის დანიშვნისა თუ არჩევის ძირითადი კრიტერიუმიც ეს უნდა იყოს — „მაგ მიმართულების სასწორზედ უნდა ავწონოთ“.

რასაც ეს თაობა ვერ გააკეთებს, სხვა თაობები შექმნიან და ეს უნდა იყოს, **ილიას აზრით, ქართული კონსერვატიზმის თუ ლიბერალიზმის ძირითადი იდეა, მისი განმსაზღვრელი იდეური მიმართულება მანამდე, „მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში, და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა“.**

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

**„ეს ყველაფერი ერის ღალატია, მომავლის ღალატი. ახალგაზრდებს აჩლუნგებენ, მინიმალურ განათლებასაც აღარ აძლევენ და ყველა დუმს. როგორ შეიძლება ჩუმად იყოს მეცნიერებათა აკადემია, როგორ შეიძლება ჩუმად იყოს დედაუნივერსიტეტის რექტორატი, მაგრამ პრივილეგიების დაკარგვის შიშით, ხელფასის დაკარგვის შიშით ყველა ჩუმადაა, კულუარებში კი საუბრობენ აქტიურად, რომ ეს დამღუპველია, მაგრამ ხმამაღლა ამას ვერავინ ბედავს“.**

განათლება და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ოროსანი თაობის გაზრდას ვაპირებთ?

**პარლამენტმა მე-11 და მე-12 კლასებში გამოცდების გაუქმების კანონის მიღება ჩააგდო — იმიტომ კი არა, რომ გადაიფიქრა, არამედ იმიტომ, რომ კვორუმი არ შედგა. დარბაზში მყოფმა 53-მა პარლამენტარმა გამოცდების გაუქმებას მხარი დაუჭირა (წინააღმდეგი ერთიც არ წასულა), მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, რადგან კანონის მიღებას 63 ხმა სჭირდებოდა.**

„გპირდებით, რომ 16 აპრილს დამთავრდება კანონის საბოლოო კენჭისყრა და შესაბამისად, საატესტატო გამოცდები მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის აღარ ჩატარდება. 16 აპრილიდან უკვე კანონის დონეზე მოხსნილი იქნება დუბლირება საატესტატო და ეროვნულ გამოცდებს შორის“, — განაცხადა პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ ჯაშმა.**

როგორც ქალბატონი მარიამი ამბობს, ჯერ სკოლის, შემდეგ კი ეროვნული გამოცდები მოსწავლეებს ძალიან ღლის და მათ ერთთვიან პერიოდში პრაქტიკულად იდენტური საგნების ჩაბარება უწევთ. ალბათ, იკითხავთ: მე-11 კლასის მოსწავლეები რაღა შუაში არიანო? ნურას უკაცრავად! მოქმედი კანონის მიხედვით, მე-11 კლასის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ტექნიკურ საგნებში აბარებდნენ გამოცდებს, მე-12 კლასის დასრულების შემდეგ კი — ჰუმანიტარულებში. ახლა ეს მოხსნილი იქნება, რადგან, იმავე ჯაშს თუ დავუჯერებთ, **„ცენტრალიზებულად დარჩება მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდები, როგორც უმაღლეს საფეხურზე სწავლის გაგრძელების საფუძველი...“**

სკოლის დასრულების შემდეგ აბსოლუტურად ყველა მოსწავლე უპრობლემოდ მიიღებს ატესტატს და... ყველა მოსწავლე უპრობლემოდ გახდება უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი და ახლავე აგიხსნით, რატომაც. ჯერ ერთი, განათლების მინისტრი **მიხეილ ბატიაშვილი** ამბობს, რომ ეროვნული გამოცდებიც უნდა მოიხსნას ან მინიმალური ზღვარი უნდა დაწესდეს და ერთი წლის შემდეგ სასწავლებელი თვითონ გადაწყვეტს, უნდა გააგრძელოს თუ არა სტუდენტმა სწავლა, გადაწყვეტილება მიღებული იქნება აკადემიური მოსწრების მიხედვით. ჩვენი აზრით კი, გადაწყვეტილება სტუდენტის გადახდისუნარიანობით იქნება მიღებული და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ თვითონ ბატიაშვილი ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ოფიციალური მეწილეა.

ამას გარდა, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა უკვე გამოაქვეყნა ის კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც აბიტურიენტები წელს სტუდენტად გახდომას შეძლებენ. მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში მინიმალური ზღვარი 18 ქულაა 80 შესაძლებლიდან, ე.ი. აბიტურიენტებს კითხვების მეოთხედზეც კი არ მოეთხოვებათ სწორი პასუხი, რათა ზღვარი გადალახონ. უცხო ენაში მინიმალური ზღვარი 17 ქულაა. 18 ქულაა ისტორიაში დაწესებული მინიმალურ ზღვრად, ხოლო ამ მიმართულებით „ჩემპიონი“ მათემატიკაა — 15 ქულა ორჯერ ორი თუ იცი, ზღვარი უნდა გადალახო. სხვათა შორის, ქართულთან არის გათანაბრებული აფხაზური და ოსური ენები და ორივე შემთხვევაში მინიმალური ზღვარი 18 ქულაა. შედეგად, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ბატიაშვილმა პრაქტიკულად დააკანონა ის, რასაც აქამდე ამბობდა: უმაღლესში მოხვედრა მინიმალური ცოდნითაც შესაძლებელია, მთავარია, გადახდისუნარიანი იყოს მშობელი და ცოდნის შესამოწმებლად სკოლას მინიმალური ბერკეტიც აღარ აქვს. ძალიან მარტივ კითხვას დავსვამთ — **რა საჭიროა სკოლა, თუ არ ექნება მექანიზმი, აკონტროლოს მის მიერ მიცემული ცოდნა? ან განათლების სამინისტრომ როგორ უნდა გააკონტროლოს, როგორ მუშაობს კონკრეტული სკოლა?** იქნებ პედაგოგებს სულ არ აინტერესებთ ბავშვების ცოდნა, იქნებ ბავშვები და მასწავლებლები შეთანხმდნენ, რომ არ ასწავლონ, არ ისწავლონ და მერე რა, წლის ბოლოს ატესტატი მაინც ჯიბეშია. გააკეთებს ბავშვი გრძელვადიანი ავადმყოფობის ცნობას (არ თქვათ ახლა, არ კეთდებაო), არ ივლის სკოლაში, მოემზადება რეპეტიტორთან კონკრეტულად 3-4 საგანში, შემდეგ აიღებს ატესტატს და მორჩა, ნახვამდის სკოლავ და ნახვამდის მასწავლებლებო. პარალელურად, ისიც ვთქვათ, რომ სკოლის გაცდენისა და შატალოს მოწყობის გადასარევი მაგალითი მოსწავლეებს პარლამენტარებისგან აქვთ — 150-დან სხდომას მესამედი ესწრებოდა და კანონი ჩავარდა.

იცით, რა ვერ გავიგეთ კიდევ? **ქართულ ენასა და ლიტარატურაში, ამ ზღვა მასალაში, 80 კითხვა რომ ამოარჩიეს, ამ 80 კითხვიდან აბიტურიენტებს მხოლოდ 18-ზე რატომ სთხოვენ სწორ პასუხს?** გვინდა ასეთი განათლების მქონე მომავალი თაობა? რას ჰქვია, კითხვების ერთ მეოთხედსაც რომ არ უნდა უპასუხო სწორად? ათბალიანი სისტემით დაახლოებით ორიანზე სწავლა მისაღებია უმაღლესი სასწავლებლისთვის თურმე და რეალურად, **სწორედ ოროსანი თაობის გაზრდას ვაპირებთ.** და რაც მთავარია, ამ ყველაფერს ხმამაღლა ამბობს მინისტრი და დანარჩენები ტაშს უკრავენ.

„კანონპროექტის თანახმად, არსებული და მომავალი ხელისუფლებები ვალდებული იქნებიან, ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის 6%, ანუ ქვეყნის ბიუჯეტის მეოთხედი, ყოველთვის მიმართონ განათლების სფეროს დასაფინანსებლად. ამასთანავე, ვიღებთ ვალდებულებას, რომ 2020 წელს განათლების ბიუჯეტმა შეადგინოს 2 მილიარდი ლარი, ხოლო 2022 წელს ბიუჯეტი გაუტოლდეს მთლიანი შიგა პროდუქტის 6%-ს და გახდეს 3 მილიარდ 400 მილიონი ლარი“, — ეს განცხადება პრემიერმა მამუკა ბახტაძემ ორი


მარიამ ჯაში


მიხეილ ბატიაშვილი

**რას ჰქვია, კითხვების ერთ მეოთხედსაც რომ არ უნდა უპასუხო სწორად? ათბალიანი სისტემით დაახლოებით ორიანზე სწავლა მისაღებია უმაღლესი სასწავლებლისთვის თურმე და რეალურად, სწორედ ოროსანი თაობის გაზრდას ვაპირებთ. და რაც მთავარია, ამ ყველაფერს ხმამაღლა ამბობს მინისტრი და დანარჩენები ტაშს უკრავენ**

კვირის წინათ გააკეთა.

რა გამოდის? ხელისუფლება საკანონმდებლო დონეზე ამტკიცებს იმას, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს რამდენიმე მილიარდი განათლებისთვის და... **რომელი განათლებისთვის, ბატონებო? იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც გამოცდებს არ ვაბარებინებთ; იმ აბიტურიენტებისთვის, რომელთაც მინიმუმის მინიმუმს ვთხოვთ მისაღებ გამოცდებზე; იმ ნიჭიერი, მაგრამ ღარიბი სტუდენტებისთვის, რომლებსაც მინისტრის ინიციატივით უფასო ფაკულტეტები გავუუქმეთ?** მათთვის ვდებთ მილიარდობით ლარს? რას ნიშნავს განათლებაში ჩადებული ფული, თუ რეალურად ახალგაზრდებს არაფერს ვასწავლით? რომ თქვათ, ინფრასტრუქტურისთვისო, უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობა კერძოა და თვითონვე მიხედავენ საკუთარ თავს; სკოლების რემონტს ერთი წლის ბიუჯეტი ეყოფა და რისთვის ვხარჯავთ ამ ფულს, ბატონებო?!

ხელისუფლებამ ამ პროექტს საუკუნის დაარქვა, თუმცა საუკუნის პროექტი გამანადგურებელიც შეიძლება იყოს. ერთი ხელით ფულს ვდებთ განათლებაში, მეორე ხელით კი მაქსიმუმს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა განათლება არ მიიღონ. აბა, სხვა რა დავარქვათ იმ ინიციატივებს, აქამდე, უბრალოდ, მუქარა რომ გვეგონა, ახლა კი რეალობის წინაშე დავდექით — **განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტის პირველი პირი მოსწავლეებს ამშვიდებს: ნუ გეშინიათ, გამოცდებს საკანონმდებლო დონეზე გაგიუქმებთო. და კაცი (ქალიც) არ გამოჩნდა პარლამენტში მმართველი გუნდიდან, რომელიც იტყოდა: რას აკეთებთ, ხალხო, ასე არ შეიძლებაო. სამაგიეროდ, პარლამენტმა ჩააგდო კანონპროექტი, რომელიც სასწავლო დაწესებულებებიდან 200 მეტრზე ახლოს აზარტული თამაშების რეკლამას კრძალავდა.** ისე, ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ 2012 წელს მომავალი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი დაპირება სწორედ კაზინოების პოპულარიზაციის შემცირება და მათი ქალაქგარეთ გადატანა იყო, მაგრამ მერე, როცა დაიანგარიშეს და ნახეს, რომ საქართველოში აზარტულ თამაშებში წლიურად 10 მილიარდზე მეტი (თითქმის საქართველოს ბიუჯეტი) ტრიალებს, ეს თემა დაივიწყეს და, ქალაქგარეთ გატანას ვინ ჩივის, რეკლამის შეზღუდვაზეც აღარ ფიქრობენ.

**„ადრეც გითხარით და ახლაც გეუბნებით: ეს ყველაფერი ერის ღალატია, მომავლის ღალატი. ახალგაზრდებს აჩლუნგებენ, მინიმალურ განათლებასაც აღარ აძლევენ და ყველა დუმს. როგორ შეიძლება ჩუმად იყოს მეცნიერებათა აკადემია, როგორ შეიძლება ჩუმად იყოს დედა-უნივერსიტეტის რექტორატი?! მაგრამ პრივილეგიების დაკარგვის შიშით, ხელფასის დაკარგვის შიშით ყველა ჩუმადაა, კულუარებში კი საუბრობენ აქტიურად, რომ ეს დამღუპველია, მაგრამ ხმამაღლა ამას ვერავინ ბედავს“,** — გვითხრა განათლების სისტემის მაღალჩინოსანმა, რომელიც თვითონაც ვერ ბედავს საჯაროდ რამის თქმას, რადგან უსამსახუროდ დარჩენის ეშინია.

რეალურად კი ამ ყველაფერს არც ყვირილი უნდა და არც კულუარებში საუბარი. ყველაფერი ხელის გულზე დევს, ნათლად ჩანს, რომ განათლების რეფორმა ჩანასახშივე მკვდარია, რომ ახალგაზრდების განათლებაზე არ არის ორიენტირებული და უფლებას ვიტოვებთ, სერიოზული ეჭვი შევიტანოთ განათლებაში მილიარდების ჩადების მართებულობაზე, ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ეს ფული განათლების ასამაღლებლად კი არა, სხვა რამისთვის არის გამიზნული და ახლა საინტერესო ისაა, რა არის ის სხვა რამ და რა ჩაიფიქრა ხელისუფლებამ.

**ნათლად ჩანს, რომ განათლების რეფორმა ჩანასახშივე მკვდარია, რომ ახალგაზრდების განათლებაზე არ არის ორიენტირებული და უფლებას ვიტოვებთ, სერიოზული ეჭვი შევიტანოთ განათლებაში მილიარდების ჩადების მართებულობაზე; ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ეს ფული, განათლების ასამაღლებლად კი არა, სხვა რამისთვის არის გამიზნული და ახლა საინტერესო ისაა, რა არის ის სხვა რამ და რა ჩაიფიქრა ხელისუფლებამ. მანამდე კი დაველოდოთ 16 აპრილს, როცა საატესტატო გამოცდების გაუქმებას დაარაქუჩებენ და დასამარხად გამზადებული განათლების სისტემის კუბოში კიდევ ერთ ლურსმანს ჩააჭედებენ**

**P.S. 8 აპრილს პარლამენტმა სკოლებში გამოსაშვები გამოცდების გაუქმებას მხარი დაუჭირა და დასამარხად გამზადებული განათლების სისტემის კუბოში კიდევ ერთ ლურსმანს ჩააჭედებენ.**

**ბესო ბარბაქაძე**

პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„49 საუკუნის წინანდელ ნაშრომში „ჰერაკლეოპოლელი მეფის სწავლება შვილისადმი“ ავტორი გვარწმუნებს, რომ ფარაონს მოეთხოვება, არ გააკეთოს არაფერი არასამართლიანი, უკანონო. ირღვევა ეს პრინციპი — ირღვევა სახელმწიფო“.



# სანამ მქონეთა და არამქონეთა დაპირისპირებამდე მივალთ

**ის ფილოსოფია, რომელსაც დღეს წაიკითხავთ, არც ჩემი ნააზრევია და არც რომელიმე ჩვენი თანამედროვის. მინდა, მადლიერება გამოვთქვა შესანიშნავი მოაზროვნის — თამაზ ბუთხუზის მიმართ, რომელმაც მსოფლიოს ყველა დროის ფილოსოფოსების ზოგიერთი ნააზრევი წიგნად — „შესაძლებლის აღსრულება“ — შეკრა და გაგვიზიარა საკუთარი შეხედულებები. ფილოსოფიის კლასიკოსების მიერ ათასწლეულების წინათ ნათქვამი დღესაც აქტუალურია.**

არ მაქვს ილუზია, რომ ამ წერილით ყველა მოქალაქე დაინტერესდება, არც არის ყველასთვის დაწერილი, მოაზროვნე და პროგრესული ადამიანებისთვისაა განკუთვნილი.

არადა, ამის ცოდნა (და ბევრი სხვა რამისაც) არ აწყენდა დღევანდელ ჩვენს გზააბნეულ საზოგადოებას.

აქედან გამომდინარე, შევეცდები ოქროს ასოებით შემონახული კლასიკური ფილოსოფიისა და დღევანდელი ჩვენი „ფილოსოფიის“ გააზრებას. მკითხველს ბოდიშს ვუხდი აღნიშნული წიგნიდან ვრცელი ციტატების მოხმობის გამო, რომლებიც შეგნებულად არ შემიკვეცია.

დავიწყოთ დღევანდელი მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხით — **სიმართლე და სამართალი.**

„49 საუკუნის წინანდელ ნაშრომში „ჰერაკლეოპოლელი მეფის სწავლება შვილისადმი“ ავტორი გვარწმუნებს, რომ **ფარაონს მოეთხოვება, არ გააკეთოს არაფერი არასამართლიანი, უკანონო. ირღვევა ეს პრინციპი — ირღვევა სახელმწიფო“.**

როგორ დავუკავშიროთ ეს დღევანდელობას?

ყველა პარლამენტარს, ჩემი აზრით, ეს არა მხოლოდ წაკითხული უნდა ჰქონდეს, არამედ ამით უნდა ხელმძღვანელობდეს.

თუ სახელმწიფო მოღვაწე სოლონმა 2500 წლის წინათ განახორციელა სასამართლო რეფორმა და სახელმწიფოს ნგრევა ამით შეაჩერა, იქნებ ჩვენც ეს გზა აგვერჩია? თუ არა, უკეთესი გამოსავალი თქვენ შემოგვთავაზეთ, ბატონებო!

**„სოლონი (დაახლოებით ძვ. წ. აღ. 638-559), ცნობილი ათენელი რეფორმატორი, სახელმწიფო მოღვაწე და კანონმდებელი, პოეტი. ეს მოაზროვნე განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის. იგი იყო ხიდი დემოსსა (ხალხსა) და დიდგვაროვანთა შორის. ხალხმა სოლონი არქონტად (ქალაქ-სახელმწიფოებში უმაღლესი თანამდებობის პირად) აირჩია და არისტოკრატიასა და ხალხს შორის შუამავლის როლი დააკისრა. მან შექმნა ოთხასთა საბჭო და ამით არეოპაგი (ათენის უმაღლესი პოლიტიკური და სასამართლო ორგანო), არისტოკრატიის საყრდენი შეარყია. სოლონმა საბერძნეთში ცენზირებული დემოკრატია დაამკვიდრა. თავის ელეგიებში ის წერს: „მე, როგორც მგელი, ვტრიალებდი ძაღლთა ხროვაში“. მას საზოგადოების ურთიერთდაპირისპირებული სოციალური ფენები ჰქონდა მხედველობაში. სოლონი მათ შორის ჰარმონიის დამკვიდრებას ცდილობდა, რათა სახელმწიფო არ დანგრეულიყო. მან მქონეთა და არამქონეთა შორის კაბალური დამოკიდებულება აკრძალა. სოლონი მიხვდა, რომ სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, ინგრევა შიგნიდან და ეს ნგრევა უაღრესად გამდიდრებულ და უღარიბეს ფენათა შორის დაძაბულობის გამწვავებით იწყება...“**

ათასწლეულების წინანდელი ეს მდგომარეობა დღევანდელ საქართველოს მოგვაგონებს. თუ მაშინ იპოვა სოლონმა გამოსავალი, ნუთუ ჩვენში ერთი თანამედროვე სოლონი ან სოლომონი არ გამოჩნდება?!

სადავო საკითხი როგორ მოვაწესრიგოთ? — სოლონივით!

**აუცილებელ საჭიროებად უნდა მივიჩნიოთ ეროვნული ქონების საერთო სარგებლობაში მოქცევა, რომელიც მდიდრებსა და ღარიბებს შორის თანაბრად იქნება გადანაწილებული. ღარიბი დაიცავს მდიდარს და მდიდარი დაიცავს ღარიბს, იმიტომ, რომ აქ მათი საერთო ინტერესი იქნება ჩადებული. ორივე დაიცავს ერთმანეთის ინტერესს თანაბრობის პრინციპიდან გამომდინარე, რაც არ ეწინააღმდეგება ბუნებრივ სიმართლეს, ანუ ბუნების კანონზომიერებას.** სხვა შემთხვევაში ხდება დაპირისპირება მქონეთა და არამქონეთა შორის და, როგორც ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, არამქონენი რჩებიან მოგებული.



**ჩვენ იმდენად გავერთეთ, ისე «დავთვერით» დემოკრატიით, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელ გზას ველარ ვპოულობთ. გავიმეორებ, რომ კანონი უნდა მოარგო ერის ხასიათს და ქვეყნის საჭიროებას. შესაძლოა, ეს ერთადერთი გამოსავალი იყოს**

კანონი არის შემოქმედებითი, ბუნებრივი წყარო, რომელმაც, როგორც აუცილებელი პირობა, უნდა გაიაროს აპრობაცია 1 ან 2 წელი. დადგინდეს კანონის მოქმედების დადებითი და უარყოფითი მხარეები, 70 პროცენტი შესწორდეს ბუნების კანონის მიმართ, 30 პროცენტი კი ქვეყნის მოთხოვნას უნდა მოვარგოთ. მხოლოდ ამის შემდეგ შემოვიტანოთ სახელმძღვანელოდ. აუწონელი კანონი დიდ ზიანს აყენებს ქვეყანას.

**„ბუნებრივი სამართალი ჩვენ გარეშე არსებობს: ის სამართალი, რომელსაც ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს და არაა დამოკიდებული იმაზე, მას ვცნობთ, ვაღიარებთ თუ არა — ბუნებრივი სამართალია. ყველა დანარჩენი პირობითი, ანუ ხელოვნური სამართალია“.**

ზემოთ მოყვანილი მაგალითის გასამყარებლად მოგაწოდებთ არისტოტელეს აზრს, რომელიც სახელმწიფოს მართებული და არამართებული ფორმის საკითხს განიხილავს.

**„მართებულ სახელმწიფოში მმართველები საერთო სარგებელზე ფიქრობენ, არამართებულში — მხოლოდ საკუთარ თავზე. მართებული სახელმწიფოა მონარქიული, არისტოკრატიული და პოლიტია, არამართებული — ტირანია, ოლიგარქია და დემოკრატია. იგი ყველაზე მართებულ ფორმად თვლის პოლიტიას — უმრავლესობის მმართველობას საერთო სარგებლით, სადაც ურთიერთდაპირისპირებული სოციალური ფენების (შეძლებულთა და უქონელთა) ინტერესები იქნება გათვალისწინებული. არისტოტელე მკაცრად აკრიტიკებს უკიდურეს დემოკრატიას, რომლის დროსაც უმაღლესი ძალაუფლება დემოსს ეკუთვნის და ყველა სიმახინჯე აქედან გამომდინარეობს.**

**პოლიტიკური სამართლიანობა მოითხოვს ერთ შემთხვევაში რაოდენობრივ თანასწორობას, მეორეში — თანასწორობას ღირსების შესაბამისად.**

**სახელმწიფოში, რომლის მმართველნიც „საშუალო“ ადამიანები არიან, საუკეთესო სახელმწიფო წყობა, სისტემა იქმნება“. არისტოტელე ასე მსჯელობს: დამარცხებული ქვეყნის არისტოკრატი არისტოკრატად არ ჩაითვლება, რადგან მან პოლიტიკა ღრმად ვერ გაიაზრა, არ დახვეწა, მოსალოდნელი საშიშროება წინასწარ ვერ გაიაზრა, შესაბამისად, მან დაუშვა, რომ ვიღაც დამპყრობელს დაემონებინა, ე.ი. ის გაუაზრებელი, განუვითარებელი მონაა, თუმცა ამას ვერ ხვდება და საკუთარ თავს არისტოკრატს უწოდებს“.**

ამდენად, ჩვენ არისტოკრატებად ვერ ჩავითვლებით. რადგან ჩვენი ყოფილი „პოლიტიკური არისტოკრატები“ დამარცხებულები არიან?! — ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განადგურება, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება, ქართველების სამშობლოდან გაქცევა, აზროვნების დაქვეითება!.. სრული პოლიტიკური კრახი! თავისუფლების მაძიებლების უაზრო ლაყბობით მართლაც დავკარგეთ თავისუფლება და ვინ იცის, კიდევ რამდენს დავკარგავთ!

**„სამყაროს ბუნებრივი პროცესის განვითარების ჩამოყალიბებაში ყველაფერი უსამართლოდ მიიჩნევა, რაც ბუნებრივ კანონზომიერებას ეწინააღმდეგება. უმაღლეს ხელოვნებად ყველა არსებულ ხელოვნებათა შორის დემოკრიტე (460-370 ძვ. წ. აღ.) სახელმწიფოს მმართველობას აღიარებს. მისი აზრით, უდიდესი დანაშაულია სახელმწიფო თანამდებობაზე იმ მოქალაქეების დანიშვნა, რომელთა განათლება ეჭვს იწვევს, რადგან გაუნათლებლობას თან სდევს თავხედობა და სისულელე. ის აკრიტიკებს დემოკრატიას იმ თვალსაზრისით, რომ დემოკრატია ანებივრებს ყველა განუვითარებელს, ბრბოს: იქ არ არის ადგილი ზნეობრივისა და განათლებულთათვის. განათლებული, ზნეობრივი უმცირესობის ნება — უკვე კანონია“.**

განა ყველა ჭკვიანია, ვინც უმაღლესი განათლება უცხოეთში მიიღო? ან ვინც 5 ენა იცის და 5 უნივერსიტეტი დაამთავრა, ხუთჯერ ჭკვიანი იქნება? ჭკუა სწავლებაში არ არის. სწავლა გონებას ავითარებს, გონება — გონიერებას და გონიერება — სიბრძნეს!

**„პოლიბიუსის აზრით (210-123 ძვ. წ. აღ.), დემოკრატიის დროს ბრბო სხვის ხარჯზე მათხოვრული ლუკმის მიღებას და უბადრუკ ცხოვრებას თანდათან ეჩვევა, ყველას ენდობა, ვინც ოდესმე რამეს მიუგდებს. ამით ნებისმიერი თავხედი დემაგოგი, თაღლითი სარგებლობს, ხოლო თვით ბრბოს კი სახელმწიფო საქმეები, პოლიტიკა აღარ აინტერესებს. შესაბამისად, დემოკრატიაში ისეთი რამ დევს, რაც მის გადაგვარებას უწყობს ხელს. ამ შემთხვევაში, „სახელმწიფო უკეთილშობილესი სახალხო მმართველების სახით ინილბება, რეალურად კი ის ყველაზე ცუდ სახეს იღებს, როგორიც კი საერთოდ შეიძლება სახელმწიფომ მიიღოს“.**

ჩვენ იმდენად გავერთეთ, ისე „დავთვერით“ დემოკრატიით, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელ გზას ველარ ვპოულობთ. გავიმეორებ, რომ კანონი უნდა მოარგო ერის ხასიათს და ქვეყნის საჭიროებას. შესაძლოა, ეს ერთადერთი გამოსავალი იყოს.

**რომან რურუა**

**რედაქციისაგან: ეს ერთადერთი გამოსავალი იმ პირობით, თუ ხელისუფლებას, საკუთარი მერკანტილური კი არა, ქვეყნის საჭიროება და ინტერესები ექნება გააზრებული და მათ ხორცშესხმას ესწრაფვის.**

## 10 პროდუქტი, რომლებიც მარტში ყველაზე მეტად გაძვირდა

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2019 წლის მარტში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 1 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 3,7 პროცენტი შეადგინა.**

გთავაზობთ ჩამონათვალს იმ 10 პროდუქტისა, რომლებზეც მარტში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ყველაზე მეტად გაიზარდა ფასები:

* კომბოსტო — 166%-ით;
* ადგილობრივი წარმოების უფილტრო სიგარეტი — 98,2%-ით;
* მწვანილი — 70,4%-ით;
* ხახვი – 60,6%-ით;
* ბადრიჯანი — 40,1%-ით;
* პომიდორი — 38,8%-ით;
* კიტრი — 36,4%-ით;
* წიწაკა — 32,0%-ით;
* იმპორტული წარმოების ფილტრიანი სიგარეტი — 30,1%-ით;
* ადგილობრივი წარმოების ფილტრიანი სიგარეტი — 29,6%-ით.





ჩვენ გვაქვს ის, რაც არ აქვს სხვა ერებს — წყალი. ჩვენ ვჭირდებით მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას, რათა შეუფერხებლად მივაწოდოთ ეს ბუნებრივი რესურსი.

პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამაზე რეალური სიმდიდრე ქართველებს არ გაგვაჩნია

**რომან რურუას ამ ნაფიქრმა და ნააზრევმა ბევრი კითხვა გააჩინა. შევხვდით, ვისაუბრეთ ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსავლის ძიების მისეულ ხედვაზე. განსაკუთრებით იმ დებულებით დავინტერესდით, რომელსაც იგი ზემომოყვანილ წერილში ასაბუთებს: ბუნებრივი რესურსი ეკუთვნის საქართველოს მოსახლეობას, ამიტომ საერთო სარგებლობაში უნდა მოექცეს და თანაბრად განაწილდეს ჩვენს მოქალაქეთა შორის.**



**— ბატონო რომან, ცნობილია, რომ სპორტული მწვერვალების დაპყრობის შემდეგ ბიზნესში გადაინაცვლეთ და სამეურნეო საქმიანობაში საფუძვლიანად გაერკვიეთ, მაგრამ ეს ფილოსოფიური ესსე, არ დაგიმალავთ, ერთგვარად მოულოდნელი იყო.**

— მეც პირდაპირ გეტყვით, რომ ჩემს წერილს საფუძვლად დაედო ქართველ მეცნიერთა მრავალწლიანი ნაშრომები, ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, დარგობრივი ეკონომიკისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების სახელმწიფო პროგრამები. წლების განმავლობაში ვადევნებ თვალს ქართველი მეცნიერის — პაატა გიორგაძის ავტორობითა და ხელმძღვანელობით შემუშავებულ ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის სწრაფი განვითარებისა და მოსახლეობის უმძიმესი ყოფიერების დაძლევის კონცეფციალურ პროგრამებს, რომელთა თანაავტორები არიან ცნობილი მეცნიერი-მკვლევარები, ღვაწლმოსილი ადამიანები. ამ მისიის პრაქტიკული განხორციელებისთვის აუცილებელია ერთ მუჭად შეკრული ჩვენი მოსახლეობის მხარდაჭერა და თანადგომა, რათა გადავლახოთ ხელოვნურად შექმნილი წინაღობანი და დავსახოთ პრობლემის რეალურად გადაწყვეტის პერსპექტივა, ჩამოვაყალიბოთ გეგმა და განვსაზღვროთ მისი რეალიზაციის ოპტიმალური გზები. ამიტომაც იყო, რომ საინიციატივო ჯგუფმა მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ საყოველთაო სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისთვის“ დაგვეფუძნებინა ბათუმში. ამ მოძრაობამ დღეისთვის დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონის მუნიციპალური ერთეული უკვე მოიცვა. ხალხის კეთილი ნება-სურვილით დღის წესრიგში დადგა სრულიად საქართველოს ახალი ეროვნულ-ეკონომიკური მოძრაობის შექმნა, რომლის მიზანია:

* საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის სიდუხჭირიდან გამოყვანა და მისი კეთილდღეობის ამაღლება;

* ქვეყნის მატერიალური სიმდიდრის შექმნა და კონკურენტუნარიანობის ზრდა, ახალი ფინანსურ-ეკონომეტრული ინსტრუმენტის ფორმირება და დარგობრივი მიმართულებების პროექტების განხორციელება;

* ერთიანი, ეკონომიკურად ძლიერი, სოციალურად ორიენტირებული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა „ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუციით“.

ამ ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია, რომ საზოგადოებას აღვუდგინოთ ერთიანობის განცდა.

**— შესაძლებელია კი დღევანდელ საქართველოში ასეთი მასშტაბური პროექტის განხორციელება?**

— ჩვენ გვაქვს ის, რაც არ აქვს სხვა ერებს — წყალი. ჩვენ ვჭირდებით მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას, რათა შეუფერხებლად მივაწოდოთ ეს ბუნებრივი რესურსი. მსოფლიოსთვის წყლის მიწოდება უზრუნველყოფს საქართველოს უსაფრთხოებას.

**— ეს თემა არახალია. წლების განმავლობაში ვლაპარაკობთ, მაგრამ შედეგი არ ჩანს.**

— მით უფრო საშურია, რომ საქართველო გახდეს მსოფლიო მნიშვნელობის კონკურენტუნარიანი, წიაღისეული სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გატანის უპირატესობის მქონე ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა. ჩვენი გაანგარიშებით, საექსპლუატაციოდ დასაშვები მარაგების მხოლოდ 0,75%, ანუ 2,5მ3/წმ-ში იქნება გამოყენებული, ვინაიდან მეტ დატვირთვას საქართველოში დღეს არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ვერ გაუძლებს. დანარჩენი სასმელი წყლის მარაგი, ავტორის მიერ ჭკვიანურად მოფიქრებული მოდელით, გადაყვანილია ქვეყნის მატერიალურ სიმდიდრეში და იგი წარმოადგენს უზარმაზარ ქონებას შესაბამისი ფასების ინდექსაციით.

**სასმელი წყლის ინდუსტრიის სააქციო საზოგადოების წევრი გახდება საქართველოს მკვიდრი ყველა მოქალაქე, რომლებსაც უფასოდ გადაეცემათ ასიათასობით აშშ დოლარის „მატერიალური ღირებულების“ 1 აქცია საკუთრების უფლებით. იგივე უფლება ენიჭება ყოველ ახალდაბადებულ ბავშვს. აქცია მემკვიდრეობით არ გადადის, ვინაიდან ეს არათანაბარ გადანაწილებას გამოიწვევს.**

**— ბატონო რომან, რასაც თქვენ ამბობთ, უფრო ოცნებას ჰგავს. პრაქტიკულად თუ გაკეთდა რამე ამ მიმართულებით?**

— რა თქმა უნდა! გავეცანი სტრატეგიულ პარტნიორებთან მოლაპარაკებების ძირითად ოფიციალურ დოკუმენტებს და სამოქმედო გეგმის ნაწილს. კონცეფცია-პროგრამა შესწავლილი, ექსპერტირებული და მხარდაჭერილია მსოფლიო კაპიტალის ბაზრის ფინანსური ინსტიტუტების მიერ. სტრატეგიულმა პარტნიორებმა აღიარეს და მიიღეს ქართველ მეცნიერთა მიერ შემუშავებული საქართველოს წიაღისეული სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების მსოფლიო ფინანსურ რესურსებში ჩართვის მექანიზმის გამოყენებით კაპიტალიზაციისა და საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე მისი მატერიალიზაციის ტექნოლოგიური მოდელი, რომელმაც უზრუნველყო ბაზრის სეგმენტის მოპოვება და ინდუსტრიული მშენებლობისთვის აუცილებელი 5 მილიარდი აშშ დოლარის დაფინანსება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის საჭირო დანახარჯების გათვალისწინებით.

ამ თემაზე წლების განმავლობაში მუშაობენ მეცნიერები. იმედი გვაქვს, რომ ხელისუფლება მხარს დაგვიჭერს და გამოხატავს პოლიტიკურ ნებას.

**— შეგიძლიათ ჩვენს მკითხველებს გააცნოთ თქვენი კონცეფცია-პროგრამის თუნდაც ძირითადი პუნქტები?**

— აუცილებელიც კი არის:

* 18 თვეში საქართველოს მუნიციპალურ ერთეულებში უნდა აშენდეს 190-მდე სასმელი წყლის ჩამოსასხმელ-დამფასოებელი ქარხანა;

* პირველ ეტაპზე შეიქმნება 80-100 ათასამდე სამუშაო ადგილი;

* დასაქმებულის საშუალო ხელფასი იქნება 1500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში;

* ქვეყნის ყოველწლიური შემოსავალი იქნება 12 მილიარდი აშშ დოლარი;

* კონცეფცია-პროგრამის რეალიზაციით საქართველოს ბიუჯეტს ყოველწლიურად ჩაერიცხება 2,5 მილიარდი აშშ დოლარი;

* შეიქმნება განვითარებული სატრანსპორტო ინფრასრუქტურა, გაიზრდება პორტებისა და ტერმინალების ტვირთბრუნვა;

* ინდუსტრიული მშენებლობის დასრულებისთანავე წიაღისეული სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების კაპიტალიზაციის ტექნოლოგიური მოდელის გამოყენება უზრუნველყოფს ახალი ფინანსური ინსტრუმენტის ფორმირებას, რაც მსოფლიოს უმაღლესი კლასის საბანკო გარანტიაა დარგობრივ-ეკონომიკური პროექტებისთვის საჭირო გრძელვადიანი და მცირეპროცენტიანი ფულადი რესურსების მოსაზიდად;

* სტრატეგიულ პარტნიორებთან ხანგრძლივი მოლაპარაკების საფუძველზე მიღწეულია შეთანხმება ათობით მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფის თაობაზე: სოფლის მეურნეობის, გადამმუშავებელი მრეწველობის, ენერგეტიკის, ქალაქებისა და დაბების წყალმომარაგების ახალი სისტემის მშენებლობისა და საზღვრისპირა მაღალმთიან რეგიონებში თანამედროვე სოფლების ურბანული განვითარებისთვის, მთისა და ბარის კოოპერირებისთვის გლეხური ფერმერული მეურნეობების მოსაწყობად, ჯანმრთელობის, განათლებისა და მეცნიერების და ა.შ. პერსპექტიული მიმართულების განვითარებისთვის;

* შეიქმნება მრავალმილიონიანი ფონდი ბუნების აღდგენისა და განვითარებისთვის;

* მიღებული შემოსავლების რეინვესტირებით მე-10 წელს საქართველოში მაღალი ანაზღაურებით დასაქმდება 450 ათასამდე ადამიანი, ხოლო ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლები გაიზრდება და მიაღწევს ათეულობით მილიარდ აშშ დოლარს, რასაც ადასტურებს ფინანსური ნაკადების ბრუნვის ბიზნესგეგმა, „ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუცია“.

**ამ მისიის პრაქტიკული განხორციელებისთვის აუცილებელია ერთ მუჭად შეკრული ჩვენი მოსახლეობის მხარდაჭერა და თანადგომა, რათა გადავლახოთ ხელოვნურად შექმნილი წინაღობანი და დავსახოთ პრობლემის რეალურად გადაწყვეტის პერსპექტივა**



მოწყურებული დედამიწა

**— როგორ ფიქრობთ, რამ შეიძლება შეუშალოს ხელი ამ გეგმის განხორციელებას?**

— მთავარია, ჩვენ არ შევუშალოთ ხელი ერთმანეთს. ჩვენ მსოფლიოს ვჭირდებით და, თუ ვჭირდებით, დაგვიცავენ. როგორც ვხედავთ, წყალი ყველაზე ძლიერი იარაღი ხდება. შესაძლოა, ეს ყველაზე ანგარიშგასაწევი საკითხი იყოს და უკავშირდებოდეს საერო და საეკლესიო ხედვას — საქართველოს გაბრწყინებას. თუ წყალს ნებით არ გავცემთ, ძალით წაიღებს სხვა, რადგან ბუნებრივი რესურსებისთვის ყოველთვის იყო ომი და დღემდე გრძელდება. იქიდან გამომდინარე, რომ წყალი 24 საათის განმავლობაში სჭირდება ადამიანს, **მსოფლიო კრიზისი უკვე დაწყებულია. ჩვენ ვალდებული ვართ, სასწრაფოდ მივაწოდოთ სასმელი წყალი იმ ქვეყნებს, რომლებშიც მისი დეფიციტია.**

როცა სასმელი წყლის რესურსების თემას გავეცანი, დავრწმუნდი, რომ ჩვენ მდიდარი ქვეყნის შვილები ვართ, შეიძლება მათზე მდიდარიც, ვინც გაზისა და ნავთობის მფლობელია.

მე ვერიდები ადამიანების მწვავე კრიტიკას, არ ვაძლევ თავს უფლებას, ვინმე საზოგადოების განსჯისთვის გავწირო, მაგრამ ყველა ხელისუფლება — კომუნისტებიდან დაწყებული, დღევანდელით დამთავრებული, დამნაშავეა ქართველი ერის წინაშე. დაე ისტორიამ გამოიტანოს საბოლოო ვერდიქტი.

ერთსაც დავუმატებ: დაბრკოლებად შეიძლება წარმოჩნდეს ადამიანის მისწრაფება, ყველაფერი მოარგოს თავის პიროვნულ ინტერესებს. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს საკუთარი **„მე“**, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენი **„მე“** ვერ მოგვიტანს სიკეთეს, თუ ვერ შევთანხმდებით საერთო კეთილდღეობის საკითხში. ჩვენი მიზანია, როგორმე ეს **„მე“** შევცვალოთ **„ჩვენით“**, რაც შეგვაძლებინებს, ვიცხოვროთ ერთად და მშვიდობიანად. სხვა შემთხვევაში გაჩნდებიან **„ისინი“ და** ჩვენ ყველაფერს დავკარგავთ. მთავარია, ქონება ისე უნდა გადანაწილდეს, რომ **წარსულის პოლიტიკურ-ეკონომიკური განკითხვა დარჩეს წარსულში.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ხსოვნა

**ახლახან სრულიად საქართველოს საგანძურს (თუ ასე თქმა შეიძლება), ქალბატონ ნანი ბრეგვაძეს ლამის ინფარქტი დამართეს იდიოტმა რუსოფობმა ურაპატრიოტებმა: როგორ თუ ოკუპანტ რუსეთში იმღერე, სამშობლოს მოღალატე ხარო; იმავე ნაძირალებმა მოუწამლეს სიბერე აწ გარდაცვლილ რეზო ჩხეიძეს და ა.შ.**

# დიდი ბოდიში, დიდო ქართველო!

**„გამოჩენილი რეჟისორი, სცენარისტი; ბრწყინვალე, არაორდინალური ადამიანი. გიორგი დანელიამ შექმნა ფილმები, რომლებიც სამამულო კინემატოგრაფიაში ნამდვილ მოვლენად იქცა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ატარა ჰუმანური ფასეულობების, ხელოვნებისა და მაყურებლის მიმართ პატივისცემა“, — აი, ამ სიტყვებით მიაგო პატივი 4 აპრილს გარდაცვლილი გიორგი დანელიას ხსოვნას რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და მიუსამძიმრა დიდი ქართველი რეჟისორის ოჯახს.**

ჩემი მოკრძალებული აზრით, რუსეთის პრეზიდენტის ეს განცხადება აშკარად ვერ ეტევა ასეთ შემთხვევებში მიღებულ ფორმალურ, დაშტამპულ, ტრაფარეტულ ჩარჩოებში და, ფიგურალურად თუ ვიტყვით, ვლადიმერ პუტინის განცხადებას აშკარა გულწრფელობის სურნელი ასდის, მაგრამ იმ სამარცხვინო ფაქტს რა ჰქვია, რომ თუნდაც ტრაფარეტული განცხადება ვერ გაიმეტა საქართველოს ხელისუფლებამ გენიალური გიორგი დანელიასთვის? რა ჰქვია და ხელისუფლების აღვირახსნილი რუსოფობია დევიზით — ოკუპანტ რუსეთში მოღვაწეობ? ესე იგი, სამშობლოს მოღალატე ხარ, მაგრამ ამაზე ქვემოთ. მანამდე კი მცირე ლირიკული გადახვევა...

როგორც წესი, ადამიანთა უმრავლესობა მხოლოდ საკუთარ სამეგობრო-სანათესაოს უკვდება, მაგრამ ზოგიერთი ადამიანი სრულიად საქართველოს მოუკვდა.

სწორედ ასეთი ადამიანების რიგებს შეემატა **გიორგი დანელიაც** და, რადგან ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ იქნებ წერტილიც აქ დაგვესვა. მე კი განვაგრძობ სათქმელს...

ახლახან სრულიად საქართველოს საგანძურს (თუ ასე თქმა შეიძლება), ქალბატონ **ნანი ბრეგვაძეს,** ლამის ინფარქტი დამართეს იდიოტმა, რუსოფობმა ურაპატრიოტებმა: როგორ თუ ოკუპანტ რუსეთში იმღერე, სამშობლოს მოღალატე ხარო. იმავე ნაძირალებმა მოუწამლეს სიბერე აწ გარდაცვლილ **რეზო ჩხეიძეს** და ა.შ. დასავლეთიდან გულუხვად დაფინანსებული ქართველი რუსოფობებისთვის არაფერს ნიშნავს იმ ფაქტის გახსენება, რომ, როდესაც მოსკოვის „ლუჟნიკების“ სტადიონზე იმ „სხვა დროს“ (1965 წელს) დიქტორმა გამოაცხადა, სსრკ-ბრაზილიის ისტორიულ მატჩს **სერგო ზაქარიაძე** ესწრებაო, 100 ათასამდე მაყურებელი ფეხზე ამდგარი 10 წუთის განმავლობაში უკრავდა ტაშს „ჯარისკაცის მამას“. ქართველი რუსოფობი ლიბერასტებისთვის რეზო ჩხეიძისა და სერგო ზაქარიაძის „ოტეც სალდატა“ დაბალი დონის ფილმია ან განა შეიძლება, სიამაყე არ დაგეუფლოს, როდესაც რუსეთის გადაჭედილ უდიდეს საკონცერტო დარბაზებში თამარ გვერდწითელის გენიალური შესრულებით გენიალური სიმღერა „საქართველო“ ქუხს?

ულამაზესი **ქეთი თოფურია** ლამის ჯვარს აცვეს: როგორ თუ რუსული ჯარის ფორმა ჩაიცვი და სცენაზე დიდ სამამულო ომზე იმღერეო?!

ამ თემაზე ერთ ქართველ ლაწირაკ „ექსპერტთან“, რბილად, რომ ვთქვათ, კამათი მომივიდა. რბილად, რადგან მამის ტოლა კაცი ისე გამომიყვანა წყობიდან, რომ ლამის ხელი შემოვკარი ტელეკომპანია „იბერიის“ ოფისში — **ნეტავ, სხვა რა უნდა ექნა დიდ სამამულო ომში სსრკ-ის გამარჯვების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტზე ქეთი თოფურიას: ამერიკულ კამუფლაჟში გამოწყობილიყო და „რუსეთი ოკუპანტიაო“ ეკივლა?** კითხვა რიტორიკულია, რადგან ის, რაც ჩვენთვის წმიდათაწმიდაა, დიდი სამამულო ომია, მსგავსი „ექსპერტებისთვის“ — ბანალური მეორე მსოფლიო ომი, რომელშიც, დიდი სტალინის მთავარსარდლობით წითელმა არმიამ კი არა, ე.წ. მოკავშირეებმა — აშშ-ბრიტანეთმა გაიმარჯვეს.

აღარაფერს ვიტყვი **სოსო პავლიაშვილზე**, რომელიც ქართველი ლიბერასტი რუსოფობების მიერ ასევე შეტანილია სამშობლოს მოღალატეთა სიაში.

მსოფლიო დონის კარდიოქირურგი **ლეო ბოკერია** მისივე შექმნილი ინსტიტუტით, ასევე მსოფლიო დონის მხატვარი-მონუმენტალისტი **ზურაბ წერეთელი** და მისივე გრანდიოზული სახელოსნო მოსკოვის ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე ცალკე საუბრის თემაა — ისინი, ჯერ თუ არ არიან, სავარაუდოდ, მალე გახდებიან ქართველი ნეოლიბერასტების მიერ ჩამოყალიბებული სამშობლოს მოღალატეთა კლუბის წევრები იმავე მოტივითა თუ ბრალდებით — რატომ არ გამოდიან წითელ მოედანზე პლაკატ-ტრანსპარანტით „რუსეთი ოკუპანტია“.

სერიოზულად კი, ლიბერასტ-რუსოფობთაგან არავინ საუბრობს იმაზე, რომ სწორედ „ოკუპანტი რუსეთია“ ის მარადიული მტერი, რომელიც პირველობას არავის უთმობს გზავნილების სახით დოლარების შემოდინებაში და, რომ არა ეს „მდინარება“, ნახევარი საქართველო შიმშილით ამოწყდებოდა.

მგონი, საკმარისზე მეტი დრო დავუთმეთ ქართველ რუსოფობ ლიბერასტებზე საუბარს და დროა, წერილის მთავარ პერსონაჟს, დიდ მაესტროს — გიორგი დანელიას დავუბრუნდეთ...

მართალია, გიორგი დანელიამ ხანგრძლივი სიცოცხლე მოსკოვში გაატარა, მაგრამ იგი ზაფხულობით, როგორც წესი, საქართველოში ჩამოდიოდა. დიდი **ვერიკო ანჯაფარიძის** დის შვილი მიხეილ ჭიაურელის ოჯახში ატარებდა ზაფხულს და სწორედ ამ საზაფხულო არდადეგების შედეგი იყო ის, რომ გიორგი დანელია, მიუხედავად იმისა, რომ რუსულად უფრო კარგად საუბრობდა, ვიდრე ქართულად, სიცოცხლის ბოლომდე თხემით ტერფამდე ქართველად დარჩა ცხოვრებაში და, რაც მთავარია, ხელოვნებაშიც — სხვა რომ არაფერი, მხოლოდ „მიმინო“ და „არ დაიდარდო“ იკმარებდა ქართული „ვალის გადასახდელად“. დიდ ქართულ კინემატოგრაფშიც იშვიათია ეროვნული ცნობიერებითა და ქართველობის სიამაყით ისე გაჟღენთილი ფილმები, როგორებიც ზემოთ ხსენებული კინოშედევრებია. დანელიას გადაღებულ „აფონიაზე“, „იღბლიან ჯენტლმენებზე“ (სცენარის ავტორი), „შემოდგომის მარათონზე“ და სხვა შედევრებზე ხომ მთელი თაობები აღვიზარდეთ არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც და მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირშიც.



**გიორგი დანელია, მიუხედავად იმისა, რომ რუსულად უფრო კარგად საუბრობდა, ვიდრე ქართულად, სიცოცხლის ბოლომდე თხემით ტერფამდე ქართველად დარჩა ცხოვრებაში და, რაც მთავარია, ხელოვნებაშიც — სხვა რომ არაფერი, მხოლოდ «მიმინო» და «არ დაიდარდო» იკმარებდა ქართული «ვალის გადასახდელად». დიდ ქართულ კინემატოგრაფშიც იშვიათია ეროვნული ცნობიერებითა და ქართველობის სიამაყით ისე გაჟღენთილი ფილმები, როგორებიც ზემოთ ხსენებული კინოშედევრებია. დანელიას გადაღებულ «აფონიაზე», «იღბლიან ჯენტლმენებზე», «შემოდგომის მარათონზე» და სხვა შედევრებზე ხომ მთელი თაობები აღვიზარდეთ არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც და მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირშიც**

აქედან გამომდინარე, გულწრფელად მეცოდება ჩვენი შვილების ის თაობა, რომელსაც შეგნებულად დაავიწყეს უმდიდრესი რუსული ენა და გიორგი დანელიას თუ სხვათა რუსული კინოშედევრების ნახვა ტიტრებით უწევთ — ეს ხომ იგივეა, რომ უმარილო საჭმელი ჭამო?!

წინამდებარე წერილი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ციტირებით დავიწყე და არაფერი მითქვამს რუსული მასმედიის რეაქციის შესახებ — 4 აპრილს უკლებლივ ყველა რუსული ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემები, ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი ტელევიზიების ჩათვლით, როგორც წესი, გიორგი დანელიას გარდაცვალების ფაქტით არათუ იწყებოდა, არამედ უკლებლივ ყველა ტელევიზიაში გიორგი დანელიას ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი 7-9-წუთიანი სიუჟეტით გრძელდებოდა. მეტიც, უკლებლივ ყველა რუსულენოვანმა არხმა საღამოს გადაცემათა ბადეც შეცვალა დიდი მაესტროს მიერ შექმნილი კინოშედევრების ჩვენებებით თუ მასზე შექმნილი დოკუმენტური ფილმებით.

და რას გადასცემდნენ ამ დროს ქართული არხები? სპეციალურად ხელში პულტმომარჯვებული აქეთ-იქით „დავხტოდი“ და გიორგი დანელიას შესახებ, როგორც ილიას „ელეგიაშია“, „არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!“

იმ დღეს ჩვენი „მოკავშირე“ ნატოს 70 წლისთავისადმი მიძღვნილი მინისტერიალი იყო და ყველა ქართული არხი იმით იწყებდა საინფორმაციო პროგრამას — ეს მერამდენედ როგორ დაგვიჭირა მხარი ნატომ და მერამდენედ უთხრეს საქართველოს, რომ აუცილებლად გახდება ნატოს წევრი.

ერთადერთმა ტელეკომპანია „იმედმა“ თქვა, ისიც შეცდომით: 86 წლის (სინამდვილეში — 88 წლის — რედ.) გიორგი დანელია გარდაიცვალაო, და ფილმი „არ დაიდარდო“ აჩვენა.

რაც შეეხება ხელისუფლებას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ტრაფარეტული განცხადებაც ვერ გაიმეტა. არადა, მე თუ მკითხავთ, ტრაფარეტი რას მიქვია! სამთავრობო დელეგაციაც უნდა გაეგზავნა მის დაკრძალვაზე, მაგრამ ქოც-ნაცები მაკეინისთანა „მეგობრების“ პანაშვიდ-დაკრძალვაზე ასწრებენ ერთმანეთს და, აბა, „მოღალატე“ ქართველისთვის სად სცალიათ?!

დაკრძალვა ვახსენეთ და გიორგი დანელიას ცხედარს მოსკოვის კინოს სახლიდან გამოასვენებენ და 9 აპრილს ნოვოდევიჩის სასაფლაოზე დაკრძალავენ, კიდევ ერთი ქართველი რუსის — **მარლენ ხუციევისა** და თბილისელი **ევგენი პრიმაკოვის** გვერდით.

სამთავრობო დელეგაციისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თბილისიდან გიორგი დანელიას სამეგობრო-სანათესავო წავა და ერთ პეშვ ქართულ მიწასაც წაუღებს. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის, დიდო მაესტრო, მშობლიური საქართველოსა და საყვარელი მოსკოვის მიწა!

**დავით მხეიძე**


ბუბა კიკაბიძე, გიორგი დანელია, ფრუნზიკ მკრტჩიანი

**P.S. ქართველი რუსი-მეთქი, ვახსენე და სრულიად შეგნებულადაც. რუს-ქართველთა ორსაუკუნოვანი თანაცხოვრებისას ტერმინი „ქართველი რუსი“ სრულიად ლეგიტიმურად იშვა. პირიქითაც ვიტყოდი: „რუსი ქართველი“... ასეთებიც ბევრნი ყოფილან და საბედნიეროდ დღესაც არიან; საბედნიეროდ, რადგან ასეთი ადამიანების მთავარი საზრუნავი ერთმორწმუნე ერებს შორის მშვიდობიანი ცხოვრების პირობების შექმნა იყო.**

**სახალხო დიპლომატია — აი, რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენის ერთადერთი საშუალება. ამ მიმართულებით, რასაც გიორგი დანელიას „არ დაიდარდო“ და, გნებავთ, „მიმინო“ დღესაც აკეთებს, არა მგონია, იმის გაკეთება პოლიტიკოსებმა შეძლონ.**

**თავს უფლებას მივცემ და მთელი ქართველი ხალხის სახელით ბოდიშს გაგატანთ იმქვეყნად, დიდო ქართველო!**

**უსიყვარულოდ არც ერთი ფილმი არ გადაუღია. საქართველოს სიყვარული გენეტიკურად ჰქონდა სისხლ-ხორცში გამჯდარი. თბილისში იყო დაბადებული. დედამისი და ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე დები იყვნენ.**

სანთელი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## რეზო გაბრიაძე:

# ეკრანი ჩაბნელდა

**გარდაიცვალა დიდი რეჟისორი, განუმეორებელი კინემატოგრაფისტი გიორგი დანელია, რომლის შესანიშნავმა ფილმებმა დაიპყრო ყოფილი საბჭოთა კავშირისა თუ უცხოეთის ქვეყნების ეკრანული სივრცე, ადამიანებს ცხოვრება გაუხალისა, გააკეთილშობილა საზოგადოებრიობა. პუბლიკაცია, რომელსაც გთავაზობთ, მეგობრის გამომშვიდობებასავით არის, გახსენებასავით დიდი შემოქმედის, რომლის შედევრებიდან ოთხის სცენარის ავტორი ბატონი რეზო გაბრიაძეა.**



— 50 წელიწადს ვმეგობრობდით და ვმუშაობდით, არ ვიცი, როგორ ვთქვა...

იგი მაშინ გავიცანი, როცა უკვე ძალიან პოპულარული რეჟისორი იყო, ისეთი ფილმების შემქმნელი, როგორებიც არის „დავაბიჯებ მოსკოვის ქუჩებში“, „ოცდაცამეტი“, „სერიოჟა“...

**— „აფონია“.**

— არა, „აფონია“ ჯერ გადაღებული არ ჰქონდა... უყვარდა მაყურებელს, მსახიობებს უყვარდათ. მისი ფილმების ჩვენება ყოველთვის ანშლაგით მიმდინარეობდა. მაშინ კინოში მოღვაწეობაზე არც მიფიქრია. მხატვარი ვიყავი და ჩემს პროფესიას, მინდოდა, ბოლომდე გავყოლოდი.

ერთი-ორი დღე სჭირდებოდა, რომ გაეთბო ადამიანთან ურთიერთობა და თანამოაზრედ ექცია.

პირველად თბილისში, სასტუმრო „საქართველოს“ მეხუთე სართულზე შევხვდით ერთმანეთს.

რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ 50 წელიწადს გაგრძელდებოდა ჩვენი მეგობრობა და თანამშრომლობა.

„არ დაიდარდოზე“ მუშაობის დაწყებამდე გია თბილისში ჩამოვიდა და **ელდარ შენგელაიას** შეხვდა; უნდოდა, ემუშავა ქართველ სცენარისტთან, ელდარმა რეკომენდაცია მე გამიწია.

ამ დროს უკვე წარმოებაში იყო ჩაშვებული ელდარის „არაჩვეულებრივი გამოფენა“, რომლის სცენარის ავტორი მე ვიყავი და, ეტყობა, ამიტომ ურჩია გიას ჩემი მიწვევა.

აქვე ვიტყვი, რომ ორივე ამ ფილმის პრემიერა მოსკოვის კინოს სახლში ერთსა და იმავე კვირაში გაიმართა.

გაცნობიდან ორ კვირაში აღმოვჩნდი მოსკოვში. მაშინ მოსკოვის „სკატერტნი პერეულოკში“ იყო საქართველოს წარმომადგენლობის პატარა სასტუმრო, სამ თუ ოთხსართულიანი. იქ, ერთ ოთახში, დავიწყეთ მუშაობა. ორ კვირაში კი გადავედით „ჩისტიე პრუდის“ (სუფთა ტბორების) №23-ში, სადაც ცხოვრობდნენ გიორგი დანელიას მშობლები და მისი ოჯახი.

**— „არ დაიდარდოს“ იდეა ვისი იყო?**

— გიასი. უფრო სწორად, დედამისის ქალბატონ **მერის**, რომელიც **მიხეილ ჭიაურელის** ასისტენტად მუშაობდა „მოსფილმში“, ცნობილი ადამიანი იყო მოსკოვის შემოქმედებით ინტელიგენციაში.

ვმუშაობდით დილიდან საღამომდე. ასე გაგრძელდა ორ თვეზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში. გია პროფესიით არქიტექტორი იყო, რაც ეხმარებოდა ფილმის მთლიანობის, ჰარმონიულობის საკითხის გადაწყვეტაში.

უყვარდა მეგობრები, რომლებიც ბევრი ჰყავდა, აინტერესებდა მათი ამბავი.

„მიმინოს“ სცენარის შექმნაზე ისევ ჩავედი მოსკოვში... შესანიშნავი მსახიობები თამაშობდნენ.

ამ ფილმის ერთი ეპიზოდის დატოვება-არდატოვების გამო ძალიან ვინერვიულე. მაშინ სსრკ-ს ისრაელთან ყოველგვარი ურთიერთობა ჰქონდა გაწყვეტილი. ფილმში კი მიმინო უცხოეთიდან თელავში დარეკავს და შემთხვევით თელავიში საქართველოდან ისრაელში ასულ ქუთაისელ ებრაელს ტელეფონით დაელაპარაკება. ბევრის მიმანიშნებელი იყო ეს მოკლე დიალოგი, რომელიც დუეტში შესრულებული ქართული ხალხური სიმღერით მთავრდება — „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“. მე მგონი, ყველას ახსოვს.

სცენარი დასამტკიცებლად „გოსკინოში“ წაიღეს.

ორ დღეში გიამ მოსკოვიდან დამირეკა:

— Твои страхи не оправдались, все в порядке!

გულზე მომეშვა, რადგან დასაკარგად არ მემეტებოდა.

შემდეგ იყო „პასპორტი“, წმინდა მიწაზე ჩასვლა, ბევრი საინტერესო შეხვედრა.

ბოლოს დადგა დრო ჩემი საყვარელი ფილმის — „ქინ-ძა-ძას“ გადაღების. ყველაზე დიდხანს ამ ფილმზე ვიმუშავეთ, თითქმის შვიდ თვეს.

არ მეგონა, რომ ჩვენი ცხოვრება ასე მალე დაემსგავსებოდა „ქინ-ძა-ძაში“ აღწერილს.

და უცებ საშინელი ზარი... გიას ნათლიამ შემატყობინა.

**ეკრანი ჩაბნელდა.**

**დამთავრდა დიდი შემოქმედის სიცოცხლე.**

**ის იყო უაღრესად კეთილი, სათნო ადამიანი. მან განვლო მეტად რთული, ძნელი, დრამატული ცხოვრება. არასოდეს გაგრძნობინებდა თავის მძიმე განცდებს.**

**მომღიმარე, ტკბილსალმიანი, უნიჭიერესი ადამიანი იყო. მან ხალხს დაუტოვა პოეზია, სიხარული, სილამაზე.**

**ვუთხრათ მას მადლობა.**

**«დამთავრდა დიდი შემოქმედის სიცოცხლე. ის იყო უაღრესად კეთილი, სათნო ადამიანი. მან განვლო მეტად რთული, ძნელი, დრამატული ცხოვრება. არასოდეს გაგრძნობინებდა თავის მძიმე განცდებს. მომღიმარე, ტკბილსალმიანი, უნიჭიერესი ადამიანი იყო. მან ხალხს დაუტოვა პოეზია, სიხარული, სილამაზე. ვუთხრათ მას მადლობა»**



* * *

### ბოლოთქმის ნაცვლად:

გიორგი დანელიასადმი მიძღვნილ სატელევიზიო სიუჟეტებში თუ გადაცემებში რუსეთის ყველა პოპულარულმა არხმა იგი დიდ რეჟისორად მოიხსენია — Великий режиссер!

მისი ახლობელი ადამიანები, კოლეგები ამბობენ, რომ მან, რა თქმა უნდა, იცოდა თავის ფასი, მაგრამ აფიშირება არასოდეს უცდია. დახვეწილი კაცი იყო და არაფერი ეშლებოდა.

უსიყვარულოდ არც ერთი ფილმი არ გადაუღია. საქართველოს სიყვარული გენეტიკურად ჰქონდა სისხლ-ხორცში გამჯდარი. თბილისში იყო დაბადებული, დედამისი და ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე დები იყვნენ.

ყოველთვის უხაროდა, კარგ ამბავს რომ შეიტყობდა ჩვენი ქვეყნიდან. ისეთ წვრილმანსაც კი, როგორიც, მაგალითად, თბილისის „დინამოს“ მორიგი გამარჯვება იყო (მაშინ „დინამო“ ექსტრაკლასის გუნდი გახლდათ) — ეგ ხომ მეც კარგად ვიციო!

ყოველთვის საქმის კურსში იყო.

უყვარდა შრომა, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ ცხოვრებად იქცევა ხოლმე, არა ცხოვრების წესად, არამედ — ცხოვრებად.

ის ცხოვრება დამთავრდა.

**ა. ს.**


„აფონია“


„მიმინო“


„არ დაიდარდო“


„ქინ-ძა-ძა“

იუბილე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მიხარია, რომ ვარ ყველგან, სადაც ვჭირდები ჩემს პროფესიას თუ საზოგადოებრივ საქმეს, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოსა და ისრაელის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას. ვარ ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა მუზეუმისა და საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის გადარჩენის ფონდის პრეზიდენტი, ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის საერთაშორისო ასოციაციის წამყვანი“.**

# ჩემი მეგობარი ჯამლეტი-2

**წლების წინათ ჯამლეტ ხუხაშვილისთვის ჩამორთმეული ინტერვიუ, რომელიც „საქართველო და მსოფლიოში“ დაიბეჭდა, ასე იყო დასათაურებული — „ჩემი მეგობარი ჯამლეტი“. ამჯერადაც ვიმეორებ, უმნიშვნელო ცვლილებით — მსგავსად „ტერმინატორი-2“-ისა. მოდის და მოაბიჯებს ტერმინატორივით ჯამლეტი ლადო ასათიანის ქუჩაზე, თითქოს თან მოაქვს თავისი უბნის ნახევარი მაინც — სოლოლაკის, ფეთხაიმის ზემოთ რომ არის, ის ნაწილი.**

**ძლიერებით, ჟინით, სიცოცხლის სიყვარულით სავსე ჩემი მეგობარი ჯამლეტი — ისეთივე ახალგაზრდა და ბობოქარი, როგორიც ამ 43 წლის წინათ იყო, როცა ერთად მოგვიწია მუშაობა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში, მისი წარმატებული გზის დასაწყისში.**



**«ჭკვიან ადამიანებს კი უთქვამთ: თავისუფლება ბრძოლა კი არ არის, ჰარმონიააო. ჰარმონიული ცხოვრების სასარგებლოდ უნდა იმუშაოს თავისუფალმა სიტყვამ და არა ლანძღვისთვის და ურთიერთობის გასამწვავებლად»**



სპორტული კომენტატორები: ჯამლეტ ხუხაშვილი, კოტე მახარაძე და ნუგზარ ჯუღელი

— **ერთი ცინიკური ფრაზის ავტორს თუ დავუჯერებთ, ჩემო ჯამლეტ, არაფერი ისე არ აღიზიანებს ადამიანს, როგორც სხვისი კარგი მაგალითი. შენი წარმატებული მოღვაწეობის განმავლობაში გიგრძვნია ვინმეს გაღიზიანება?**

— არა, არასოდეს! შეიძლება სადღაც იყო კიდეც ასეთი ვინმე, მაგრამ მე პრაქტიკულად მსგავსი არაფერი განმიცდია. რომც შემემჩნია, არავის არასოდეს ვეტყოდი, რომ ის ნეგატივი ჩემს თავზე მივიღე, რომ მას ჩემი კარგი არ უხარია.

— **სიტყვის თავისუფლებაზე კამათისას ზოგჯერ (და არცთუ იშვიათად) სადღაც ამოკითხულ ასეთ დებულებას მოიშველიებენ: სისულელის თქმის უფლება პიროვნების განვითარების გარანტიაა.**

— ჭკვიან ადამიანებს კი უთქვამთ: თავისუფლება ბრძოლა კი არ არის, ჰარმონიააო. ჰარმონიული ცხოვრების სასარგებლოდ უნდა იმუშაოს თავისუფალმა სიტყვამ და არა ლანძღვისთვის და ურთიერთობის გასამწვავებლად.

სისულელის თქმის უფლებას რაც შეეხება, ქართველ კაცს კარგად უთქვამს: „გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა“. მიუშვებ და საზოგადოებასაც ავნებს, რადგან სისულელეს მოჰყვება ცილისწამება, მორალური დათრგუნვა. ცილისწამების წინააღმდეგ კანონი ჯერჯერობით არ არსებობს და ზოგი ამით სარგებლობს, ამით ცხოვრობს. ასეთი ზედმეტი, უსაზღვრო და გადამეტებული „დემოკრატიის“ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რადგან ღუპავს პიროვნებას და აუტანელს ხდის საზოგადოების ცხოვრებას. დაგისახელებდით კონკრეტულ მაგალითებსაც, მაგრამ მათ წისქვილზე წყლის დასმა გამომივა... არავის მოუტანია მსგავსი ჭორი ჩემამდე.

— **თქვენი დიდი ოჯახის დედის, უკეთილშობილეს ქალბატონ სიფორას ბრძნული გამონათქვამის მიხედვით, საქებარსა მაქებარი რომ არ ჰყავდეს, უქებარი დარჩება.**

— არასოდეს! ლანძღვისგან — კი. ხშირად უთქვამთ ჩემთვის, რომ პირში მთქმელი კაცი ვარ. მართალია. მაგრამ არც საკუთარ თავს, არც სხვას არ ვაკადრებ, რომ საზოგადოების წინაშე, საჯაროდ გავლანძღო. რაც საჭირო იქნება, პირისპირ შეხვედრისას ვეტყვი. კარგი კაცის ქება გვმართებს, ჩვენს მორალურ კანონში ასე წერია. ღირსეულის შექება ახალი კეთილშობილური ქმედებისთვის ადამიანის წახალისების ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა. სიკეთის განფენილობა იზრდება ამ დროს ჩვენ გარშემო.

— **75 წელს მიღწეულმა ჯამლეტ ხუხაშვილმა ხომ არ შეკვეცა თავისი მოღვაწეობის მრავალმხრივობა?**

— არა, რა თქმა უნდა! ყველაფერს ისევე განვაგრძობ, როგორც აქამდე. ვიყავი და ვრჩები სპორტულ მიმომხილველად ჩემს რადიო „ჯაკოში“, რომელიც უკვე ტელევიზია გახდა, ვუძღვები რეპორტაჟებს; სპორტული მიმომხილველი ვარ რამდენიმე სატელევიზიო არხზე. ჩვენს სტუდიაში მომზადებულ გადაცემებს სხვადასხვა არხი აქტიურად გამოიყენებს. დღეს 65 ტელეარხია საქართველოში: ოღონდ კარგი გადაცემა მოამზადე და ხელიდან წაგგლეჯენ.

ამას გარდა, „მაკაბის“ სკოლაში ვავარჯიშებ ჯგუფს, ვაკონტროლებ სხვა ჯგუფებს, რომლებიც ჩვენს სკოლაშია.

როგორ სპორტსმენებს ვამზადებთ, საყოველთაოდ ცნობილია. გაგახსენებთ, რომ ჩემი გაზრდილი **გიორგი შერმადინი** (სტეფანიაზე არაფერს ვიტყვი, რომელიც პირველი ქართველი კალათბურთელი იყო, ენბიაიში წლების განმავლობაში რომ ითამაშა) შარშან ესპანეთში ყველაზე სარგებლიანი მოთამაშე გახდა. ახლახან კი, საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების კაპიტნად ყოფნის დროს ორ შეხვედრაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა, რომელიც მანამდე ეკუთვნოდა შონ ბრედლის. გიორგი შერმადინს, რომელიც ამ მატჩებში საუკეთესო იყო ქულების მოპოვებაშიც, მოხსნებშიც, მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვითაც, არც ერთი ჯარიმა არ მიუღია. მე ჩემი მოვალეობა საქართველოს კალათბურთის წინაშე შერმადინის აღზრდით ერთგვარად მოვიხადე.

— **ძმები რევაზაშვილებით გუნდის დაკომპლექტებას რომ აპირებდი, აქ როგორღაა საქმე?**

— სპორტის მოყვარულმა თქვენმა მკითხველებმა იციან, რომ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს კალათბურთის სამ-სამი კაცით დაკომპლექტებული გუნდების ტურნირი. ძმები რევაზაშვილები ამჟამად სხვადასხვა გუნდში თამაშობენ, მაგრამ ვემზადებით, რომ მონაწილეობა მივიღოთ ამ ოლიმპიურ ასპარეზობაში სწორედ ერთი ოჯახის შვილებით დაკომპლექტებული გუნდით. ეს ჯერ მხოლოდ ვარაუდია. იმედს არ ვკარგავ, რომ ძმები ივარჯიშებენ, თავიანთ ოსტატობას დაამტკიცებენ და ჩენს ჩანაფიქრს რეალობად აქცევენ.

თქვენს მკითხველს შევახსენებ, რომ სამი ძმის საშუალო სიმაღლე 2 მეტრი და 9 სანტიმეტრია.

— **ნათქვამი გაქვთ, რომ საქართველოსა და ისრაელის კალათბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრისას საქართველოს ნაკრებს ვუგულშემატკივრებთ მეც და საქართველოს ებრაელობა სრულადო, მაგრამ ასევე ერთსულოვნად ვუქომაგებთ ისრაელის ნაკრებს, როცა იგი ნებისმიერი სხვა ქვეყნის ნაკრებს დაუპირისპირდებაო.**

**ხომ არ შეგიცვლია პოზიცია?**

— არა და არც არასოდეს შემეცვლება. ასე იქნება ყოველთვის. როცა საქართველოს ნაკრები თამაშობს, რომლის საპატიო უფროსი კვლავ მე ვარ (გუნდის პირველი უფროსი, 1994 წლიდან მოყოლებული, როცა ნაკრები შეიქმნა და ერთ-ერთი პირველთაგანი, ვისაც ბესიკ ლიპარტელიანსა და ნოდარ ქორქიასთან ერთად საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა), ჩემი მშობლიური ნაკრებია და ყოველთვის მისი გულმხურვალე მხარდამჭერი ვიქნები.

— **ბატონო ჯამლეტ, ძალიან ხშირად გხედავენ საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეხვედრებზე, რომლებიც თბილისში იმართება. პრაქტიკულად არც ერთი ასეთი ღონისძიება არ გამოგიტოვებია. სპორტულ-ჟურნალისტური საქმიანობით გადატვირთული დღის წესრიგის მიუხედავად, მაინც ახერხებთ დედაქალაქისა და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მოღვაწეობას?**

**როგორ ასწრებ?**

— სიმართლე გითხრათ, მიკვირს, როგორ ვასწრებ. 24 საათი არ მყოფნის. დიდი-დიდი 4 საათს მძინავს. ერთი კია, რომ წინასწარ ვამზადებ მომავალი დღის გეგმას, რომელიც კალაპოტში მაყენებს. ვცდილობ, დრო უქმად არ დავკარგო. მიხარია, რომ ვარ ყველგან, სადაც ვჭირდები ჩემს პროფესიას თუ საზოგადოებრივ საქმეს, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოსა და ისრაელის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას. ვარ ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა მუზეუმისა და საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის გადარჩენის ფონდის პრეზიდენტი, ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის საერთაშორისო ასოციაციის წამყვანი, ამ საზოგადოების პრეზიდენტია ჩემი მეუღლე.

— **ქალბატონი ევა ბაბალაშვილი.**

— დიახ. ეს ასოციაცია თვეში რამდენჯერმე აწყობს შეხვედრებს გამორჩეულ ოჯახებთან და პიროვნებებთან, და ყველა ამ ღონისძიების წამყვანობა მე მაქვს დაკისრებული. ამიტომაა, რომ ასე ხშირად მიწევს საზოგადოების თავშეყრის ადგილებში გამოსვლა. ისიც მიხარია, რომ, თუ სადმე ვინმე გამოსცემს წიგნს სპორტულ თემაზე, აუცილებლად მიმიპატიჟებენ პრეზენტაციაზე და, როგორც უხუცეს სპორტულ კომენტატორს, ამ შეხვედრების წაყვანას მთხოვენ. უარს არავის ვეუბნები, რადგან მსიამოვნებს ასეთ ხალხთან შეხვედრა, ასეთ წრეში ტრიალი.

— ***დღეს სად იყავი (ინტერვიუ 4 მარტს ჩაიწერა)?***

— ამ დილით გაიხსნა კლინიკა, რომლის დირექტორი **მამუკა ქაცარავაა.** მიმაჩნია, რომ ქართული სამედიცინო სკოლა ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესია, რომ გვაქვს უახლესი აპარატურით აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები, რომელთაც დღეს კიდევ ერთი თანამედროვე კლინიკა შეემატა.

ქართველ მედიკოსთა მეხოტბე ვარ.

იმასაც გეტყვით, რომ ვარ პაციენტთა ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარე. ჩვენი კომისია ერთგვარი შუამავალია პაციენტებსა და ექიმებს შორის და, როცა საჭიროა, ახერხებს, რომ ექიმები უანგაროდ დაეხმარონ ხელმოკლე ავადმყოფებს გამოკვლევებითა თუ მედიკამენტებით. კლინიკებში მხოლოდ საზეიმო გახსნებზე არ დავდივარ. ვახერხებ მჭიდრო, მაქსიმალურად ოპერატიული და საქმიანი კავშირი მქონდეს მათთან, რათა ვიცოდე, რომელს რა შესაძლებლობა გააჩნია და რით შეიძლება დაეხმაროს ჩვენს თანამოქალაქეებს.

— **იუბილეს 14 აპრილს აღნიშნავ, მაგრამ დაბადებული ხარ ცამეტში. აქამდე ასე იყო. რატომ გადაწიე?**

— იმიტომ, რომ 13 აპრილს ბათუმში გაიხსნება მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში და იქ უნდა ვიყო. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ნაკრების წევრები წარმატებით იასპარეზებენ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი უმცროსი მეგობარი **ლაშა ტალახაძე** ახალ მსოფლიო რეკორდებს დაამყარებს და მინდა, პირადად იქ მივულოცო.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ლაშა ტალახაძე ბათუმში, რა თქმა უნდა, დაამყარებს ახალ რეკორდებს და ყველანი გულწრფელად მივულოცავთ.**

**დღეს კი კაცობაში, მეგობრობაში, საქართველოსადმი სიყვარულში, მამულიშვილობაში ჩემპიონსა და რეკორდსმენს — ჯამლეტ ხუხაშვილს 75 წლის იუბილეს მივულოცავთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის სრული შემადგენლობა.**

**ამბობენ, რომ დაბადების დღის წინასწარ მილოცვა არ შეიძლებაო. სისულელეა!**

**შენ ხომ არ გჯერა ამ ორლობის სისულელის, ბატონო ჯამლეტ, ჩვენო მეგობარო?!**

**ა.ს.**

იტალიური ფეხსაცმლის რეკლამა — „ჩაიცვით, კორსო მოდაშია“, არ მიმაჩნია სწორად. ფეხსაცმლის მოთავსება შეიძლება მუყაოს ყუთში, ცელოფნის პარკში, გემის ტრიუმში და ნაგვის ურნაშიც კი, მაგრამ არა „მოდაში“. უნდა ეწეროს: „ჩაიცვით, კორსო მოდურია“.

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ოცნება», ფსევდოოპოზიცია და გაკოტრებული პარტიები



**ქვეყნის მართვის საპარლამენტო მოდელზე გადასვლა, ბუნებრივია, ნიშნავს, ხალხის როლის ამაღლებას და მის ჩართულობას ქვეყნის მართვა-გამგებლობაში. ძლიერი პარლამენტი ქვეყნის საძირკველია, ხოლო მისი სიძლიერე, პირველ რიგში, დამოკიდებულია შემადგენლობაზე, რომელიც დაფუძნებული იქნება პროფესიონალიზმზე, პატიოსნებასა და პატრიოტიზმზე, რომლებიც ნამდვილად აკლდა ჩვენი ქვეყნის ცხრავე მოწვევის პარლამენტს.**

სამწუხაროდ, არც ამჟამინდელი პარლამენტი გამოირჩევა თავისი პროფესიონალიზმით, ავტორიტეტით, პასუხისმგებლობითა და საქმიანობით. საქართველოს პარლამენტში 150-დან 35 დეპუტატი არ მონაწილეობს საპარლამენტო დებატებში. მათი სახე და ხმის ტემბრი სანატრელი გაგვიხდა. ისინი თავიანთ ამომრჩევლებზე იფიქრებენ და იზრუნებენ? ან რა ანგარიშს ჩააბარებენ მათ, როცა პარლამენტში მხოლოდ ღილაკზე თითის დაჭერით არიან დაკავებულნი?

**40-მდე დეპუტატი** მილიონერია, რომლებიც მხოლოდ საკუთარ ბიზნესზე ფიქრობენ, როგორ გაზარდონ თავიანთი შემოსავლები, ხალხი და ამომრჩეველი არ ადარდებთ. არიან პარლამენტარები, რომლებიც არ დადიან პარლამენტში და მხოლოდ თავიანთი საქმეებით არიან დაკავებულნი.

რაც შეეხება საპარლამენტო ოპოზიციას, აუცილებელია, თუ იგი ხელისუფლებას სახელმწიფოს ჭეშმარიტ მმართველობაში ეხმარება, გონიერ პაექრობაში იბადება სიმართლე, რაც ქვეყანას სარგებელს აძლევს, ჩვენთან კი რა ხდება? ერთმანეთის ლანძღვა-გინება, გაწევ-გამოწევა და საკანონმდებლო ორგანო ზოგიერთისთვის თავშესაქცევ ადგილად იქცა. ქვეყნის საპარლამენტო ცხოვრებაში ოდესმე თუ ყოფილა, რომ რომელიმე საკითხი გონიერებით, ურთიერთშეთანხმებით გადაეწყვიტოთ? **ჩემი გონებიდან არ ამოდის ეპიზოდი საპარლამენტო ცხოვრებიდან, როცა სააკაშვილი ტრიბუნიდან გაჰკიოდა: ყველანი ციხეში, ნულოვანი ტოლერანტობაო. ამ მომენტში ყველა პარლამენტარი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს... ან, როცა ანტიდისკრიმინაციულ და ქვეყნის საწინააღმდეგო სხვა კანონებს იღებდნენ, ეკლესია კი მათი წინააღმდეგი იყო.** ან კიდევ, როცა ამ პარლამენტმა კენჭი უყარა მოსამართლეების უვადო დანიშვნის 2024 წლამდე შეჩერებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე რეჟიმად გამოცხადების შესახებ საკითხებს, რომლებსაც, სამწუხაროდ, მხოლოდ 45-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. **მათი საქციელი, ვინც ამ საკითხებს მხარი არ დაუჭირა, არავიათარ ზნეობას არ ექვემდებარება, რაც სამარცხვინოა, აგრეთვე, სრულიად ქართველი ხალხისთვის. ამის შემდეგ შეიძლება ამ პარლამენტს ხალხის რჩეული ვუწოდოთ?** ნეტავ, თუ გაუჩნდებათ ოდესმე სინანულის განცდა ჩადენილი დანაშაულის გამო?!

ისე, თუ ადრე პარლამენტს ეგრეთ წოდებული ახალგაზრდა რეფორმატორები განაგებდნენ, ახლა მიმდინარეობს მათი ჩანაცვლება ახალგაზრდა რესტავრატორებით, რომლებსაც სურთ, რესტავრაცია ჩაუტარონ, გააპატიოსნონ და ახალი სული შთაბერონ თავიანთ სასამართლოსა და „ნაციონალურ მოძრაობას“. ოცნება გაივსო ე. წ. ჩანერგილი და გადაბირებული ნაციონალებით. პარლამენტში აღმოჩნდა მხოლოდ 45 დეპუტატი, რომლებიც იბრძოდნენ სააკაშვილის წინააღმდეგ და თავის დროზე „ოცნების“ ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ, მათ დიდი როლი ითამაშეს არა მხოლოდ 2012 წელს, არამედ 2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში „ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის გამარჯვებაშიც, რაც, სამწუხაროდ, არ იქნა გათვალისწინებული. ყოველივე ამის შედეგია ის, რაც დღეს „ოცნებაში“ ხდება — დაპირისპირებები და უმრავლესობის რიგების დატოვება.

რაც შეეხება **ფსევდოოპოზიციას**, საერთოდ, დამპყრობელ ქვეყანას დაპყრობილი ქვეყნის სათავეში რომელიმე მმართველ პარტიასთან ერთად მოჰყავს ფსევდოოპოზიცია და ამით ქმნის თითქოს დემოკრატიულობის ფონს. ეს ფსევდოოპოზიცია მხარს უჭერს მმართველ პარტიას. მათ პოლიტიკა, შეიძლება ითქვას, ბიზნესად აქციეს — ფინანსდებიან როგორც ბიუჯეტიდან, ისე უცხოეთიდანაც, რაც უნდა აღიკვეთოს. სწორედ ამიტომ არის ქვეყანაში 240-ზე მეტი პარტია: ზოგი — ერთკაციანი, ზოგი — ორკაციანი, რომელთა წევრები პარტიიდან პარტიაში გადადიან; ზოგი პარტია სახეს იცვლის და ადრე თუ შენების პარტია იყო, ახლა ქვეყნის ნგრევის პარტიად წარმოგვიდგება. ვითარება, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი, მათი „ნაღვაწის“ შედეგიცაა და პასუხისმგებლობაც ეკისრებათ. **ეს გაკოტრებული, ურეიტინგო, უავტორიტეტო, უთავმოყვარეო პარტიები, რომელთა წარმომადგენლებს ხშირად იწვევენ ტელევიზიებში, ნდობადაკარგულები არიან და მობეზრდა ხალხს მათი ყურება.** კარგად იციან, ცალ-ცალკე ბარიერს ვერ გადალახავენ და უნდათ, გაერთიანდნენ, თანაც გაჰკივიან პროპორციული წესით არჩევნების ჩატარებაზე, რათა როგორმე შეძვრნენ პარლამენტში.

მახსენდება ჩვენი უნიჭიერესი მსახიობისა და ფეხბურთის უბადლო კომენტატორ **ეროსი მანჯგალაძის** ფრაზა, როცა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი დიდი ანგარიშით აგებდა თამაშს და ჩვენს კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა: „მკვდრებმა (იგულისხმა ფეხბურთელები — ჯ.ც.) აღმართეს ცოცხალი კედელი“-ო, ახლა კი სწორედ პოლიტიკურად მკვდარმა პარტიებმა მოინდომეს პარლამენტში შესვლა.

პროპორციულ არჩევნებზე გადასვლის საკითხზე კი მინდა აღვნიშნო, რომ, სანამ არ გაჩნდება ეროვნულ-პატრიოტული პარტიების ერთიანი პოლიტიკური ორგანიზმი, მანამდე პროპორციული არჩევნების ჩატარებას აზრი არ აქვს. რაც შეეხება მაჟორიტარულ სისტემას, ის გამართლებული და მისაღებია, თუ ავირჩევთ ნიჭიერ, ხალხში პოპულარულ, განათლებულ და კეთილსინდისიერ კადრებს და არა ფულიან ტომრებს. ამიტომაა, რომ ფსევდოოპოზიცია მოითხოვს პროპორციულ არჩევნებს, ვინაიდან მაჟორიტარად წარდგენის შემთხვევაში მათ გამარჯვების შანსი არ აქვთ — სახელგატეხილ და შერცხვენილ პირებს მხარს არავინ დაუჭერს. როგორ ვხედავთ საპარლამენტო ცხოვრებაში დუღილის ტემპერატურა მატულობს, ხალხში კი — მღელვარება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**ჯონი ცინცაძე**,
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

# ენას ნუ ანაგვიანებთ!

მე გახლავართ თქვენი ერთგული მკითხველი, რომელსაც ორი წერილიც აქვს დაბეჭდილი თქვენს გაზეთში (№39, 2017; №27, 2018). მადლობას ვუხდი „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას მრავალათასიანი მკითხველისათვის სწორად, „წაღმა“ დანახული და მიწოდებული სიმართლისთვის, აგრეთვე, ჩემი სტატიების გამოქვეყნებისთვის... ქიმიკოსის პროფესია სულაც არ მიშლის ხელს, ვიყო იმ ადამიანთა შორის, რომლებიც კარგი მოქართულეები არიან და ცდილობენ, მოკრძალებული წვლილი შეიტანონ მშობლიური ენის სიწმინდის დაცვის ფრიად საპატიო საქმეში. ამჟამადაც, თქვენი ნებართვით, გიგზავნით მორიგ წერილს, რომლის შინაარსიც ენობრივი ნორმებიდან ზოგიერთ გადაცდომას ეხება.

პატივისცემით, **მერაბ ნადირაშვილი**

**ტერმინების უცოდინარობა ან უადგილო გამოყენება, გრამატიკული ნორმებისადმი ზერელე დამოკიდებულება, ჟარგონით საუბარი — აი, არასრული ჩამონათვალი იმ მიზეზებისა, რომლებსაც შედეგად ენის დამახინჯება მოსდევს. აქ კვლავ „ლიდერობს“ რეკლამებში გაპარული გადაცდომები...**

* იტალიური ფეხსაცმლის რეკლამა — „ჩაიცვით, კორსო მოდაშია“, არ მიმაჩნია სწორად. ფეხსაცმლის მოთავსება შეიძლება მუყაოს ყუთში, ცელოფნის პარკში, გემის ტრიუმში და ნაგვის ურნაშიც კი, მაგრამ არა „მოდაში“. უნდა ეწეროს: **„ჩაიცვით, კორსო მოდურია“.**

* **„წესრიგში მოიყვანა თავი“** ყოვლად აბსურდული ფრაზაა. ეგეც არ იყოს, რატომ უნდა დავხარჯოთ სამი ურთიერთდისონანსური სიტყვა, მაშინ, როცა ეს ქმედება შეგვიძლია ერთი სიტყვით გამოვხატოთ — **„მოწესრიგდა“.** ორივე მაგალითში გამოყენებულია რუსულის კალკი — „в моде“ და „привел себя в порядок“. სიტყვასიტყვით თარგმნა კი ყოველთვის არ არის მისაღები.

* საქართველოს ახალი პრეზიდენტის, ქალბატონ **სალომე ზურაბიშვილის** წინასაარჩევნო სარეკლამო ბანერზე განთავსებულ ფრაზას — **„ერთად საქართველოსათვის“,** მე ასე დავწერდი: **ერთად — საქართველოსათვის!**

* ჩიქორთული ფრაზები: „თავის გაკრეჭა“, „პირის გაპარსვა“ — უკეთესია, ასე გამოვთქვათ: „თმის შეჭრა“, „წვერის გაპარსვა“.

* უნდა ვთქვათ **„მოატყუა“** და არა — „მოატყუილა“.

* გაუმართავია ბეჭდური მედიიდან ამოღებული შემდეგი წინადადება: „ექვს წელიწადში „ქართული ოცნების“ გამარჯვებიდან უარესი სიტუაცია მივიღეთ, ვიდრე გვქონდა...“ იგი ასე უნდა დალაგდეს: **„ქართული ოცნების“ გამარჯვებიდან ექვსი წლის შემდეგ უარესი სიტუაცია მივიღეთ, ვიდრე გვქონდა...“** აქ, „ვიდრე“ შეიძლება აღნიშნავდეს ამ „ექვსწლედის“ პირველ წლებს, ხოლო, თუ იგი ოცწლიან (1992-2012) ბნელეთსა და განუკითხაობას გულისხმობს, მაშინ, ფრაზის შინაარსს მკვეთრად ვემიჯნები...



* გამაოგნებელ „სიახლეს“ წავაწყდი მეტროპოლიტენში განთავსებულ რეკლამაში. ერთ-ერთი საფინანსო ორგანიზაცია გაჭირვებულ მევალეებს ურჩევს სხვადასხვა ბანკში აღებული ვალების მათთან გადატანას, ანუ გაერთიანებას. ასეთი შეთავაზება შეფარული მერკანტილიზმია თუ ქველმოქმედება, ეს ცალკე მსჯელობის საგანია (არ დავმალავ, „გონივრული ეჭვი“ უფრო პირველზე მაქვს). ყურადღებას იქცევს სიტყვა „გაერთიანების“ მათებური ფონეტიკური მეტამორფოზი, რომელიც უთუოდ „ნეოლოგიზმად“ უნდა ჩაითვალოს: **გა1ანება** შორიდან **გაქანებად** ამოვიკითხე და გამიკვირდა, ხოლო როდესაც ახლოს მივედი და ციფრულ-ასოითი ჰიბრიდი დავლანდე, მრავალი საუკუნისწინანდელმა არქიმედეს „ევრიკამ“ გამიელვა გონებაში. დიახ, ეს, მხოლოდ „ნეოლოგიზმი“ კი არა, ნამდვილი „აღმოჩენაა“.

სულ მალე, აუცილებლად გაჩნდება სპეციალური ლექსიკონები, რომლებშიც ციფრულ-ასოითი სიტყვების მნიშვნელობები იქნება განმარტებული. მაგალითად, ქართულ ენაზე: **შა8ლი** (შარვალი), **ბედოვლ10** (ბედოვლათი), **110ანი** (ასათიანი), **10610** (ათინათი) და ა.შ. ; რუსულ ენაზე — **100л** (стол), **по2л** (подвал), **е2** (едва) და სხვა; ინგლისურად — 10dency (tendency), 10ნის (tennis) და ა.შ. რაც მთავარია, თუ ამის შემდეგ ყველა მწერალი, მეცნიერი, ჟურნალისტი ამგვარი „ეკონომიური“ დამწერლობით ისარგებლებს, რამდენი ქაღალდი დაიზოგება?! ეს „აღმოჩენა“' სასწრაფოდ უნდა დაპატენტდეს. შემდეგ კი უკვე სრულიად მსოფლიო ისარგებლებს. მილიარდობით ხე გადაურჩება მოჭრას, ეს კი ჩვენი მაცოცხლებელი ჟანგბადის დაუშრეტელი წყარო იქნება. პირველად ჩვენი პლანეტის არსებობის განმავლობაში ატმოსფეროში ჟანგბადის წილი აზოტისას არა მხოლოდ გაუტოლდება, არამედ გადააჭარბებს კიდეც. ეს, თავის მხრივ, მსოფლიოს ხალხთა ჯანმრთელობას შეუწყობს ხელს. წარსულს ჩაბარდება კლინიკა, საავადმყოფო, სასწრაფო დახმარება და სხვა ანაქრონიზმები, ხოლო ექიმი, ექთანი, სანიტარი ზღაპრების გმირებად გადაიქცევიან. აღარც ომები იქნება — ჯანმრთელი და სრულყოფილი ადამიანები ხომ ომს არასდროს იწყებენ?.. ანუ, ერთი შეხედვით, ეს უმნიშვნელო „ნეოლოგიზმი“ ამქვეყნიური სამოთხის გასაღებად იქცევა. ამ ყოველივეს კი ნობელის პრემიის „სუნი ასდის“. თანაც, ერთბაშად სამ დარგში — ქიმიაში, მედიცინასა და მშვიდობის დაცვის. ეჰ, მართლაც სალაღობო იქნებოდა ეს ყოველივე, „სატირალი რომ არ იყოს“!

დასასრულ, სტატიის სათაური ნასესხებია ქართული ფილმიდან „მიმინო“ და, ცხადია, პერიფრაზებულია, რადგან იქ მფრინავები ეთერს „ანაგვიანებენ“...



# ლიბიის ამბები

**ამერიკის, ევროპისა და ნატოს მიერ 2011 წელს ინტერვენციისა და მუამარ კადაფის დამხობის შემდეგ ლიბიაში სხვადასხვა ინტენსივობით პერმანენტულად მიმდინარეობს სამოქალაქო ომი. ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა.**

დედაქალაქ ტრიპოლიში საქმიანობს ეროვნული თანხმობის მთავრობად წოდებული ჯგუფი **ფაიზ სარაჯის** მეთაურობით, რომელიც აშშ-მა, გაერომ და ევროკავშირმა დანიშნეს. მისი გავლენა ნომინალურად ვრცელდება ქვეყნის დასავლეთ ტერიტორიების მხოლოდ ნაწილზე. ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილსა და ნავთობის საკვანძო საბადოებს აკონტროლებს ლიბიის ეროვნული არმია **ხალიფა ხაფთარის** მეთაურობით, რომელიც ცნობს არჩეულ პარლამენტს და ამ პარლამენტის მიერ დანიშნულ დროებით მთავრობას **აბდელ აბდურახმან ატ-ტანის** ხელმძღვანელობით. უნდა ითქვას, რომ ე.წ. ეროვნული თანხმობის მთავრობის ძალაუფლება ერთობ პირობითია, მაგრამ ევროპა-ამერიკის მხარდაჭერითა და მათ მიერ გამოყოფილი ფულით შეიარაღებული ძალების ყოლას ახერხებს, თუმცა ვითარება თვით ტრიპოლიშიც კი გაურბით ხანდახან ხელიდან. ამის დასტურია ის, რომ მხოლოდ შარშან ქალაქში რამდენიმე შეიარაღებული შეტაკება მოხდა მათ მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. აპრილის დასაწყისში სწორედ არჩეული პარლამენტის მომხრე ხალიფა ხაფთარმა წამოიწყო შეტევა ტრიპოლიზე იმ მოტივით, რომ გაწმინდოს დედაქალაქი იქ მოკალათებული „ტერორისტებისა და ათასი ჯურის დაქირავებულებისგან", რომლებმაც იქ საკმარისად მოიყარეს თავი, მათ შორის, სირიიდან და ერაყიდან გაქცეულებმაც. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ ხაფთარს მოუწოდა, შეაჩეროს შეტევა ტრიპოლიზე და დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან. ექსპერტები აღნიშნავენ პომპეოს მოზომილ რიტორიკას. ამას იმით ხსნიან, რომ ამერიკელებმა დაკარგეს ლიბიაზე გავლენის ბერკეტები და მოუწევთ ხაფთართან საქმის დაჭერა იმ შემთხვევაში, თუ კი ის გამარჯვებას მიაღწევს. ამერიკელები ითვალისწინებენ იმასაც, რომ ხაფთარს სიმპათიით უყურებს ლიბიელთა მნიშვნელოვანი ნაწილი. ამასთანავე, აშშ-მა ლიბიიდან სასწრაფოდ გაიყვანა თავისი სამხედროები. ექსპერტები მიიჩნევენ და ლიბიაშიც ასე თვლიან, რომ ლიბიის სიტუაციაზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია რუსეთს, რომელსაც შუამავლის როლისთვის სხვაზე მეტი რესურსი აქვს. ლიბიის დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა 8 აპრილს უკვე მოუწოდა რუსეთს, იკისროს შუამავლის როლი ეროვნული დიალოგისა და თანხმობის მიღწევაში, როგორც ეს მან სირიაში გააკეთა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა** განაცხადა, რომ რუსეთს კონტაქტი აქვს ლიბიის კონფლიქტის ყველა მხარესთან და რომ ლიბიის ბედი თვით ლიბიელებმა უნდა გადაწყვიტონ. მისი მოადგილე **მიხეილ ბოგდანოვი** კი ტელეფონით ესაუბრა ხაფთარს და გააცნო რუსეთის პოზიცია.

სარაჯის მთავრობა იუწყება, რომ ხაფთარის ძალები ტრიპოლის აეროპორტისთვის იბრძვიან და ქალაქის ასაღებად ემზადებიან.


თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:

„ელვა.ჯი" — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

„ჯეომედია" — ტელ: 593 209 526

„მაცნე" — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22


# 30 წელიწადში დედამიწის მოსახლეობა 2 მილიარდით მოიმატებს



**2 აპრილს გაეროს გენერალურმა მდივანმა წარადგინა ანგარიში, რომლის თანახმად, დედამიწის მოსახლეობა 2050 წლისთვის 9,7 მილიარდ ადამიანამდე გაიზრდება.**

გაეროს ეკონომიკისა და სოციალური საკითხების დეპარტამენტის მონაცემების თანახმად, დღეს დედამიწაზე 7,7 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს. ამავე დეპარტამენტის მონაცემებით, 1500 წელს პლანეტაზე 450 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, 1800 წელს — დაახლოებით მილიარდი, 1950 წელს — თითქმის 2,5 მილიარდი.

მსოფლიოს ყველაზე დასახლებული ქვეყანა დღეს ჩინეთია. იქ თითქმის 1,4 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს, ხოლო 1900 წელს ჩინეთში 400 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა.

აფრიკის კონტინენტზე **ნიგერია** ყველაზე დასახლებული ქვეყანაა. იქ 200 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ევროპაში **გერმანია** მოსახლეობის რაოდენობით მეორე ადგილზეა, **რუსეთის** შემდეგ. 2019 წელს გერმანიაში ცხოვრობს 83 მილიონზე ოდნავ ნაკლები ადამიანი. რუსეთში, 2010 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, 142,9 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა; დღევანდელი შეფასებით კი რუსეთის მოსახლეობა 146 მილიონ კაცს შეადგენს.

2011 წლის აღწერის მონაცემებით, დიდ ბრიტანეთში 63 მილიონ ადამიანზე მეტი ცხოვრობს. მათგან ინგლისში — 53 მილიონი, შოტლანდიაში კი — 5 მილიონზე ოდნავ მეტი.

რაც შეეხება საქართველოს მოსახლეობას, საქსტატის მონაცემებით, 1994-2017 წლების პერიოდში ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობა კლების ტენდენციით ხასიათდება. 2018 წლის მდგომარეობით, ქვეყანაში 3 721 000 ადამიანი ცხოვრობს.




# რესპუბლიკელი ამომრჩევლების უმრავლესობა ამერიკულ მედიას არ ენდობა

**აშშ-ში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, რესპუბლიკელი რესპონდენტების დიდი ნაწილი ამბობს, რომ ამერიკული მედიაორგანიზაციები პოლიტიკური მიზნებისთვის ცრუ ინფორმაციას ავრცელებენ.**




გამოკითხვა კრისტოფერ ნიუპორტის უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკის ცენტრმა ჩაატარა. გამოკითხვის თანახმად, რესპუბლიკელი ამომრჩევლების 86% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ამერიკის მთავარი მედიაორგანიზაციები პოლიტიკური მიზნებისთვის ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას, დემოკრატი ამომრჩევლების 69% ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და ასევე არ ეთანხმება ნეიტრალური ამომრჩევლების 63%. რესპონდენტების სრული რაოდენობის 57% კი ამ მოსაზრებას ეთანხმება.

ცენტრის დირექტორის მოადგილემ ინტერვიუში აღნიშნა, რომ პრესის მიმართ უნდობლობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლებაში ტრამპის მოსვლის შემდეგ.


ს ი ა ხ ლ ე !

ტიბეტური მედიცინით მკურნალობა

ლიცენზია N 035121



- პროსტატი, პოტენციის დაქვეითება, გაძნელებული შარდვა;
- ფიბრომა, მასტოპათია, მენსტრუალური ციკლის მოშლა, გართულებული კლიმაქსი, უშვილობა;
- ნევროზი, მეხსიერებისა და შრომის უნარის დაქვეითება, უძილობა, დეპრესია;
- თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, სახსრებისა და ძვლების ტკივილი, ართროზი, ოსტეოპოროზი, სკოლიოზი.

მკურნალობა მაღალეფექტური, ორგანიზმისთვის უვნებელი მეთოდებით. ქიმიური წამლებისა და ჰორმონალური პრეპარატების გარეშე.

☎ 599-54-18-30, 247-57-18

სიმაღლეში მომატება!

გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?



დარეკეთ ახლავე!

574 47 39 04

0790 30 94 35

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge

ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია



სარედაქციო კოლეგია

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6

ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894